

ძველი ქართული ენის ძეგლები. 10

ბაღვაჩიანის
ქართული რელაქციები

გამოსცა
გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო
ილია აბულაძემ

ა. შანიძის
რედაქციით

მ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	07
Предисловие	09
შესავალი	011

I. ბალავარიანის ორი რედაქცია და მათი ძირითადი ნუსხები (011 — 019):

1. ბალავარიანის ნუსხები და ამ ძეგლის ორი რედაქცია (011 — 013); 2. ვრცელი რედაქციის ხელნაწერი არაა პირველი ნუსხა (013 — 015); 3. როდისაა გადაწერილი ვრცელი რედაქციის იერუსალიმური ნუსხა (015 — 017); 4. მოკლე რედაქციის უძველესი სრული ნუსხა (017 — 019).

II. მოკლე და ვრცელი რედაქციის დამოკიდებულებისათვის (019 — 029):

1. მოკლე რედაქციის ტექსტის დამახასიათებელი ნიშნები (019 — 020); 2. მოკლე რედაქციის ვრცელზე დამოკიდებულების ნიშნები (020 — 026); 3. როდისაა შესრულებული ბალავარიანის მოკლე რედაქცია (026 — 029).

III. ვრცელი ბალავარიანის წარმოშობის ხანა (028 — 038).

IV. ქართული ბალავარიანის რედაქციები შენაარხოვლივ (039 — 048)

ბალავარიანი	1
-----------------------	---

I. ცხორება და მოღვაწეობა ბალავარიის (3 — 65)

II. ცხორება და მოღვაწეობა იოანასაუხის (90 — 163)

მოკლე რედაქციის დასაწყისი (დამატება)	169
ლექსიკონი	181
საბიბლიო (პირთა, ეპიკურ და გეოგრაფიულ სხელთა)	217



წინასიტყვაობა

„ბალავარიანი“, ეს საშუალო საუკუნეების ე. წ. სასულიერო რომანი, აქამომდის მხოლოდ ერთი რედაქციით იყო ცნობილი ქართულ ენაზე. ძველიდანვე მას, როგორც მის სათაურშია აღნიშნული, „სიბრძნე ბალაჰვარისი“ ეწოდება. მეცნიერთა ყურადღება ამ ძეგლმა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მიიპყრო. მე-18 — მე-19 სს-ის რ ნუსხის მიხედვით გამოაქვეყნა ის პირველად 1895 წ. ე. თაყაიშვილმა¹. მალე ის, 1899 წ., რუსულ ენაზედაც თარგმნა და გამოსცა ივ. ჯაფარიშვილმა².

ამ ხანიდან ქართულმა „ბალავარიანმა“ დიდი ინტერესი აღძრა მკვლევართა და მეცნიერთა შორის. ერთი მხრით დაიწყო ამ თხზულების ძველი ნუსხების ძებნა როგორც ქართულს, ისე უცხო ენებზე (ბერძნულს, ლათინურს, სომხურსა და არაბულზე), ხოლო მეორე მხრით კვლევა წარმართა იმის დასადგენად, თუ რა ურთიერთობა არსებობს სხვადასხვა ენაზე დაცულ „ბალავარიანთა“ შორის³.

ტექსტების კვლევა-ძიების შედეგად ქართულ ენაზე დაიძებნა როგორც ამ რომანის უძველესი ნუსხები, ისე მე-17 — მე-18 სს-ის სხვა ნუსხებიც. ერთი უძველესთაგანი, XII — XIII სს-ისა, ფრაგმენტებად მოღწეული, ორჯერაც კი გამოიცა⁴, ხოლო სხვა ორი უძველესი (XIII — XIV სს-ისა), რომლებიც იერუსალიმს არიან დაცული, გამოუყენებელი დარჩა მთლიანი ტექსტის მეორედ გამოცემის დროს⁵, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდების შერჩეულ ნუსხებს ემყარება.

იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა ტექსტების გაცნობა მხოლოდ მიმდინარე წლის ზაფხულს გახდა შესაძლებელი, როცა მიღებულ იქნა ვაშინგტონიდან სინასა და იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმების პირები. ამ ნუსხების შესწავლამ ცხადყო, რომ იერუსალიმის ერთი ნუსხის (J 36) ტექსტი იგივეა, რაც დღემდის ცნობილი „სიბრძნე ბალაჰვარისისი“, ხოლო მეორე (J 140) სრულიად განსხვავებული რედაქციაა, რომელიც ჩვენი კვლევა-

¹ სიბრძნე ბალავარისი ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1895 წ.

² Мудрость Балавара, перевод И. А. Джавахова: ЗВО, т. XI, стр. 1 — 48.

³ Ш. И. Нупудилае, К происхождению греческого романа „Варлаам и Иоасаф“, Тбилиси, 1956 (სამეცნიერო ლიტერატურა ამ საგანზე ამ წიგნის სკოლიოგებშია ნაჩვენები).

⁴ Балхвар и Иодасаф, грузинский текст... с переводом и предисловием издал А. Хахавов, Москва, 1902. М. Г. Джавахов и др., Описание рукописей церковного музея, книга III, Тифлис, 1908, стр. 28 — 44.

⁵ სიბრძნე ბალაჰვარისი ... ილია აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1947.

ძიების თანახმად, წინ უსწრებს აქამომდე ცნობილ ტექსტს „სიბრძნე ბალავარისას“. ეს უკანასკნელი ძირითადად პირველის შემოკლებულ რედაქციას წარმოადგენს, რომლის შექმნა XI ს-ის გასულიდან არის მხოლოდ შესაძლებელი, მისი წყარო კი, — „ვრცელი ბალავარიანი“, რომელიც XI ს-ის მეორე ნახევრის ნუსხით არის მოღწეული, — ენობრივი ნიშნების მიხედვით, თანახმად ჩვენი დავირვებისა, IX — X სს-ს ეკუთვნის.

„ბალავარიანის“ წარმოშობისა და გავრცელების საკითხში დღემდის ცნობილ ქართულ ტექსტს უაღრესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეცნიერებაში. ცხადია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობისა ხდება ამიერიდან მასივე ქართული წყარო — „ბალავარიანის“ ვრცელი ქართული რედაქცია.

მშობლიურისა და უცხოური მეცნიერების დიდი ინტერესი ჩვენი ძეგლის მიმართ საშურს ხდის ამ ძეგლის ქართული რედაქციების გამოქვეყნებას, პირველ რიგში სპეციალისტებისათვის, რასაც უნდა მოჰყვეს, ცხადია, თარგმანები, უპირველეს ყოვლისა რუსულ ენაზე, ჩვენი საზოგადოების ფართო ფენებისათვის.

ქართულ რედაქციებს ერთიმეორის გვერდით ვათავსებთ წინამდებარე გამოცემაში. ვრცელი რედაქცია (C), როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ერთი ნუსხით არის ჩვენამდის მოღწეული (J 140); მას პირველად ახლა ვაქვეყნებთ. ხოლო შოკლე რედაქცია (F), მესამედ იცემა, მაგრამ უფრო სანდო და ძველი ნუსხების მიხედვით. მის გამოცემას საფუძვლად ყველაზე სრულად მოღწეული უძველესი იერუსალიმური ნუსხა (J 36) დავუდევით.

ტექსტებს წინ უძღვის ჩვენი გამოკვლევა „ბალავარიანის“ ქართული რედაქციების რაობისა და მათი ერთმანეთთან მიმართების შესახებ, ხოლო ბოლოს ერთვის ლექსიკონი და საკუთარ სახელთა საძიებელი.

ილია აბულაძე

1956.29.X

თბილისი

ПРЕДИСЛОВИЕ

Грузинская версия средневекового духовного романа «Повесть о Варлааме» до сих пор была известна в единственной редакции. Как отмечено в заглавии, повесть эта носит название «Мудрость Балавара», но в грузинской научной литературе она чаще называется «Балавариани». Ещё с 80-х годов прошлого столетия памятник этот привлекал к себе внимание учёных. В 1895 году его впервые опубликовал Е. Такайшвили по шести поздним синасам (XVIII—XIX вв.)¹. Вскоре появился и его русский перевод, сделанный Н. А. Джавахишвили².

С этого времени интерес исследователей к грузинскому «Балавариани» непрерывно рос. С одной стороны, начались поиски более древних списков произведения как на грузинском, так и на других языках (греческом, латинском, армянском и арабском), а с другой, развернулись исследования для установления взаимоотношений между разными версиями памятника³.

В результате поисков обнаружены были как более древние рукописи «Мудрости Балавара» на грузинском языке, так и неизвестные раньше поздние грузинские списки. Одна из самых древних рукописей, относящаяся к XII—XIII вв. и дошедшая до нас в виде фрагментов, издавалась дважды⁴, причём две рукописи (XIII—XIV вв.), хранящиеся в Иерусалиме, не могли быть использованы, вследствие их недоступности, во втором издании (в 1937 г.),⁵ для которого пришлось ограничиться привлечением лишь текстов рукописных фондов Государственного Музея Грузии.

Ознакомление с текстами рукописей, хранящихся в Иерусалиме, стало возможным лишь с лета 1956-го года, когда были получены из Вашингтона микрокопии грузинских рукописных коллекций Иерусалима

¹ სიბრძნე ბალავარისა, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1895.

² Мудрость Балавара, перевод И. А. Джавахова: ЗВО, т. XI (1899) стр. 1—18.

³ Ш. И. Нущубидзе, К происхождению греческого романа «Варлаам и Иодасаф», Тбилиси, 1956. (Научная литература по указ. предмету указаны в скобках этой книги).

⁴ Балһвар и Иодасаф, груз. текст... с переводом и предисловием издал А. Хачанов, Москва, 1902 г.; М. Г. Джанашивили, Описание рукописей церковного музея, книга III, Тб. 1908, стр. 28—44.

⁵ სიბრძნე ბალავარისა ... ილია აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1937.

п Синзя, заснятых на микрофильмы экспедицией библиотеки Конгресса в 1949 — 50 гг. Изучение текста иерусалимских рукописей «Балавариани» установило, что текст одной рукописи (J 36) тождествен с известным досих пор грузинским текстом этого духовного романа, а текст другой (J 140), объёмом $2\frac{1}{2}$ раза превышающий первый, представляет собой совершенно иную редакцию, существенно отличающуюся от печатного текста. Последний в основном представляет из себя сокращённое изложение пространного текста и его появление можно отнести лишь к концу XI века, тогда как его источник — пространная редакция, дошедшая до нас в рукописи второй половины XI в., по языковым признакам восходит к IX — X вв.

Для решения вопроса о возникновении и переводах названного романа в науке придавалось весьма важное значение известному доселе грузинскому тексту. Ясно, что отныне ещё большее значение будет иметь грузинский же источник упомянутого текста, т. е. пространная редакция «Балавариани».

Живой интерес, проявляемый отечественной и иностранной наукой к нашему памятнику, ставит перед нами неотложную задачу опубликовать обе грузинские редакции этого памятника. Необходимо также перевести их на другие языки, в первую очередь на русский, чтобы дать возможность широкому слою нашей общественности ознакомиться с этим замечательным литературным произведением средних веков.

В предлагаемом издании тексты обеих редакций памятника печатаются параллельно, что позволяет легко сравнивать их между собой. Пространная редакция, как отмечено выше, дошла до нас только в одной рукописи и она, отмеченная литерой **Т**, публикуется здесь впервые. Краткая же редакция, отмеченная литерой **Ч**, издаётся уже в третий раз, но на сей раз по более древним и лучшим спискам: в её основу мы положили дошедшую до нас в полном виде самую древнюю рукопись — иерусалимскую (J 36).

Текстам предпослано исследование о грузинских редакциях «Балавариани» и их взаимоотношениях, а в конце приложены словарь и указатель имен.

И. В. Абуладзе

შესავალი

I. ბალავარიანის ორი რედაქცია და მათი ძირითადი ნუსხები

1. ბალავარიანის ნუსხები და ამ ძეგლის ორი რედაქცია

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მეცნიერებისათვის ცნობილი შეიქმნა, რომ «ბალავარიანი», საშუალო საუკუნეების ეს მეტად გავრცელებული ე. წ. სასულიერო რომანი, ქართულ ენაზედაც იყო დაცული¹. ამ ხანიდან მოკიდებული თანდათანობით ჩნდებოდა ამ ძეგლის ნუსხები. 1895 წელს რომ ე. თაყაიშვილი თავის გამოცემას აქვეყნებდა, უკვე ექვს ნუსხას იცნობდა. ყველაზე უძველესი (S — 300) 1779 წელს იყო გადაწერილი, სხვა ხუთი კი 20-19 საუკუნის ნუსხები ჩანდა². შემდეგში უფრო აღრინდელი ხანის ნუსხები იქმნა გამოვლინებული ჩვენს სიძველეთ-საცავებში; ამათ შორის ყველაზე აღრინდელი ხელის მიხედვით XII — XIII სს-ისად იქმნა მიჩნეული. იგი ორგზის გამოიკა³. ბალავარიანის მეორე გამოცემისათვის, რომელიც 1937 წელს გამოვიდა, კიდევ მოიძებნა XVII — XVIII სს-ის სხვა ნუსხებიც, რომელთა მიხედვით დამზადდა აღნიშნული გამოცემა⁴.

გულდასაწყვეტი უკანასკნელი გამოცემის დროს და შემდეგშიც ის იყო, რომ ვერ ვიყენებდით, რადგან ხელი არ მიგვიწვდებოდა, ამ ხანისათვის უკვე გამოვლინებულ იერუსალიმის ორ ქართულ ხელნაწერს, რომლებიც ბალავარიანს შეიცავდა, სამეცნიერო წრეებისათვის ისინი პროფ. რ. ბლექის აღწერილობით⁵ შეიქმნენ ცნობილი. აღმწერელმა ორივე ნუსხა XII — XIV სს-ისად, ე. ი. საკმაოდ ძველი ხანისად, მიიჩნია. ამ ნუსხების გაცნობა მხოლოდ შიშდინარე წლის ზაფხულს მოგვიხერხდა, როცა საქართველოს სსრ ნეცნიე-

¹ Н. Марр, «Мудрость Балавара», грузинская версия «Душеполезной истории о Варлааме и Иоасафе»: Записки Восточного Отделения импер. русского археолог. общ-тва, т. III, 1889, стр. 223-260.

² სიბრძნე ბალავარისი ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1895 წ.

³ Баднавар и Иоасаф, грузинский текст... с переводом и предисловием издал А. Хакнашвили, Москва, 1902. М. Г. Джанашивили, Описание рукописей церковного музея... книга III, Тифлис, 1908, стр. 28 — 44.

⁴ სიბრძნე ბალავარისი, რედაქცია, ვარიანტები და ლექსიკონი ილია აბულაძისა, თბილისი, 1937.

⁵ Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem par Robert P. Blake: Extrait de la Revue de l'Orient chrétien, 1922 — 1926.

რებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო ვაშინგტონიდან, კონგრესის ბიბლიოთეკისაგან, იერუსალიმისა და სინას მთის ქართული ხელნაწერების მიკროფილმების პირები.

ხსენებული მიკროფილმებიდან ფოტო-ანაბეჭდების დამზადება, რის ხელმძღვანელობაც ჩვენ მოგვეწოდო, უპირველეს ყოვლისა, გასაგები მიზეზების გამო, იმ მიკროფილმებით წამოვიწყეთ, რომლებზედაც აღბეჭდილი იყო ბალავარიანის შემკველი ნუსხები. უპირატესობა იერუსალიმის № 140 ხელნაწერის მიკროფილმს მივაკუთვნეთ, რამდენადაც ეს ნუსხა პროფ. რ. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით ორ საკითხავად იყო წარმოდგენილი და მასთან დიდი მოცულობისაა ჩანდა. ამ ძეგლის პირველივე ფურცლების ფოტო-ანაბეჭდების გაცნობა და მათი შედარება აქამომდის ცნობილ ბალავარიანის ტექსტთან გვაინიშნებდა, რომ მისი სახით ჩვენ სრულიად ახალ რედაქციასთან გვეკონდა საქმე. გადაღების პროცესში ძეგლი მთლიანად გადმოვწერეთ მხედრულად, შევედარეთ წინათ ცნობილს და გაირკვა, რომ ახალი ხელნაწერი ტექსტი 2—2¹/₂ ჯერ მეტი იყო პირველზე, რომელთანაც მას აღმოაჩნდა როგორც ტექსტობრივი შეხვედრა, ისე დაცილებაც. ერთი სიტყვით, აშკარა შეიქმნა, რომ ახალი ხელნაწერი წარმოადგენდა ჩვენს ძეგლის ახალ რედაქციას, რომელსაც მისი დიდი მოცულობის გამო «ვრცელი ბალავარიანი», ან «ბალავარიანის ვრცელი რედაქცია» შევარქვით, ხოლო მასთან მიმართებით ნოცულობით უფრო მომცროს, ე. ი. აქამომდის ცნობილ „ბალავარის სიბრძნეს“ — «მოკლე ბალავარიანი», ანუ «ბალავარიანის მოკლე რედაქცია» ვუწოდეთ.

იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა შორის დაცული ბალავარიანის მეორე ხელნაწერი კი (J 36) მოკლე რედაქციისა გამოდგა, დამზადებული, ისე როგორც ვრცელი ბალავარიანის ნუსხა (J 140), ქართველთა ჯვრის მონასტერში იერუსალიმს. ანის აღწერილობა მოეპოვება ნ. მარსა (ამ ბოლო ხანს გამოვიდა)¹ და რ. ბლეიკს, ხოლო პირველისა (J 140) — ნხოლოდ რ. ბლეიკს². ეტყობა, განსვენებული რ. ბლეიკი დროით მეტად შეზღუდული ყოფილა, რომ ასეთი საყურადღებო რედაქციის შემკველ ნუსხას სათანადოდ ვერ დაჰკვირვებია და საკირო შენიშვნა არ წარმოუდგენია თავის აღწერილობაში. ასევე, დროით განსაზღვრულობის გამო, როგორც ცნობილია, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექტიიდან 1902 წელს ნ. მარსა შეძლო გასცნობოდა მხოლოდ მცირე ნაწილს, რომელშიც მარტო მოკლე ბალავარიანის ნუსხა (J 36) მოხვდა.

ბალავარიანის ახალი, ვრცელი რედაქციის ნუსხა, რომელიც აგიოგრაფიულ ნაწარმოებთა კრებულის შემადგენელი პირველი ძეგლია, 172 ფურცლისაგან შედგება. ნაწერია ქალაღღზე ნუსხა-ხუცური ხელით. ხელნაწერის ზომაა 185 × 133 mm, ხოლო საკუთრივ ნაწერისა — 141 × 95 mm. ხელნაწერის შემადგენელი რეეულები 8-8. ფურცლიანია.

¹ ნ. მარსი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა. დასაბეჭდად მოამზადე. მეტრეველმა, თბილისი, 1955.

² Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque grecque à Jérusalem par R. Blake, Orient chrétien, 1922 — 1926.

ეს ცნობები ჩვენ პროფ. რ. ბლეიკის აღწერილობიდან მოგვყავს.

სხვათა შორის, მისგანვე გაცნობია მათ პ. პეტერსი¹, რომელიც საგანგებო ყურადღებას აქცევს ამ ნუსხას. ის დაჰკვირვებია იმას, რომ ბალავარიანი აქ ორ წიგნად არის წარმოდგენილი, რომ ძველი ცნობილზე უფრო ვრცელია, რის გამოც ის უნდა წარმოადგენდეს გავრცობილ რეცენზია-ნუსხასო. X ს-ის დასასრულს გარდაცვლილი ერთი არაბი მოღვაწის, აბულ-ფრაჯ ან-ნადიმის ფიჭრისტზე დაყრდნობით პ. პეტერსი იმასაც კი ვარაუდობს, რომ ერთმანეთთან უნდა იყვნენ კავშირში ხსენებული არაბი ავტორის ცნობა მისი ხანისათვის ორი ბალავარიანის არსებობის შესახებ (1. წიგნი ბილაუჰარისა და ბუდასაფისა და 2. წიგნი ბუდასაფისა) და ქართული დასახელებული ვრცელი ბალავარიანის ორი წიგნი.

რვეულების დაცულობისა და ტექსტის შესწავლით ირკვევა, რომ ნუსხას აკლია ფურცლები: 35-ესა და 36-ე ფურცლებს შორის ერთი ფურცელი (დაკარგულია მეხუთე რვეულის მეხუთე ფურცელი) და 57-ესა და 58-ე ფურცლებს შორის — ორი ფურცელი (დაკარგულია მერვე რვეულის მეოთხე და მეხუთე ფურცლები). მაშასადამე, სულ დანაკლისი სამი ფურცლით განისაზღვრება.

კრებულში ბალავარიანს გარდა შედის:

1. ცხორება ქსენეფორე სეფეწულისა (173r — 188r),
2. ცხორება ნეტარისა ალექსისი, კაცისა ღმრთისა (188v — 199r),
3. ცხორება ღირსისა მამისა ჩუენისა ონოფრე განშორებულისა... (199v — 214r),
4. ცხორება და წამება მარინაისი (214r — 228 v) და
5. ლოცვა სინანულისა ბერძული, თარგმნილი წმიდისა ღამისა ეფთჳე მთაწმიდლისა, თქუმილი წმიდისა ბასილი მთავარ ებისკოპოსისა (229v — 238r).

ხელნაწერი უთარილოა, ხელისა და ორთოგრაფიის მიხედვით, როგორც ქვემოთ ვნახავთ, იგი XI ს-ის მეორე ნახევრისაა.

2. ვრცელი რედაქციის ხელნაწერი არა პირველი ნუსხა

ეს გარემოება სხვადასხვა მხრით მტკიცდება. ჯერ იმით, რომ გადაამწერს ცუდად ამოუკითხავს დედანი. ასე მაგ., ერთგან, მე-17 თავში, სადაც საუბარია ბალავარსა და იოდასაფს შორის, იოდასაფი ეკითხება ბალავარს, თუ „რამათჳს უკუე ყოველი ერი მტერ გექმნა და ურვილის მეტყუელ მოყუასთა შენთა?“ (43, 22). ამას პასუხად მოჰყვება, რომ „მტერობა მათი იყო, ვითარ-ესე გესმა, ხოლო ძკრის მეტყუელება მათი ვინა ეწიოს კაცსა, რომელნი იტყჳან და არა ტყუევიან, ილოცვენ და უძილ არიან“ და სხვ... შეკითხვის საგნები—მტერობა და ურვილის მეტყუელება—პა-

¹ P. Peeters. La première traduction latine de „Barlaam et Ioasaph“ et son original grec: Anal. Bolland. XLIX, pp. 301 — 307.

სუბში ზედმიწევნით არ მეორდება; აქ ერთი მათგანი — „ურვილის მეტყუელებმა“ — განსხვავებული სახით არის მოცემული, — „ძკრის მეტყუელებად“. პირველი ძველი ქართულისათვის უჩვეულო სიტყვაა, ხოლო მეორე — ჩვეულებრივი. ცხადია, შეცდომაა დაშვებული გადამწერის მიერ. წერებულა „ძკრის მეტყუელ“ და წაუკითხავს „ურვილის მეტყუელ“-ად.

უსწორო ამოკითხვისა თუ წაცდენის შედეგია აგრეთვე ერთგან „ნუ“-ს ნაცვლად „ანუ“-ს დაწერა. ამას, ჯერ ერთი, კონტექსტი არკვევს და, მერმე, პარალელური ადგილი მოკლე რედაქციიდან. იგავში, ნაგვეში მცხოვრებთ ბედნიერი ცოლ-ქმრის შესახებ, ნათქვამია.

ვ რ ც ე ლ ი

„მაშინ პოვა თანამზრახველმან ადგილი სიტყუსაჲ მეთესა თანა და ჰრქუა მას: ანუ ჰკონებ, მეფე, ვითარმედ დიდებაჲ ესე და სუფევაჲ, რომელსა შინა ვიშუებთ, არა ესრევე სახედ შერაცხილ არს და საწუნელ წინაშე მათსა, რომელთა იციან დიდებაჲ და სუფევაჲ საუკუნოჲ, რომელი განუშხადოს ღმერთმან მოყუარეთა თუსთა“ (51, 1-8).

მ ო კ ლ ე

„მაშინ პოვა ადგილი სიტყუსაჲ თანამზრახველმან და ჰრქუა: ნუ ჰკონებ, მეფე, ვითარმედ დიდებაჲ და სუფევაჲ, რომელსა ჩუენ ვიშუებთ, ესრე სახედ შერაცხილ არს წინაშე მათსა, რომელნი ღმრთის მსახურებით ცხოვნდებიან“ (51, 1-8).

ასეთივე რიგის ნიმუშთან უნდა გვექონდეს საქმე იგავში, რომელიც მდიდრისა და ღარიბის დამოყვრებას ეხება. აქ დასაწყისი სიტყვები ასე იკითხება: „ემსგავსო მდიდარსა მას, რომელი ეზრახა გლახაკსა მას“ (53, 22-23). ეზრახა შებღალული ემზახა ჩანს, როგორც ამას მოკლის ძველ ნუსხებთან შედარება გვიჩვენებს: „ემსგავსო მდიდარსა მას, რომელი ემზახა გლახაკსა მას“ (53, 22-23). ზოგიერთ გვიანდელ ნუსხაში, მსგავსად ვრცელისა, იკითხება „ეზრახა“, რაც აგრეთვე ცუდი ამოკითხვის ნაყოფი ჩანს.

4მ-ე თავშიც ერთგან ერთი სიტყვა („ზეცა“) გადამწერის დაუკვირვებლობის გამო ასოდაკლებულია; არის: „წკმაჲ და ზეცა მისითა ლოცვითა მოეცემის ქუეყანასა მათსა“ (119, 14-15). უნდა იყოს: „წკმაჲ და მზეცა მისითა ლოცვითა მოეცემის ქუეყანასა მათსა“ (ასეა სწორედ მოკლემში: 119, 9-11).

ვრცელი ბალავარიანის შემონახული ერთადერთი ნუსხა რომ გადანაწერია, ამას, როგორც ქვემოთ ვნახავთ (გვ. 022), ერთი გეოგრაფიული სახელთაგანის დაწერილობაც მოწმობს. ესაა ინდოეთის სამეფო ადგილის (ქვეყნის) საბელის ისეთი დაწერილობანი (ორად ორი სულ), რომლებიც მხოლოდ ერთი ნიშნით სხვაობენ, რაც მსგავსი დაწერილობის (გრაფიკის) საფუძველზეა აღმოცენებული: შოლაიტი → ბოლაიტი. ამ ასოების (შ, ბ) ასეთი აღრევა იმასაც მოწმობს, რომ ჩვენი ნუსხის ღედანი ნაწერი ყოფილა ნუსხა-ხუცურადვე (ყ ყ).

ვრცელი რედაქციის შემცველი ნუსხა რომ ნამდვილად გადანაწერია, იქიდანაც ირკვევა, რომ მის გადამწერს უნებლიეთ დარჩენია გადმოწერელი სიტყვები, რასაც კონტექსტის ბუნდოვანობასთან ერთად პარალელური ტექსტით არკვევს მოკლიდან. ასე მაგ., იგავში მდიდრისა და ღარიბის მზახლობის შესახებ ვრცელ ბალავარიანში იკითხება: „შევიდა [სიძე] სახლსა მის ბერისასა და განიძარცუა სახე და სამოსელი მათ გლახაკთა“ (54, 25-27). იგივე ადგილი მოკლეში ასეა წარმოდგენილი: „ხოლო ქაბუჯი იგი შევიდა სახლსა მის ბერისასა, განიძარცუა სამოსელი თვისი და შეიმოსა საგლახაკთა“ (54, 32-35). შედარება ააშკარავებს, რომ ვრცელის ტექსტს აკლია სიტყვა: „შეიმოსა“ სამოსლის წინ: „...განიძარცუა სახე და [შეიმოსა] სამოსელი მათ გლახაკთა“.

ასეთივე რიგისაა სხვა ადგილიც. ვრცელი რედაქციის 30-ე თავში ვკითხულობთ: „და ვჰხედვე ყუველსავე კაცსა ესრე სახედ, ვითარცა თაჲსა ჩემსა, რამეთუ ვერვინ შემატებად გინა მოკლებად ჰასაკსა თუსსა“ (70, 27-31). შესაბამისი ადგილი მოკლე რედაქციაში ასეა მოცემული: „ვითარ გულისკნა-გყავ და ვცან საქმე ცხოვრებისა ჩემისაჲ, ვითარმედ ვერას შემძლებელ ვართ შემატებად, გინა დაკლებად ჰასაკისა...“ (70, 29-33). შედარება ცხადყოფს აქაც, რომ ვრცელის ტექსტს აკლია სიტყვები: „შემძლებელ არს“ ვერვინის შემდეგ: „...ვერვინ [შემძლებელ არს] შემატებად გინა მოკლებად ჰასაკსა თუსსა“.

აღნიშნული შემთხვევები ექვს არ უნდა ტოვებდნენ მასში, რომ ვრცელი რედაქციის შემცველი ნუსხა გადმონაწერია და რომ მას წინ უსწრებს მისთვის დედნად გამოყენებული სხვა ნუსხა-ხეცურით ნაწერი ხელნაწერი.

3. როლისაა გადაწერილი ვრცელი რედაქციის იერუსალიმური ნუსხა

ვრცელი ბალავარიანის შემცველი ერთად-ერთი ნუსხიდან თვალში საცემი დაწერილობის მხრივ ისაა, რომ არსად მასში არ იხმარება C, — ყველგან, სადაც ძველი ქართული ენის ნორმებით იგია მოსალოდნელი, გვხვდება ე.

უმარცვლო და მარცვლიანი უ ერთნაირად იწერება ყ-თი, რომელსაც აქა-იქ * ენაცვლება (მიოგო 113, 34); (შეთქუმოლებისა 115, 8...), ხოლო ყ უი დიფთონგს გადმოსცემს. ასე იყო ეს ძველ ქართულში, მისგან არ უხვევს არც ჩვენი ძეგლის ნუსხა.

გადახრა უფრო მეტად ჯ-ს ხმარებისას შეინიშნება იმ მხრით, რომ იგი ზოგჯერ უფუნქციოა: სიტყვაში „არაჲ“, ასეთ ფრაზაში: „არაჲ უწყოდა, თუ ვინაჲ არს საცთური“ (13, 37) იგი ფონემურ მნიშვნელობას მოკლებულია, რასაც უნდა მოწმობდეს მოკლე რედაქციის ტექსტით; სადაც ეს სიტყვა ჯ-ს გარეშეა დაწერილი.

ასეთივე სახით დაწერილს ვხვდებით ამ სიტყვას სხვაგანაც. ასე მაგ., 135, 25-ში: „არაჲ იპოვის ღონე შემდგომად სიკუდილისა“; 132, 17-ში: „არაჲ კეთილი ჰყავ ჩემ თანა“ და სხვ...

უფუნქციო ჩანს ა „ვინაჲ“ სიტყვაშიც, როგორც ამას კონტექსტთან ერთად მოკლე რედაქციის პარალელური ტექსტიც მოწმობს. ქაბუკის შეკითხვაზე (იგავში მდიდარი სიძისა და ღარიბი ქალის „მზახლობის“ შესახებ): „ვინაჲ ხარ, დედაკაცო?... (54, 1) პასუხია ვრცელით: „მე ასული ვარ ბერისა ერთისა გლახაკისაჲ“ (54, 6-7), ხოლო მოკლით ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: „ვინ ხარ, დედაკაცო?... — მე ასული ვარ ბერისა ვისმე გლახაკისაჲ“ (54, 2-11). ამრიგად, „ვინაჲ-ში“ ა უფუნქციო ნიშანია, განვითარებული კითხვითის „ვინ(ა)“-სთან.

ჩვენი ძეგლის ამ უნიკალურ ნუსხაში შეინიშნება ა-ს მოშლის შემთხვევაც, რაც დასტურდება „უფრო“ სიტყვაში, რომელიც ხშირად გვხვდება მასში მისი მომცემი ფორმების გვერდით: „უფროჲ“ (114, 27: „რომელნი-იგი უფროჲ თავს-მდებელ არიან ტყუელსა და კიცხევისა“) და „უფროს“ („მამაჲ ჩემი უფროს არს ჩემსა“ 19, 13—14).

სხვად ვერად, თუ არ დიალექტურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ აქა-იქ ხმარება „-თჳნ“-ისა ნაცვლად „-თჳს“ თანდებულისა სიტყვაში „რახასათჳნ“ (67, 19: „და შენ რახასა თჳნ დაშჯი თავსა შენსა“) და „-მდინ“-ისა ნაცვლად „-მდის“-ისა ვითარებით ბრუნვასთან (85, 20: „ვიდრე მუჳლთამდინ მის-წუთებოდა“).

ასეთია ვრცელი ბალავარიანის შემცველი ერთადერთი იერუსალიმური ნუსხა (J 140) ორთოგრაფიულად. მის მიხედვით იგი გარკვეული ხანისა ჩანს, ამ ხანას ორთოგრაფიასთან ერთად გვირკევეს პალეოგრაფია და გადამწერის ხელით შესრულებული ის მინაწერები, რომლებიც ხსენებულ ნუსხას დაუცავს სხვადასხვა ადგილს.

ეს მინაწერები შემდეგია:

1. 25 რ-ზე: „ქე, შე დთ, ან“.
2. 50 ვ-ზე: „ქე, შე დთ, ან“.
3. 58 რ-ზე: „იჳსენ, ოო, სლი დთასა საშჯელისაგან სკნოჲსა“.
4. 59 ვ-ზე: „ქე, შე ქიტაჲ, ამენ“.
5. 86 რ-ზე: „ქე, შე სლი დავითასაჲ, მშობელთა და ძმათა მისთაჲ, ან. ქე, ადიდე სული პროხოვრესი, თესი და მქლისი და ძმათა ჩემთა სლიერთაჲ—მქლ და საბაჲსი, ან“.
6. 141 ვ-ზე: „ქე, შე მქლ“.
7. 170 რ-ზე: „ქე, შენ სულითა მქლ და დთ, ან“.
8. 172 რ-ზე: „ქეს მოყუარენო, ვინცა მიემთხვენეთ წმიდასა ამას წიგნსა, ლოცვა ყათე ფრიად ცოდვილისა დავითასათჳს, შეუნდვენ ღნ ცოდვიანი, ან“.
9. 188 რ-ზე: „ქე, შენ მქლ, დთ, გბრლ, სმნ, მქლ, საბა, დვთჲ, შეილნი და მშობელნი მათნი, ან“.
10. 199 რ-ზე: „წაო აღქსი, მხჳე წე ღნისა სლსა ქიტ(ა)ისასა, დავითასასა, მქლისა, ბეთან(ი)ასა, ელენესა, დთისა, გბრლისა და სწისა“.
11. 199 ვ-ზე: „ქე, შენ მქლ და დთ და მქლ, ან“.

12. 214 r-ზე: „ქე, შე ქიტაჲ და დთ, შვილნი, ძმანი და მშობელნი მათნი მეოხებითა წის ონოფრესითა და ყლთა წითა შნთაჲთა, ან“.
13. 228 v-ზე: „ს წო მოწამეო მარია(მ), მზ ეყავ წე ქეა სლსა ქიტაისსა, დავითაისასა, სუმეონისა, გბრლი[სა], ელენესა. ანაჲსა, ბეთანიაჲსა, მართაჲსა, მქლისა, მქლისა და ფდ ცოდვილისა დთისა, საბაჲსა, და იჲსენ ყლთა ბრალთა მითაგან, ან. ნუსხად წერისადა შემინდეთ, ესთენ შემე(ლო)“.

ამ მინაწერ-მოსასხენებელთაგან, რომლებიც, როგორც ვთქვით, ნუსხის დამწერის ხელით არის შესრულებული, უმეტესობა დავითს თუ დავითას ასახელებს ყველაზე ხშირად, შემდეგ მიქაელს, ქიტას, საბას, გაბრიელს, სუმეონს, ბეთანიას, ელენეს და ბოლოს თითოჯერ — ანას, მართას, თოდორესა და პროხორეს. პირველი ორი გადამწერნი უნდა იყვნენ. ხოლო სხვები, ალბათ, ან მოძღვარი არიან, ანდა სულიერნი ძმანი, როგორც ერთგანა ნათქვამი. პროხორე კი, რომლისათვის გამოთხოვილია სულით დიდება¹, აღმამენებელია ჯვრის მონასტრისა, რომელსაც ჰკეთვნებია ჩვენი ხელნაწერი, შესრულებული იქვე, ეტყობა, პროხორეს გარდაცვალების წინათ თუ შემდეგ, ახლო ხანს, ყოველ შემთხვევაში XI ს.-ის მეორე ნახევარში.

ნუსხის ხელიც ამ ხანისად გამოიყურება. ორკბილა ონი, მანები, ზემო-მო-მოქნილი და არა გატეხილი ხაზით, საერთოდ ნომრგველო ნუსხა-ხუცური დაწერილობა და მასთან ორთოგრაფიაც, რომელიც ზემორე წარმოვადგინეთ, დამახასიათებელი არიან ამ ხანის ხელნაწერებისათვის, და უეჭველს ხდიან, რომ ხელნაწერი XI ს.-ის მეორე ნახევრისაა და არა ამ დროზე გვიანდელი.

4. მოკლე რედაქციის უძველესი სრული ნუსხა

ამ რედაქციისა რამდენიმე ნუხა მოგვეპოვება. უძველესია A (A—199—833), რომელიც XII-XIII სს-ად ითვლება ხელის მიხედვით. იგი ფრაგმენტულად არის მოღწეული². მისი მომდევნო იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის № 36 ნუხა (J), რომელიც აგრეთვე ხელის მიხედვით XIII-XIV სს-ისად მიიჩნევა და სრულად არის მოღწეული³. სრულად არის დატული XVII-XVIII სს-ის სხვა თბილისური ნუსხებიც: B (H—972), XVII სს-ისა; C (Q—40), ამავე საუკუნისა; D (S—300), 1779 წლისა⁴ და E (H—186), 1797 წლისა“ (მცირეოდენი დანაკლისით).

¹ ასეთივე ფორმულირებით მოხსენებულია პროხორე ჯვრის მონასტრის ერთს სხვა თარიღიან, 1056 წლის ნუსხაშიც, № 7 (პროფ. ალ. ცაგარლით № 105, პროფ. რ. ბლეკით № 14): ნ. მართი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, დასაბუქდდ მონაზადა ე. მეტრეველმა, თბილისი, 1955, გვ. 16-17.

² Баллар и Юдасиф... нзда А. Хаканов, Москва, 1902.

³ Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem par. R. Blake, 1924—1926.

⁴ სიბრძნე ბალავარისი ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1895.

ყველა აქ ჩამოთვლილი ნუსხა ერთ რედაქციას ეკუთვნის. ესენი ერთი-მეორეს იმეორებენ ძირითადად, მაგრამ ზოგჯერ თვითეული მათგანი რამდენადმე ერთურთს ზოგ რამეში სცილდება, რაც გადამწერთაგან მომდინარეობს (უმეტესად უნებლიეთ, ვიდრე ნებისით) და არა რედაქტორისაგან. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ასეთ გადახრებს, რომლებიც გარკვეულ შემთხვევაში, კერძოდ ნუსხის თარიღის დასადგენად, მნიშვნელობას არაა მოკლებული, შეიძლება ვილაპარაკოთ პირვანდელ ტექსტზე, რომელიც უკვე უმთავრესად ავტორისა თუ რედაქტორის კალამს უკავშირდება.

როგორც ვნახეთ, მოკლე ბალავარიანის სრულად შემკველი უძველესი ნუსხათაგანი კვლავ იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციას ეკუთვნის. იგი ხელისა და ორთოგრაფიის მიხედვით XIII-XIV სს-ისად მიიჩნევა, რაც სწორი უნდა იყოს. მასზე აღრინდელად, როგორც ზემორე აღვნიშნეთ, ჩვენს სიძველეთ-საცავში დაცული (A 199/833) მხოლოდ ერთი ნუსხა ითვლება, მაგრამ იგი, ჯერ ერთი, დიდად არ უსწრებს მას წინ (XII-XIII სს-ის ნუსხად მიიჩნევა) და, მეორე, მცირეოდენ ფრაგმენტებს წარმოადგენს. ამ ნუსხასთან დაკავშირებით უაღრესად საგულისხმოა ისიც, რომ იგი, როგორც მისი ერთი მინაწერიდან ჩანს, ერთ დროს იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერს ჰკუთვნებია და ამიტომ შეიძლება მოგვიანო ნუსხისათვის დედნობას ეწეოდა. სხვა XVII-XVIII სს-ის ნუსხები, რომლებიც თითქმის უკლებლივ ზედმიწევნით იმეორებენ ერთმანეთს, მიჰყვებიან დასახელებულთ და ის მცირეოდენი განსხვავება, რაც აქა-იქ მათ ატყუია, გადამწერთა შენამატია და ადვილად აიხსნება მათი წარმომდინარეობა ერთმანეთთან შეჯერებით.

წინამდებარე გამოცემაში ჩვენ ამ რედაქციის ნუსხათაგან უძველესნი გამოვიყენეთ, როგორცაა ფრაგმენტებად მოღწეული A 199/833, სრული ტექსტი XIII-XIV სს-ის იერუსალიმური ნუსხისა (J 36) და XVII სს-ის თბილისური ნუსხები H—972 და Q—40. XVIII სს-ის ნუსხებიდან, რომლებიც 1937 წლის გამოცემისას გამოვიყენეთ, მხოლოდ წმინდა ვარიანტული ჩვენებანი (გრამატიკულისა და ლექსიკური რიგისა) შემოვიტანეთ და აღვუსხეთ ვარიანტების მწკრივში.

მოკლე ბალავარიანის შემკველი იერუსალიმური ხელნაწერი აგიოგრაფიულ ნაწარმოებთა კრებულს წარმოადგენს, შემდგარს 313 ფურცლისაგან. ხელნაწერი მთლიანად ქაღალდისაა, ნაწერია ორ სვეტად ნუსხა-ხუცურით. ბალავარიანი აქ მოთავსებულია 76 v—109 v-ზე.

მოკლე ბალავარიანის იერუსალიმური ეს ნუსხა გარკვეული ორთოგრაფიული თვისებებით ხასიათდება. იგი მსგავსად მასზე აღრინდელისა და ნაწვეტებად შემონახულ XII-XIII სს-ის ნუსხისა (A 199/833), უ-ს შემდეგ ყოველთვის მერვე ე-ს (შ) ხმარობს.

¹ სიბრძნე ბალავარიანი... ილია აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1937.

² „ადიდენ ღმერთან ერთადვე შინა ცხოვრებათა პატიოსანი მოღარეთ უხუცესი ბლად, წმიდისა ანის წიგნისა მომკებელნი, რომელთა შესწირეს პატიოსანსა და ცხოველს მყოფელსა ჯუარსა, რომლისა საყოფელსა ადგილსა სახელად იგივე ჯუარი ეწოდების“ (A—199, 42 r).

უმარცხო და მარცვლიანი უ ერანიირად იწერება; ქ-თი ძირითადად უი დითონგია გადმოცემული, მხოლოდ აქა-იქ ის უბრჯგუსაც გამოხატავს, მაგ.: მიაწყდია (36, 32), მიგვხვენს (105, 25) და სხვ... უფრო იშვიათად მას (უბრჯგუს) ვხვდებით ო-ს მაგივრადაც დაწერილს; ასე მაგ.: ბუროტნი (38, 19).

დამახასიათებელია ისიც, რომ „დადგრომა“ სიტყვაში მეტათეზისია მომხდარი და ყველგან ეს სიტყვა წარმოდგენილია, როგორც „დადგრომა“ (105, 35..).

ხელნაწერში შეინიშნება ზოგჯერ ემფატიკური ა-ს ჩამოკვეცა განსაზღვრებად წინ წამძღვარებულ სიტყვებში: „მეთის ძისა“ და სხვ...

ტექსტის მხრით ეს ნუსხა მოკლე რედაქციის სხვა ხელნაწერებთან მიმართებით ერთს მეტ ადგილს (აბზაცს — 69, 8-39) აჩენს, რომელიც პარალელს პოულობს ვრცელ ბალავარიანში. უნდა ვთქვათ, რომ ეს ადგილი ან უნებლიეთ უნდა აკლდეს ამ რედაქციის სხვა ნუსხებს, ანდა განზრახ გამოტოვებული უნდა იყოს, რადგან მასში ისეთ განყენებულ თემაზეა საუბარი, როგორცაა ღვთის დიდების გამოთქმა. ასეთებს მოკლე რედაქცია, როგორც ენახათ, საერთოდ გვერდს უვლის, რათა ზედმეტად არ დაამძიმოს თხრობის დინება თავადასავლის შესახებ, რის გადმოცემას ის უმეტესად გულისყურით ეკიდება.

II. მოკლე და ვრცელი რედაქციის დამოკიდებულებისათვის

1. მოკლე რედაქციის ტექსტის დამახასიათებელი ნიშნები

მოკლე ბალავარიანი ყველა ნუსხის მიხედვით ერთნაირ სათაურსა და დასაწყისს გვიჩვენებს: „გვთხრობდა ჩუენ მამაჲ ისაკ, ძე სოფრონ პალესტინელისაჲ, და არს წიგნი ესე სიბრძნე ბალაჰვარისი, რომელი იყოფებოდა უდაბნოთა მძოვართა თანა. მივიწიე ოდესმე იოპედ და მუნ ვპოვე წიგნი ესე ჰინდოთა საწიგნესა, რომელსა შინა სწერიან საქმენი ამის სოფლისანი, ფრიად სარგებელნი სულისანი“. «სიბრძნე ბალაჰვარისი» ფართო სამეცნიერო წრეებისათვის გასული საუკუნის მიწურულიდან (1895 წლიდან) შეიქმნა ცნობილი, ჯერ, ე. თაყაიშვილის გამოცემითა¹ და, მერმე, ივ. ჯავახიშვილის მიერ შესრულებული რუსული თარგმანით (1899 წლიდან)². ამ ძეგლის ტექსტობრივი თვისებების შესახებ ზოგიერთი შეხედულება იმთავითვე შეუმუშავდა მასზე მომუშავე მკვლევრებს, განსაკუთრებით იმ დროს, როცა სწავლობდნენ მას უკუხო ბალავარიანებთან მიმართებით, ზოგიერთი კი შემდეგში, ზოგჯერ მიმართების გარეშეც. მოკლე ბალავარიანის ტექსტობრივ დამახასიათებელ მხარეებზე საუბარი უფრო მეტი სისრულით არის შესაძ-

¹ სიბრძნე ბალავარისი ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1895.

Мудрость Балавара, перевод И. А. Джавахова: Записки Восточного Отделения ... XI, стр. 1 — 48.

ღებელი დღეს, როცა უკვე ხელთა გვაქვს ბალავარიანის ახალი რედაქცია, რომელიც დიდ მოკულობასთან ერთად დიდ ტექსტობრივ შეხვედრას იჩენს მასთან, რის გამოც მათ ეს საიელი შეერქვა: «მოკლე ბალავარიანი».

«მოკლე ბალავარიანი» ტექსტის თვისებათა ზოგადი დახასიათება შენიშვნის სახით ყველაზე უწინარეს ჯერ კიდევ 1899 წელს წარმოადგინა ნ. მარმა ერთს თავის ნაშრომში, რომელიც ქართული ბალავარიანის მიუძღვნა¹. აქ ის «ბალავარის სიბრძნისა» და ბერძნული «ვარლამისა დანიასაფის ცხოვრების» ერთმანეთთან დამოკიდებულების შესახებ საუბრისას, კერძოდ იმაზე, რომ კონიბირის ნაშრომის სახანამად არ შეიძლება ქართული ზღერის ბერძნულის შემოკლებული გადმონაკეთები იყოს და, მით უმეტეს, შენოკლებული თარგმანით, შენიშნავს: «Мы однако не имеем бы ничего против того, если бы в известном пока грузинском тексте исследователи признали позднейшее сокращение недоданного до нас древнего грузинского текста Мудрости Балавара; на это предположение наводит нас не столько краткость изданного грузинского текста, сколько неожиданные и резкие места переходы, а кое-где и неясности, так напр. бросается в глаза непоследовательность в разсуждении о тленности мира, где (Г а к а и ш в и л и, pp. 40 — 41 = Д ж а в а х о в, стр. 20) о человеке говорится сначала в первом лице, а затем вдруг в третьем. Не внушает доверия текст и в прощальной речи Иодасафа (Т а к., p. 93 = Д ж а в., стр. 47) . . .»² და აქედან სამოწმოდ მოჰყავს ერთი შემთხვევა, სადაც თითქოს შებლაღული უნდა იყოს ტექსტი. ნაცვლად არსებულია: «რამეთუ იგი არს მეგობარი კეთილი, რომელი არა ჭიკამან მოიგოს» თითქოს უნდა ყოფილიყო: «რამეთუ იგი არს მეგობარი კეთილი, რომელი არა *როკიკმან მოიგოს». თავი რომ დაეანებოთ იმის შემოწმებას, თუ რამდენად მართებულია ნ. მარის საილუტრაციო მაგალითები, ერთი ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ნ. მარის ზემოთ მოყვანილი დაკვირვება საერთოდ სწორია. ცხოვლად და რელიგიურად გამოიყურება აღნიშნული დაკვირვება, როცა უკვე ქართულ ენაზევე მოგვეპოვება ბალავარიანის ვრცელი რედაქცია, რომელთან მიმართება დღემდის ცნობილი რედაქციისა (მოკლისა) მათს გარკვეულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

2. მოკლე რედაქციის ვრცელზე დამოკიდებულების ნიშნები

ერთმანეთის პარალელურად მოთავსებული ვრცელი და მოკლე ბალავარიანის ტექსტების პირველი ჩაიკითხვიდანვე შთაბეჭდილება გვექმნება, რომ მოკლე უმეტეს წილად გამოჰყრება ვრცელის ტექსტს გარკვეული ხერხითა და საშუალებით და მასთან ზოგან ტექსტის შემოკლებას თავისი სიტყვებით ეწევა და

¹ Н. Марр, Армяно-грузинские материалы для истории Душеспользной повести о Варлааме и Иодасафе: Записки Восточн. Общ. муш. русског арх. общества, т. XI, стр. 49—78.

² იქვე, (სქოლიო, 2 შენიშ.),

ზოგან სრულიად კვეცს ან აგდებს ვრცელის ტექსტს. და მართლაც, ბალავარიანის ორივე რედაქციის გულდასმით შედარება ერთმანეთთან გვიდასტურებს, რომ გარკვეული ინტერესით შეცდომებული მოკლე ბალავარიანის ტექტი ვრცელის ნამდვილი შემოკლებაა, რასაც გვიმტკიცებს:

- ა. სიტყვებისა და ფრაზების შენაცვლება-შესწორების შედეგად წარმოშობილი გაუგებრობანი;
- ბ. თხრობისა თუ მსჯელობის არათანმიმდევრობა;
- გ. დაგდება რაიმე ნიშნისა თუ მომენტისა, რომელიც მერმე ჩნდება მოულოდნელად შედეგად თხრობის ასწრაფებისა და მით გატაცებისა, რაც მოკლე რედაქციის დამახასიათებელია; და
- დ. გრაფიკის ნიდაგზე აღმოცენებული შეცდომები და გაუგებრობანი.

ტ. სიტყვებისა და ფრაზების შენაცვლება-შესწორების შედეგად წარმოშობილი გაუგებრობანი

ტექსტის გამოკრებასთან ერთად გარკვეულ ნაწილებში ბალავარიანის მოკლე რედაქციას, როგორც შედარებიდან ირკვევა, ახასიათებს ზოგიერთი სიტყვისა თუ ფრაზის შენაცვლება-შესწორება, გამოწვეული, როგორც ჩანს, რედაქტორის ჩარხით. ასეთი ჩარხის კერის შედეგად აქა-იქ რედაქტორის დაუკვირებლობის წყალობით დაშვებულია ზოგიერთი უსწორმასწორობა თუ გაუგებრობა, რაც ტექსტების მიმართების საკითხის გარკვევისათვის ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს. მოვიყვანოთ აქ რამდენიმე ნიმუში.

ა) ვრცელი ბალავარიანის 50-ე თავის ერთი ადგილის თანახმად იოდასაფი მიმართავს. ბალავარს: „შენ მხადი ძედ მეფისად და მე არა ვარ ძე მეფისაჲ, არამედ მონაჲ და ძე მონისა უკეთურისაჲ, ხოლო ლმერთმან განადიდა კეთილი მისი შენ მიერ ჩემ თანა და ეგრეთვე სარგებელი შენი ჩემ მიერ, რამეთუ მიზეზ მექმენ მეცნიერებასა უფლისა იესუ ქრისტესა“ (88, 36—89, 4). აზრი ნათელია. იოდასაფი ამბობს: მეძაბით მეფის ძეს, მაგრამ არა ვარ მეფის ძე, არამედ [ვარ] მონა-მსახური და ბოროტი მონა-მსახურის ძეო (ბოროტ ანუ უკეთურ მონა-მსახურად მაშამისი აბენეს მეფე იგულისხმებდა). ეს ადგილი მოკლე ბალავარიანში ასეა წარმოდგენილი: „შენ მხადი ძედ მეფისა და არა ვარ ძე მეფისაჲ, არამედ მონაჲ და ძე მეფისა უკუდავისაჲ, ხოლო ლმერთმან განადიდა კეთილი მისი შენ მიერ ჩემ ზედა, რამეთუ მიზეზ მექმენ მეცნიერებასა ღმრთისასა“ (88, 32—89, 5). აქ კი იოდასაფი თავის მონა-მსახურად და უკვდავი მეფის, ე. ი. ქრისტეს ძედ აცხადებს, რაც იოდასაფის მხრით ერთგვარი კადნიერებაა. ამრიგად, შენაცვლებამ, რაც მოკლე რედაქციის ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია, გამოკრება-შემოკლების დროს ერთგვარი გაუგებრობა წარმოშვა.

ბ) სხვაგან კიდევ ვრცელს ბალავარიანში (66-ე თავში), როცა იოდასაფი არიგებს ბარაქიას, გამოამწვიდობებისას მას ეუბნება: „ნუშცა წარიტყუენვის გონებაჲ შენი სიმალლითა საყდართა შენთაჲთა, ნუცა ვის ეაჲ შემწედ შენდა, გარნა მხოლოსა ლმერთსა“ (160, 35-38). აზრი აქ ისაა, რომ ნუ

მოიხიბლება შენი გონება შენი ტახტის სიმაღლე-სიდიადითო. ამის საპირისპიროდ მოკლემი ვკითხულობთ: „ნუცა წარიტყუნენი გონებითა სილაღითა საყდრისა შენისაჲთა, ნუ ვის ესავ შენწოდ შენდა, თვნიერ ღმრთისა“ (160, 35—161, 5). აქ კი ისანათქვამი, რომ ნუ მოიხიბლები თუ მოგხიბლავენ გონებით შენი ტახტის სილაღითო. უდაოდ ბუნდოვანობაა, წარმოშობილი იმით, რომ მოკლე ბალავარიანის რედაქტორმა შეცვალა „სიმაღლე“ შეუფერებელი „სილაღით“.

c) მოყვანილ მაგალითთა მსგავს ნიმუშად უნდა დავასახელოთ ვრცელი რედაქციის 3ნ-ე თავის ის ადგილი, სადაც იოდასაფი ბალავარს აწვდის ძვირფასეულობას ან განძს მისი მეგობრებისათვის.

„ჰრქუა ბალაჰვარ: ვითარ მისცემ მოყუასთა ჩემთა საფასესა, და შენ უმკოდვეს ხარ მათსა, რამეთუ არავენი ნისციის გლახაკმან მდიდარსა, არამედ მდიდარმან გლახაკსა, რამეთუ უგლახაკესი მოყუასთა ჩემთაჲ უმდიდრეს არს შენსა, ხოლო მე ვესავ, თუ უფალსა უნდეს, რაჲთა განმმდიდრდე და განმრავლდე ნაყოფნი შენნი, და საფასენი შენნი, და დასძვრდე და ვერ თავს-იღებდე მიცემად ნისგანსა ვისაჲ. ჰრქუა იოდასაფ: ვითარ იყოს უგლახაკესი მოყუასთა შენთაჲ უმდიდრეს ჩემსა და შენ ფრიადსა უპოარებასა მათსა იტყოდე!“ (81, 10-22).

ეს ადგილი მოკლემი ამ სახითაა წარმოდგენილი:

„მოუგო [ბალაჰვარ]: ვითარ მისცემ საფასესა მოყუასთა ჩემთა, რამეთუ უკუანაჲსკნელი მათი უმდიდრეს არს შენსა?! ჰრქუა იოდასაფ: ვითარ არს უგლახაკესი მოყუასთა შენთაჲ უმდიდრეს ჩემსა, რამეთუ იტყვ ფრიად უპრვარებასა მათსა?!“ (81, 12-23).

კიდევაც რომ მიჩნულ იქნეს „უგლახაკესის“ მარჯვე შენაცვლებად „უკუანაჲსკნელი“, იგი შეკითხვაშია წარმოდგენილი, რომელიც პასუხში უნდა მეორდებოდეს, რაც დარღვეულია და ამიტომ ერთგვარად ბუნდოვანობას უწყობს ხელს*.

d) კითხვა-პასუხის მხრით უთუოდ შეუფერებელია მოკლე ბალავარიანის ერთი ადგილი, რომელიც მისით რაქისის მოქცევას ეხება (რაც ვრცელმა არ იცის), ხოლო ვრცელით — თედმასას. ეს ადგილი მოკლემი ასე იკითხება: „ჰრქუა რაქის: ვინ უწყის, თუ ქეშმარიტსა იტყოდეს წინაწარმეტყუელნი და მოციქულნი? ჰრქუა: ამით გამო უწყის...“ (104, 16-19). პასუხის შესაბამისად (რამით გამო უწყის?) შეკითხვაში უნდა ყოფილიყო: „ვინაჲ უწყის?“ და მართლაც ასე ეს შეკითხვა ვრცელს ბალავარიანში: „და ვინაჲ უწყის, თუ ქეშმარიტსა იტყვან წინაწარმეტყუელნი, ვითარმედ ღმრთისა მიერ მოვინებულ არიან?—ჰრქუა მეფემან იოდასაფ: ამის გამო უწყის...“ (150, 36-38).

e) ანალოგიურია აგრეთვე ერთი სხვა ადგილიც. 32-ე თავის დასაწყისში იოდასაფის შეკითხვაზე — „ვინაჲთ უწყის, თუ ქეშმარიტსა იტყვან [მოციქულნი]?“ — პასუხია ბალავარისა: „ამით უწყის ქეშმარიტებაჲ სიტყვსა.

* ანალოგიური იმი scns-ები სხვაგანაც ჩანს. მათ შესახებ იხილეთ სკოლიოები გვ. 33. 63, 110...

მათისაჲ, რამეთუ განეყენეს სოფელსა ამას და მყოფთა სოფლისათა“ და სხვ... (72, 30-34). ეს მართებული კითხვა-პასუხი ვრცელისა („ვინაჲთ უწყი... ამით უწყი“) დარღვეულია მოკლე რედაქციაში, სადაც შენაცვლებულია სიტყვები შეკითხვისა, რომელსაც აღარ შეესაბამება უცვლელად დატოვებული დასაწყისი სიტყვები ბალავარის პასუხისა. აი ეს შეკითხვა და პასუხი (72, 29-35): „**ვითარ ჰგონებ, თუ ქეშმარიტა იტყოდეს [მოიკიჟლნი]? ჰრქუა ბალავარ: ამით უწყი ქეშმარიტებაჲ, ვითარცა პირველ ვთქუ, რამეთუ შეუდგეს უფალსა ღმერთსა ჩუნსა და განეყენეს მონაგებთაგან**“ და სხ... (შეკითხვა: „**ვითარ ჰგონებ**“, პასუხად ვერ მოგვეცემს — „ამით უწყი“).

4. თხრობისა თუ მსჯელობის არათანმიმდევრობა

ამის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს 43-ე თავი, სადაც საუბარია შეხვედრაზე მძოვარ კაცთა გუნდისა და აბენეს მეფისა, რომელთა შორის დიალოგი იმართება. ვრცელი წიგნით ამ სიტყვის-გებაში გუნდის (ტექსტით: გროს) მეთაურ წმინდა კაცთან თავიდან ბოლომდე რაქისი და მეფეა ჩაბმული, ხოლო მოკლით მარტო მეფე ესაუბრება ამ გროს, რომლის ნაცვლად მოულოდნელად ხშირად პასუხს იძლევა ვიღაც კაცი, რომლის ვინაობა ამ რედაქციით არსით ჩანს მთელი თხრობის მანძილზე (94, 25 — 98, 14).

5. დაგდება რაიმე ნიშნისა თუ მომენტისა, რომელიც მერმე ჩნდება მოულოდნელად შედეგად თხრობის ასწრაფებისა და მით გატაცებისა, რაც მოკლე რედაქციის დამახასიათებელია

a) ბალავარიანის 48-ე თავში, რომელშიც საუბარია თედნას გამოცხადებაზე მეფესთან შემწეობის აღმოსაჩენად, მოკლეში ერთგან ნათქვამია (121, 36 — 122, 4): „**მაშინ განრიხსნა თედმა და დააგდო კუერთხი იგი, რომელ აქუნდა ქელთა მისთა, და მოიპარცუა ძონძი იგი, რომელი ეხუა წელთა მისთა, და შიშუველი დადგა წინაშე მეფისა**“ (შდრ. ვრცელთან 121, 37 — 122, 3: „**მაშინ განრიხსნა თედმა და დააგდო კუერთხი იგი, რომელი იყო ქელთა მისთა, და მოიქსნა ძონძი იგი, რომელი ებლარდნა წელთა მისთა, და შეითხზნა თითნი მისნი, და შიშუელი დადგა წინაშე მეფისა**“). ამის შესაბამისად მოკლე რედაქციაში მოსალოდნელი იყო, რომ ადრე, წინათ ნათქვამი იქნებოდა რაიმე იმკვერთხზე, „**რომელ აქუნდა ქელთა მისთა**“. მაგრამ სათანადო აღვილს (და არც სხვაგან აღნიშნულამდის) არაფერია ნათქვამი. ვრცელში კი, მართლაც, შესაფერის აღვილს (119, 18 — 119, 22) სწერია: „**იხილა მეფემან კაცი იგი, შე-რაჲ-ვიდოდა იგი წინაშე მისსა, და არარაჲ ემოსა, გარნა ძუელი რაჲმე შენოედვა წელთა ზედა, და კუერთხი აქუნდა ქელთა მისთა**“ (შდრ. მოკლე: „**და ვითარცა შევიდოდა წინაშე მეფისა, არაჲ ემოსა თუნიერ ფლასისა ნაძუელი, რომელი შემოედვა წელთა მისთა**“ — 119, 18 — 119, 21). უეჭველია, რომ თხრობის აჩქარების გამო მოკლე აგდებს

ისეთ ნიშანს, როგორც შემდეგში, გვიან, ისე გამოჩნდება, თითქოს ის ხელ-შეუხებელი დარჩენილიყოს (მსგავსი შემთხვევაა 68-ე თავის ბოლოსაც: ნ. გვ. 167, შენ.).

ასეთი შემთხვევა სხვაგანაც შეინიშნება მოკლე ბალავარიანში.

ბ). მე-4 თავის ერთ ადგილს სწერია: „ხოლო მეფემან ძესა თჳსსა აღუ-შენა ქალაქი და [ამცნი] მუნ შინა ყოფად ძესა მისსა. და უბრძანა, რაათა ბერი კაცი არა უტეონ მას შინა ყოფად“ (10, 16-20). ვის უბრძანა, რომ არა უტეონ ბერი კაცი? ეს მოკლე რედაქციით არ ჩანს, ვრცელი კი იმ მსახურებს ასახელებს, რომლებიც მეფემ შვილს დაუყენა. მსახურებზე მოკლემიც არის საუბარი, მაგრამ უკვე გვიან, რაც იმას მოწმობს, რომ მოკლე წიგნის რედაქტორი თხრობას ისე აჩქარებს, რომ იჭრება წინ და ავიწყდება ზოგიერთი აუცილებელი გარემოება, რომლის დაგდება თუ დავიწყება შეუძლებელია.

ც). ასევე, მომდევნო თავში, სადაც მოკლე ბალავარიანში ბალავარზეა საუბარი, ხოლო ვრცელში — სარწმუნო თანამზრახველზე, და გადმოცემულია მეფის მიმართვა მისდამი, — „რასა იტყვ ერთგულო და თანამზრახველო ჩემო“ (13, 7-8), — აგრეთვე მოულოდნელად გაიშის ეს სიტყვა („თანამზრახველი“), რადგან ადრე, წინ, არსად ყოფილა ნახსენები ბალავარის თანამზრახველობა.

დ). ამავე თავში, სადაც თხრობაა სიტყვის მკერაეის შესახებ, მოკლემი ერთგან ბალავარი ეუბნება სიტყვის მკერაეს (14, 2-6): „შენ მეტყოდე, ვითარმედ: განჴკურნებ სიტყვთა წყლულსა. და ჰრქუა მას კაცმან მან; და არსცა ეგრე, ნუუკუე გიგმს რაჲმე აწ?“ ამ კონტექსტით ბუნებრივად საფიქრებელი ხდება, რომ ადრე საუბარი უნდა ყოფილიყო სიტყვით განკურნებაზე წყლულისა, მაგრამ ამაოდ გაირჯება ადამიანი, თუ ასეთი ადგილის ძებნას ნიყოფს ხელს მოკლე ბალავარიანში. იქ მხოლოდ იმას აღმოაჩენს, რომ ნათქვამი იქნება განუმარტებლად: „მე ვარ კაცი სიტყუს მკერაეი და მტეცისაგან შექმულ ვიქმენ“ (11, 31 — 33), მაშინ როცა ვრცელშია: მე კაცი ვარ სიტყუსა მკერვალი... უკუეთუ იყოს სიტყუათა შინა წყლულებად, შეეკერო, რაათა არა მოიწიოს მის მიერ ენებაჲ“ (12, 3-8). აქედან ნათელია, რომ ადრე ასეთ კერვა-მკურნალობაზე მოკლემაც საქირო იყო თქმულიყო რამ, მაგრამ, როგორც ჩანს, რედაქტორს ეს მომენტი გამოჰპარვია მხედველობიდან და ამიტომ ახლა მკითხველი დაუქმყოფილებელი და გაუგებრობით მოკლული რჩება¹.

ცხოვრების წიგნის შემოკლების გამო ბუნდოვანობა და გაუგებრობა მოკლე ბალავარიანში სხვაგანაც შეინიშნება. ასე მაგ., მე-8 თავის ერთ ადგილს იოლდასთვის ურვასა და მწუხარებაზეა საუბარი. სამყოფლოდან რომ ხშირად ვარეთ ვადიოდა იოლდასთი და ეცნობოდა ამ სოფლის სიავკარგეს, მეტად სასოწარკვეთილი რჩებოდა და აღარაფრად მიაჩნდა ამქვეყნიური შებოა. მაგრამ „ამასვე ყოველსა თანა ესათნობოდა მამასა, და მი-რაჲ-ვიდის იგი

* «სიბრძნე ბალავარისის» ამ ადგილის გაუმართაობა პროფ. გ. წერეთელმა აღნიშნა რამდენჯანსე პროფ. შ. ნუცუბიძის მიხსენებათა გარშემო მსჯელობის დროს 1956 წელს.

„მისა, იწყის მან განცხრომად“ (26, 7-10). რად იწყებდა განცხრომას, რად იყო ასეთი რამ საჭირო ურვეული ადამიანისათვის, მოკლის ტექსტით არა ჩანს. შემოკლებისას ეტყობა გამოუტოვებია რედაქტორს, რის გამო დაუმთავრებელი აზრის შთაბეჭდილება გვრჩება ამჟამად. ვრცელში კი ასეთი რამ არ იგრანობა. იქ წესიერადაა ტექსტი: „ამას ყოველსა თანა ესათნობოდა მამასა თჳსას; და რაჟამს შეემთხვის, იწყის განცხრომად და მზიარულებად, ნუჟუჟე ცნას მამამან მისმან, რამ-იგი არს გულის სიტყუჲ მისი და დააყენოს იგი მთერითგან განსლვად ქალაქით“ (26, 11 — 16).

რედაქტორი ზოგან იმდენად არის გატაცებული შემოკლებით, რომ მის მიერ ნაოპერაციევი ტექსტი სულ ნათელი არ რჩება და გასაგებდაც საკმარისად საქოქმანოა, თუ სრულიად ბუნდოვანი არა. ასე მაგ., მე-9 თავში, სადაც საუბარია მზარდულსა და ბალავარს შორის უცხო „ქურქლისა“ და თვალის შესახებ, რომელიც უნდა უჩვენონ მეფის ძეს, მოკლე რედაქციაში ნათქვამია (28, 19 — 25): „პრქუა მას მზარდულმან: კაცო, არას ვხედავ სახესა უგუნურებისასა, გარნა სიტყუანი შენნი ნამეტნავ არიან და მეშინის, ნუჟუჟე განმტყუენო მეფისა ძისა. აჲ მიჩუენე, რამათა ვიხილო და ეგრეთ ვაუწყო მისთჳს“. უფრო ნათელი და გასაგებად აღვილია ვრცელის შესაბამისი აღგილი (28, 19-34): „პრქუა მას მზარდულმან მან: არარას ვჰხედავ შენ თანა, კაცო ვინმე, სახესა უგუნურებისასა, გარნა სიტყუანი შენნი მსგავს არიან სიტყუათა ჩეტნობისათა გარდარეულად მეტყუელთასა, რამეთუ იტყვ რასამე, რომელი არასადა მასმიეს ესევეთარი, და განმტყუენებასა შენსა ვერვე დავიდებ გულსა ჩემსა სიბრძნისათჳს, რომელსა-ესე ვჰაედავ შენ თანა!.. უკეთეთ ჯერ-იყოს სამეფოდ, ვაუწყო მისთჳს ძესა მეფისასა, რამეთუ არა ჯერ-არს ჩემდა, თჳმცა უქე რამე უფროს ზომისა და შემდგომად ხილვისა მისისა არა ეგრეთ ჰოვა, ვითარი-იგი ვაუწყე მისთჳს“.

ბ. ვრცელი ნიადაგზე აღმოცენებული შეცდომები და გაუგებრობანი

ვრცელი ბალავარიანის მიმდევარი მოკლე ბალავარიანის რედაქტორი ზოგჯერ ჯერონად ვერ კითხულობს ტექსტის ამათუიმ, უფრო, როგორც ჩანს, დაქარაგმებულ სიტყვებს, და ამ ნიადაგზე შეცდომები მოსდის. ასეთი ვითარების შედეგი უნდა იყოს მაგ., „ვაუწყეს-ს“ ნაცვლად „ვაწვე“, „მეაურვა-ს“ მაგიერ „შეარყია“ და „მეტნობაჲ-ს“ წილ „მე ცნობაჲ“.

ვაუწყეს → ვაწვე.

„სიტყუაჲ ერთი მრქუა მე და „სიტყუაჲ ერთი მრქუა მე, და მე ვაუწყეს უმჯობესი“ (ვრცელი 14, ვაწვე უმჯობესი“ (მოკლე 14, 16-17).

ცალ-ცალკე არცერთი წინადადება. გაუგებარი არაა, მაგრამ მხოლოდ თითო სიტყვით განსხვავებულ სრულიად შესატყვის ფრაზებში, როცა ეს სიტყვები ურთიერთის სინონიმები არაა, ერთი მათგანი ზოგჯერ გრაფიკულ

ციების ჩატარების დროს ყოველთვის გამოკრებილი ტექსტის უცვლელად დაცვა ვერ უზღვევდა და ზოგი რამ თავისივე შეაქვს ხოლმე მასში ნებისთ თუ უნებლიეთ. ასეთ ადგილებში შეინიშნება სწორედ, ჯერ ერთი, რედაქტორის ზრახვები და ნაბიჯები და, მეორე, სათარისო მაჩვენებლები იმისა, თუ როდის უნდა მომხდარიყო ნაწარმოების შემოკლება.

შენაკლების ერთ-ერთ ხერხზე, სახელდობრ ლექსიკურ შენაცვლებაზე, ზემოთაღ შევნიშნავდით ისეთი მაგალითების მოყვანით, რომლებითაც გაუგებრობის შემთხვევებს ვასახელებდით მოკლე ბალეარისაიდან, საიდანაც ირკვეოდა მოკლე რედაქციის დამოკიდებულება ვრცელზე. აქაც დავემატებთ ზოგიერთებს, რომელთაგან ზოგი მაინც ვრცელის შესაბამის ადგილებთან მიმართებით აშკარად გვიანდელი ხმარებისა ჩანს.

ვრცელი

მოკლე

1. „უკუეთუ იხილოს იგი მრუმედ მხედველმან ... მიულოს ნათელი თულათაჲ“ (29, 1-4).

2. „იხილოს თუ იგი უძლურმან გონებითა, იგიცა მოაკლდეს და სახედველნიცა“ (30, 20-22).

3. „მომითულე და წინა-მიყავ პატივი შეუსწავლე ლად“ (30, 30-31).

4. „იწყო კითხვად, რაათა ფასყვენ იგი“ (33, 22-33).

5. „ანუ მეტად აღამალლა და მერმე ქუეყანად დააკუეთა“ (68, 6-7).

6. „მოინადირნეს და მოსწყუდნეს იგინი (=ქურციკნი)“ (80, 14-15).

7. „ვითარმცა საცნაურ იყო—ქეშმარიტსა იტყუს ანუ ცრუსა?“ (73, 33-34).

8. „მომდრეკს შენ ზედა საბელი შვილობისაჲ და მიმიზიდვენ შენდა საქმენი...“ (129, 37—130, 1).

1. „უკუეთუ იხილოს იგი მძიმედ მხედველმან... ნათელი თულათაჲ მოაკლდეს“ (29, 30-33).

2. „იხილის იგი უძლურმან გონებითა, მოაკლდების სახედავთა“ (30, 15-17).

3. „მომითულე და წინა-მიყავ პატივი შეუსწორებ ლად“ (30, 26-29).

4. „უბრძანა დიდებულთა თვსთა, რაათა დააფასნენ კიდობანნი იგი“ (33, 24-26.)

5. „ანუმცა მეტად აღზუავა და მერმე ქუეყანად დააკუეთა“ (68, 8-10).

6. „ხოლო იგინი დაჯოცნეს“ (80, 2).

7. „საცნაურ არს, თუ ჭეშმარიტსა იტყუს ანუ უცნაურსა?“ (73, 33-35).

8. „ხოლო მე მომდრეკს შენდა საშუებელი შვილიერებისაჲ“ (129, 31-38).

წინათ განხილულთა მსგავსი (გვ. 021-023) ერთგვარი ძირითადი შენიშვნები დასახელებულთა შორისაც შეინიშნებოდეს (მაგ., მესამე და მეოთხე მთავრები), ზოგან მონაცვლე სიტყვაც მარჯვე არ იყოს, მაგრამ ერთი ნათელია, რომ ეს უკანასკნელი ნაკლებად არიან თავის ადგილს, რაც გვიანდელი ნაყოფი უნდა იყოს.

მსგავს მოვლენას ფორმათა შენაცვლების დროსაც შევნიშნავთ, კერძოდ ზმნათა ზოგიერთი ფორმისას მწკრივთა მხრით. ცნობილია, მაგალითად, რომ

ხოლმეობითი I აღრინდელი ხანის ტექსტებში უფრო ხშირად გვხვდება და მისი დასუსტების ნიშანგზე და მის შესაცვლელად უკვე X ს-ის ძეგლებში უწყვეტლის ხოლმეობითი გვხვდება¹. შემდეგ საუკუნეებში ეს ახალი მწკრივი კიდევ უფრო იფარაოებს არეს, ხოლო ხოლმეობითი I-ის ხმარება თანდათანობით იზღუდება. ხოლმეობითი I-ის ხმარების შემოსაზღვრა მოკლე ბალავარიანისათვის შესამჩნევი მოვლენაა, მაგრამ შენაცვლება უწყვეტლის ხოლმეობითი კი არ ხდება, რაც ჯერ კიდევ X -- XI სს-ში დაიწყო, არამედ პირველი სერიის სხვა მწკრივებით, რაც, უქვევლია, ამ რედაქციის შემუშავების გვიანდლობას ნიშნავს, ყოველ შემთხვევაში არა ძველი ქართული ენის ხმარების ხანის განმავლობაში, არამედ მის მომდევნოში, მე-11 საუკუნის შემდეგ. აი თქმულის სამოწმო ნიმუშებიც:

ვ რ ც ე ლ ი

მ ო კ ლ ე

1. „რომელი ყოვლადვე სახიერებდასა და კეთილსა აზრახებნ მეფესა კაცთა მიმართ“ (49, 11-13).
2. „ფრიად შეელმის, ვითარცა ელმინ რაჲ კაცსა შვილისა თვისისათჳს“ (49, 23-24).
3. „ფრიად იურვინ კაცი იგი მეფისათჳს“ (49, 36).
4. „შეასხაჲნ ქებასა, ვითარცა ჯერ-არნ მეფეთათჳს“ (50, 19-20).
5. „უფლით ჰხადინ მას და იგი—დედოფლით“ (50, 21)
6. „ამას თანა ეტყუნ“ (67, 37).
7. „ესევეითართა ძნელოანთა აწუეცნ“ (68, 4).
8. „რომელსა შინა იყოფვინ“ (165, 29).
9. „რომელნი - იგი განჰყვებიედ ყრმასა მას“ (22, 25-26.)

1. „ყოველსა კეთილსა აზრახებდა მეფესა კაცთათჳს“ (49, 8-9).
2. „ელმის, ვითარცა ვის ელმისი შვილისათჳს“ (49, 14-15).
3. „ფრიად იურვოდა კაცი იგი მეფისათჳს“ (49, 36-37).
4. „შეასხმიდა ქებასა, ვითარცა შეუენის მეფეთათჳს“ (50, 17-18).
5. „უფლით ხადოდა მას, ხოლო იგი—დედოფლით“ (50, 19-20).
6. „და ეტყუნ“ (68, 3).
7. „ესევეითართა ძნელოვანთა აწუეცნ“ (60, 6-7).
8. „რომელსა იყოფებოდა“ (166, 29).
9. „რომელნი განჰყვებოდე ყრმასა მას“ (22, 27-28).

ამრიგად, ვრცელი ბალავარიანის ხოლმეობითი I-ის მონაცვლელ აღნუსხულ შემთხვევებში მოკლით გამოდის აწმყო (2, 6, 7), უფრო ხშირად კი — უწყვეტელი (1, 3, 4, 5, 8, 9).

ეს ცოტაა. მოკლე რედაქციაში ზმნის ფორმათა ისეთი შენაცვლება გვაქვს, რომელიც მეტწილად სცილდება ძველი ქართული ენის ხმარების ფარგლებს და გვიანდელი ხანის ნაყოფი ჩანს. ასეთია პირველ ყოვლისა: ა) აწმყოს ზმნისწინიანი ფორმების მიჩნევა მყოფადის ფორმებად, ანდა

¹ ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, თბილისი, 1946, გვ. 73 — 74.

ბ) მყოფადის ფორმების შენაცვლება ზმნისწინიანი აწმყოს ფორმებით და, მერმე, გ) «[მინდა]-უნდა-ს» დაგდება და მის მაგიერ «მინდოდა-უნდოდა-ს» ხმარება. აი მათი მაგალითებიც:

ვ რ ც ე ლ ი

მ ო კ ლ ე

- ა. „ღღე ესე ყოველთა ზედა მო-
ოწევისა“ 156, 28.
- ბ. „ცნა, რამეთუ ვერარაჲთ გა-
ნერეს საშჯელსა“ (115, 3-4).
- გ. „უკუეთუ წარხვადე“ (89, 18)
დ.
- ე. უნდა მქურინავსა მას გა-
მოცდაჲ კაცისაჲ მის“ (58, 9-10).

- ა. „ღღე ესე ჩუენ ყოველთაჲ
ზედა მოწევენად არს“ (153, 30).
- ბ. „ცნა, რამეთუ ვერაჲთ ლონის
ძიებითა განერების“ (115, 2-3).
- გ. „უკუეთუ წარხუალ“ (89-20).
- დ. „უკუეთუმცა მინდოდა ბო-
როტი შენი“ (107, 31-32).
- ე. „უნდოდა გამოცდაჲ კაცისაჲ
მის“ (58, 8-9).

შედარებით გვიანდელი ფორმებითა უთუოდ შეცვლილი ვრცელი ბა-
ლავარიანის ზმნის აღრინდელი ფორმები მოკლე ბალავარიანის ასეთ მაგა-
ლითებში:

- | | |
|---------------------------------|--------------------------|
| 1. „მოსრულ არს“ (17, 28). | 1. „მოსრულა“ (17, 28). |
| 2. „შემთხუეულ არს“ (23, 11-12). | 2. „შემთხუეულა“ (23, 8). |
| 3. „მოპიღებიეს“ (30, 26). | 3. „მოპიღიეს“ (30, 20). |
| 4. „უცნობიეს“ (163, 29). | 4. „უცნია“ (163, 29). |

აღნიშნული დამახასიათებელი მოვლენები, განსაკუთრებით ზმნის ფორ-
მათა მხრით, როგორც აღვნიშნეთ, მეტწილად ძველი ქართული ენის ფარგ-
ლებს სცილდება და XI ს-ის მიწურულს ან მის შემდეგ არის
მოსალოდნელი მხოლოდ ჩვენს ენაში. როგორც ზემოთ აღვნიშ-
ნეთ, მოკლე ბალავარიანის აღრინდელი ნუსხა ჩვენ მარტო XII—XIII ს-დან
მოგვეპოვება და ამდენად ზმნის ფარგლებში შემჩნეული ცვლილებები შეიძ-
ლება რედაქტორისა კი არა, არამედ დასახელებულისა თუ მომდევნო საუ-
კუნეების გადამწერთა ნაყოფი იყოს. რასაკვირველია, აღნიშნულ შენთხვევებში
უცილობელია გადამწერთა წვლილიც იყოს წარმოდგენილი, მაგრამ ყველა-
ფერი რომ მათ მიეწეროს, არ იქნება მართებული, წილი უთუოდ მოვა რე-
დაქტორზე, რომელიც XI ს-ის ვასულს თუ მის შემდგომ მოღვაწეობს, რად-
გან მოკლე ბალავარიანის ზემორე აღნიშნული არცერთი ენობრივი მხარე არა
გვხვდება ესოდენ თვალში საცემად მეთორმეტე საუკუნემდელ ხელნაწერებში,
რომელთაც ვრცელი ბალავარიანის ჩვენი ნუსხაც ეკუთვნის.

ამრიგად, მოკლე ბალავარიანის ტექსტის ლექსიკური
თუ გრამატიკული რიგის წარმოდგენილი ნიმუშები მის
გვიანდლობაზე მეტყველებს ვრცელი რედაქციის ნუსხას-
თან მიმართებით, რომელიც XI ს-ის მეორე ნახევრიდან
არის ჩვენამდის მოღწეული.

III. ვრცელი ბალავარიანის წარმოშობის ხანა

საკითხის გასარკვევად კვლავ ტექსტის ჩვენებებს უნდა მივმართოთ. როგორც აღვნიშნეთ, ვრცელი ბალავარიანის ჩვენამდის მოღწეული ერთად-ერთი ნუსხა XI საუკუნისაა. იგი ამდენად ძველი ქართული ენის ხანას ეკუთვნის. ძველი ქართული ენის ხმარების ხანად კი, როგორც ცნობილია, V.—XI საუკუნეები ითვლება. ამ ხანგრძლივი პერიოდის რომელ ნაკვეთს უნდა ზიუაკუთნოთ ჩვენი ძველი? სად უნდა მოთავსდეს იგი თავისი ნიშნებით? აი კითხვები, რომლებზედაც პასუხის გასაცემად საჭიროა შევისწავლოთ ძველის ტექსტი ძველი ქართული ენის სხვა ტექსტებთან მიმართებით და განვსაზღვროთ ენობრივ ნიშანთაგან ის განსაკუთრებული და იშვიათი, რომელიც ჩვენი ძველის ტექსტს დასახელებული ეპოქის ანა თუ იმ გარკვეულ დროსთან დააკავშირებს.

სახელთაგან ასეთ თავისებურებას საკუთარ სახელთა ხმარებაში ვამჩნევთ. — ადამიანთა და გეოგრაფიულ სახელთა შორის. ერთიცა და მეორეც ერთნაირ დაწერილობას ყოველთვის არ გვიჩვენებს. სხვანაირად არის წარმოდგენილი ზოგიერთი მათგანი.

ადამიანთა სახელებიდან განსხვავებულად არის დაწერილი პირველ რიგში ინდოეთის მეფის სახელი. თუ მოკლე რედაქციის ძირითად ნუსხებში იგი აბენეს-ია, ვრცელში ამის გვერდით მისი სხვაგვარი დაწერილობაც მოგვეპოვება. ასეთებია: ჰებენას (13ჰ, 10); ჰებანეს და აბენესე (4, 10...).

მთავარი გმირის სახელად ვრცელი ბალავარიანი უკლებლივ ბალაჰვარ-ს ხმარობს. ასევე მზარდულის სახელიც ყველგან ზადან-ია.

სხვა სახელების დაწერილობათაგან ერთფეროვანი არაა ერთი პირის სახელიც. ესაა მეტწილად ხმარებული ნაქორ, რომლის გვერდით ზოგჯერ ნაქურ-იც გვხვდება.

ადამიანის სახელების მსგავსად ზოგიერთი გეოგრაფიული სახელიც ნაირ-ნაირადაა დაწერილი. ასეთია პირველ ყოვლისა ინდოეთის სამეფო ადგილის (ქვეყნის) სახელწოდება. ვრცელ ბალავარიანში ის ერთგან ბოლაიტ-ის სახით გვხვდება (3, 14), ხოლო მეორეგან — შოლაიტისა (167, 26). როგორც ეხებადეთ, სხვაობა წარმომდგარია გრაფიკულ ნიადაგზე. ნუსხური დაწერილობის „შ“ და „ბ“ ნიშნების მსგავსების გამო ინდოეთის ქვეყნის სახელი არეულად არის დაწერილი. მართებული ფორმა შოლაიტ არის, რადგან იგი პოულობს შესატყვისს სხვა წყაროში, ისიც უცხოში. მას, როგორც ირკვევა, არაბული შავილაბატ ემხრობა¹.

ორგვარი სახით არის დაწერილი აგრეთვე იმ ქვეყნის სახელიც, საიდანაც ბალავარი მოვიდა და სადაც შემდეგში იოდასათი წავიდა თავისი მოძღვ-

¹ Повесть о Варлааме пустынноике и Иоасафе ларенпче илнйиском. Перевод с арабского акад. В. Р. Розена, под редакцией и с введением акад. И. Ю. Крачковского, М.—Л. 1947.

რის მოსაძებნად ბარაქიას გამეფების შემდეგ. ეს ქვეყანა ერთგან სარნადიბ-ად იწოდება (27, 18), ხოლო მეორაგან სარანდიბ-ად (165, 9). ეს სახელიც აგრეთვე არაბულ სახელწოდებას უჭერს მხარს. მსგავსი სახით ცეილონი აღინიშნებოდა არაბულში: سراندیب — სერენდიბ².

ვრცელი ბალავარიანის დასახელებულ უცხო საკუთარ სახელთა ასეთი ნაირნაირი დაწერილობა უთუოდ მოწმობს იმას, რომ ვრცელი ბალავარიანის ტექსტი ჯერ კიდევ დამდგარი, სტაბილური არ გამიძარა, მაშინ როცა მოკლის ტექსტი, ამ სახელთა ერთფეროვანი დაწერილობით ყველა შემთხვევაში ჩამოსხმულია და დამდგარი, რაც გვგონია, მის შედარებით გვიანდლობაზე მიუთითებს.

სახელთა ბრუნვის ფარგლებში ვრცელი ბალავარიანი ისეთ იშვიათ შემთხვევებსაც გვიჩვენებს, როგორცაა წოდებითი ბრუნვის განოხატვა ფორმანტის გარეშე. მეტად ხშირად ეს ტექსტი წოდებით ბრუნვაში დაყენებულ სახელს უნიშნოდ, -ნის გარეშე ხმარობა. მაგალითად, თითქმის ყველგან მიმართვა მეფისადმი ასეა წარმოდგენილი: მეფე! — „ჰრქუა თედმა მეფესა: მეფე, ცხოვნი კერპთა მიერ“ (119, 30); ასევეა ცოტა ქვემოთაც: „ნიუგო თედმა: ზ მეფე, პირველად ჯერ-არს აღსრულებად მოწვეული ესე დიდი დღესასწაული“ (120, 3-5). მოკლე ბალავარიანთან ყველგან ასეთ შემთხვევაში წოდებითი -ნიშანი განუყრელად აბლაეს. მოყვანილი მაგალითებისათვის შდრ. მისი შესაბამისი (119, 25): „ჰრქუა: მეფეო, ცხოვნი კერპთა მიერ...“ და სხვ...

წოდებითის ასეთი ვრცელი ბალავარიანისებრი ხმარება გვხვდება აგრეთვე X ს-ის ერთ-ერთ ხელნაწერშიც, სახელდობრ მიქაელ მოდრეკილის იადგარში (S — 425), კერძოდ მასში შემავალ უქარაგმოდ ნაწერ ძლისპირებში.

ბრუნვის ნიშნის გარეშეა ზოგჯერ „რომელ“ სიმართებითი ნაცვალსახელიც ვრცელ ბალავარიანში, რასაც ზოგან მოკლე ბალავარის ტექსტიც თითქოს უნდა ადასტურებდეს. ასე მაგ., მე-13 თავის დასაწყისში, ერთგან ვრცელში სწერია: „მე ეპკონებ, თუ ესე არს ქურქელი შენი, რომელ ჰჳარაე“ (35, 6-8), რასაც მოკლე რედაქციით შეესაბამება: „და ეპკონებ, რომელ ეგე არს თუალი იგი, რომელსა ჰჳარაე“ (35, 7-9). მაგრამ აქ ეს მოვლენა — მიმართებითი ნაცვალსახელის ოდენ ფუძით წარმოდგენა — უფრო ძველის გადმონაშთი ჩანს, ვიდრე მოკლის ჩვენებაა.

ბრუნვის ნიშნის მოკვეცა, ნამდვილად, თუ, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის ეს, ერთ სხვა სახელთანაც გვაქვს. 45-ე თავში ერთგან (101, 14-15) სწერია: „წინა-აღუდგ ნებასა ჩემსა თავ-მოთნებით და ექუ შჯულსა მამულ შენსა...“, რომელშიც მოსალოდნელი იყო მამულსა (მოკლეში ეს ადგილი სხვანაირადაა: „წინა-აღუდგ ნებასა ჩემსა და დაუტევე სჯული ჩემი“ — 101, 10-12.

¹ H. Marr, «Мудрость Балавара», грузинская версия «Душеспольной истории о Варлааме и Иосафсе», ЗВО, 1889, т. III, стр. 260.

შეიძლება, უკანასკნელი შემთხვევა, მართლაც, გადამწერის ლაფსუსს წარმოადგენდეს, მაგრამ წინა რიგის შემთხვევები იმ სახით, როგორც მას ტექსტში ვაძვლებით, იმდენად ძველი ქართულის ადრეულ ეტაპს (V—VIII სს.) ვერ მიეკუთვნება, რამდენადაც უფრო გვიანდელს, სახელდობრ IX—X სს.-ს.

თავსებურებანი თუ იშვიათობანი ზმნის სფეროშიც მოიპოვება. ვრცელი ბალავარიანის ნუსხისათვის დამახასიათებელი ამ მხრივ ისაა, რომ აქა-იქ მასში ვხვდებით იშვიათ ფორმებს, როგორც მაგ., ნ სუფიქსიან თურნეობით I-ს მესამე პირში („მკირელი იგი აღნადგინებითურთ დაუმარხან“ (40, 14-15)¹ და ი ც ი ს ზმნის ფორმად უწყვეტელში ი ც ო ღ ნ ა -სა და ი ც ნ ო ღ ნ ა -ს [„მეფემან იცოდნა იგინი“ 31, 11-12 (მოკლე წიგნშია: „მეფემან იცნა იგინი“ 31, 12-13)], „რომელმან იცოდნა წიგნი პირველი“ (74, 11-12)..

ერკელ ბალავარიანს მცირესთან ერთად, მხოლოდ უფრო მეტი სიქარბით, ზმნის იშვიათ ფორმათაგან მოეპოვება ისეთი, როგორცაა სტატიკური აწმყოაა და თურმეობითი I-ის მესამე სუბიექტური პირების სუფიქსად „(ე)ღ“ ფორმანტი:

1. „განმაშორებნ ჩემგან, რომელი-იგი მიცნობიედ“ (6, 23 ვრცელი).
2. „ცოდვითა განსთარკუს, რომელი შეუშოსიედ“ (7, 27 ვრც.),
3. „მრავალთა წელთა უპყრიედ წეი და სამართალი“ (47, 35 ვრცელი),
4. „რომელი მას არა შეუსწავიოდ“ (67, 30 ვრცელი).
5. „მოითლვის ყოველი იგი, რომელი უქმნიედ მოლუაწებაჲ“ (67, 31 ვრცელი).

ასეთი ფორმები მართლაც ჩვენი ძველის საკუთრება არაა, იგინი ძველი ქართულის იმ ტექსტებისათვისაც არის დამახასიათებელი, რომლებიც მე-8—მე-10 საუკუნეებშია წარმომოხილი².

აეთივე მიმართებით ბალავარიანის ორივე რედაქციას თურმეობითი I-ის სუბიექტურ პირთა დაბოლოებად აქვთ „ვარ“ (S₁), „ხარ“ (S₂), და „ა“ (S₃), სწორედ ის დაბოლოებანი, რაც ახალი ქართულისათვისაა დამახასიათებელი:

1. „შეუწყუდევივარ“ (20, 28 ვრცელი),
2. „გაუყენებივარ“ (20, 29 ვრცელი).
3. „შიუდრეკივარ“ (77, 36—7ძ.2 ორივეგან),
4. „შეუპყრივარ“ (91, 21 მოკლე),
5. „მივსნიხარ“ (ორივეგან 84, 31),
6. „გიყოფია“ (21, 35 ვრცელი, შღრ. მოკლის „გიყოფიეს“-ს 22, 7).

¹ ილია აბულაძე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII—IX სს-ის ძეგლების ძეგლად: სკაღინს სახელის თბრლიის სახელწიფი ფნიფერისიტეტის ში ომები, 53, 1954 წ. გვ. 131—147.

² იქვე.

ასეთი ფორმები დასახელებული მწკრივისათვის შედარებით ახალ მოვლენად ითვლება. რადგან ისინი XI ს-ის ბალავარიანის ვრცელს ნუსხაშია და თანაც აქა-იქ მათ X ს-ის ძეგლებშიც (ნუსხებში) ვხვდებით¹, ამიტომ ისინი ძველი ქართული ენის მოგვიანო ეტაპისათვის ნიშანდობლივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

საგულისხმოა ისიც, რომ ბალავარიანის ორივე რედაქციას მოეპოვება ძველი ქართულის გვიანდელ ეტაპზე შემუშავებული ისეთი მწკრივი, როგორცაა უწყვეტლის ხოლმეობითი. აი რამდენიმე ნიმუშიც:

1. „ეკითხვი დი და იგი მითხრობნ ვნებათა მისთა“ (6, 35 ვრცელი);
2. „ღღეს ჰმსახურებდიან მას და ხვალე დაამსახურის იგი სხუათა“ (7, 37 ვრცელი);
3. „ვერეინ განერის მშვდობით, რომელი ჰყუარობდის მას“ (7, 33-34);
4. „ასწავებდის სჯულსა ქრისტესსა“ (125, 2 მოკლე);
5. „მოვიდოდნიან კერბთ მსახურნი და ნათელს იღებდიან“ (138, 35-37 მოკლე);

დასახელებული მწკრივის ფორმებსაც უმთავრესად X ს-დან ვხვდებით ძეგლებში², ასე რომ ამ მხრითაც ვრცელი ბალავარიანი X ს-ის ძეგლებს უდგას გვერდით.

ამრიგად, გრამატიკული წყობის მხრით ჩვენი ძეგლისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ზემოთ წარმოვადგინეთ, ძველი ქართული ენის გვიანდელი ეტაპისათვის დამახასიათებელი გამოდგა, რის გამო მისი წარმოქმნა ქართულ ენაზე ამ ხანით (IX-X სს.) უნდა შემოიფარგლოს.

გრამატიკული წყობის ამ ჩვენებას ჩვენი ძეგლის ლექსიკაც უქერს მხარს. იგი მეტად საგულისხმოა, რის გამო ცალკე უნდა მიმოვიხილოთ.

მოკლე ბალავარიანისაგან განსხვავებით ვრცელს მოეპოვება უცხო წარმოშობის სიტყვების ახალი წყება (ფალაურის, ახალი სპარსელისა და არაბულისა), ახლებური კომპოზიტები, რთული ზმნები და საგანგებო ტერმინებად გამოყენებული ქართული სიტყვები. ნ. მარის მიერ მოკლე ბალავარიანში აღნიშნულ ახალ სპარსულ სიტყვებს (სუსტი-*سست*, ფლას-ი — *اسس*, ჩანგ-ი — *گنج*, პასუხ-ი — *جاس*, ლალ-ი — *غلا*)³, რომლებიც ვრცელშიც ვხვდებოდა, ამ უკანასკნელით ემატება: დასტურ-ი „სარწმუნო, სანდო“ — *استور* (75, 12) და იმედ-ი — *اميد* (118, 22).

არაბულიდან უნდა იყოს შემოსული ვრცელ რედაქციაში ხმარებული ერთი ისეთი სიტყვა, რომელიც ჯერ სხვაგან არ შეგვხვედრია. ესაა რუჰე:

¹ ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, თბილისი, 1946, გვ. 78.

² იქვე, გვ. 73-74.

³ Н. Марр. Армяно-груз. материалы... СВО, XI, 1899, გვ. 58-59 (სქოლიოში).

„არავის დააყენებს [მზე], რომელნი ირგებდენ მისგან, და არცა განტფობად ვის უნდა მისგან და არცაღა ახლოთ ჳელის მიყოფად რუჰეესა მისსა“ (46, 19).

რუჰე არაბული ج — rux უნდა იყოს, რაც აღნიშნავს „მეოთხედს ანუ ნაოთხალს, ნაწილს“. ამის მიხედვით, მოყვანილი ციტატის აზრი ისაა, რომ მზე არავის დააბრკოლებს, არც მას, ვისაც გაბობობა უნდა, და არც მას, ვისაც უნდა შეეხოს მის ნაოთხალს თუ ნაწილს (ალბათ, სხივს).

არაერთგზის ვხვდებით ვრცელს წიგნში აღრითგან ჩვენს მწერლობაში ფეხმოდგმულ ფალაურ სიტყვებს: ზედსართავ და შ-ნ-სა (უფროობითი ხარისხითაც კი — უდაზნეს) და არსებით დილეგ-სა და პაემან-ს. აი სათანადო მოწმობანი:

დაშნ-ი:

„არცა ვინ შემძლებელ არს დაშნთა სიტყუათა თქუმად ერის მიმართ, ვითარ მეფე... არავის ეგჳარებთან დაშნნი სიტყუანი, ვითარ ორთა კაცთა“ (136, 12-15), ანდა: „ოღესმე დააცადიან მხილებამათლაცა მიმართ, რომელნი უდაშნეს და უფროას სამართლისა და სიტყვს შემწყწარებელ იყენიან მამისა შენისასა“ (48, 24-27).

დაშნი „მორჩილ-თანახმასა“ და „მშვიდ-მოზავეს“ ნიშნავდა ძველ ქართულში, ამასვე ნიშნავს ის ჩვენი ტექსტშიც. ასეთი მნიშვნელობა კი მოაქვს მას ფალაურიდან: *dañ-Verrag, Vereinbarung*¹.

დილეგიცა და პაემანიც ფალაური წარმოშობისაა. დილეგი² „ციხესა“ თუ „საპყრობილეს“ ნიშნავს ძველ ქართულში. ესევე მნიშვნელობა აქვს ჩვენი ტექსტში: „მას ესრეთ შეურაცხიეს ყოფამ ჳორცთა შინა, ვითარცა იწროსა დილეგსა“ (გვ. 164, 8). პაემანი კი „პირობას“ ნიშნავს: „ყვეს პაემანი შეკრებისა“ (112, 25).

ახალგამოვლენილად უნდა ნივინით გუნდის აღმნიშვნელი „გრო“ (94, 25) სიტყვა, რომელიც ფალაურია (*grōh*) და ჩვენი ტექსტში გვხვდება რამდენჯერმე. ამ სიტყვის ფალაურიდან მომდინარეობა იმასაც ჰფენს ნათელს, რომ ეს სიტყვა ჩვენი ენის ლექსიკაში არაბობამდელია, ე. ი. VIII ს-მდელი.

სომხურიდან შემოსულად იყო მიჩნეული ნ. მარის მიერ მოკვლ ბალავარიანის შემარგე, რომლის სომხური შესატყვისი *მარგარე* სოგდურნიდან სესხებულად მიუჩნევია Salemann-ს (IAH 1913, 1119 — 30), მაგრამ ფალაურის შუამავლობითო, A. Miellet-სა და Gauthiot-ს დაკვირვებით³. ამ ფორმით ეს სიტყვა არ იპოვება ვრცელში. იგი აქ ჳმნის სახით გვხვდება: „მარაგება“, ისიც მისი სრული მნიშვნელობით: „მაშინ იწყო რაქის მარაგებად წინაფარ ცნობისათჳს, თუ განემარჯუებისა, რასა-იგი ეძიებენ, და

¹ Nyberg. Hilfsbuch 2, 173, პრ. აკარიანის მიხედვით ჳაქერენ არძათო. რთარან, VII, 1935, 119-120.

² პ. Աբուլჯե. «Չրհակի բառի ստուգաբանութիւնը. Տիգիկազըր ჳაკსական ՍՍԻՔ-դիտութիւնների ակադեմիայի, Երևան, № 1-2, 1944, სჳ 105-106.

³ ჳ. Անասიან, ჳაქერენ არძათական რთარან, IV, 803-806.

პრეტუა მეფესა: აპა ესერა სათულავეი გუაუწყებს, ვითარმედ არა ექცეოთ თვნიერ განმარჯუებისა“ (94, 14-19). როგორც ამ კონტექსტიდან ჩანს, მარაგება ხდება იმ მიზნით, რომ წინასწარ შეიტყონ, რა შედეგი ექნება გადადგმულ ნაბიჯს, გაუმარჯვდება, ე. ი. წარმატება ექნება, თუ არა. ამ წინასწარ ცნობას კი აღაძინი თურმე სათვალავის მეოხებით აღწევს. მაშასადამე, მოსავლის შესატყობად რალაცის გათუალვა, ანუ დანახვა-გამოთვლა წარმოებს.

„მარაგება“ ძირად „მარაგ“-ს გამოჰყოფს, რაც შეუკუმშველადაცა და შეუკუმშულადაც არის წარმოდგენილი წარმოქმნილს „მე-ნარ(ა)გ-ე“-ში, რომელსაც მოკლე ბალავარიანის ნუსხებში ვხვდებით. „მარაგ“ სხვაგანაც იხმარება. „კპრიაანეს ცხოვრების“ წიგნის ერთ ადგილას (A95, 758a) ვკითხულობთ: „დავისწავე მუნ ... ზრაახვამ მარაგითა და მარაგ ზრაახეთა“.

ჯერ კიდევ აკად. ნ. მარს ჰქონდა მართებულად შენიშნული, რომ შინა-არსობლივ „სიბრძნე ბალავარიანის“ ტექსტი შეიძლებოდა VII-VIII ს-ად მიჩნეულიყო, ამას რომ ხელს არ უშლიდეს ახალი სპარსული ენის ლექსიკური მასალა, რომელსაც მასში ვხვდებით, რაც IX-X სს-ისათვის არის მხოლოდ შესაძლებელი¹. აღნიშნული დაკვირვება თუ გაკეთებული იყო მეტად გვიანდელი ხანის ხელნაწერებით დატული მოკლე ბალავარიანის ტექსტთაგანის მიმართ, რომელიც, როგორც ვნახეთ, ჩამოყალიბებული უნდა იყოს XI ს-ის გასულსა თუ ამ საუკუნის შემდეგ (გვ. 029), იგი უფრო მეტი სამართლიანობით გავრცელდება ახლად გამოვლინებული ბალავარიანის ვრცელ ტექსტზე, რომელიც XI ს-ის მეორე ნახევრის ნუსხაა და უდაოდ წინა ხანის ხელნაწერი დედნის გადანაწერი, მით უმეტეს, რომ აღმოცენების ხანის განმსაზღვრელი ლექსიკა აქ უფრო მდიდრადაა წარმოდგენილი.

კომპოზიციები ანუ რთული თუ თხზული სახელები, რომლებიც იშვიათად გვხვდება ძველს ქართულში, შემდეგია:

1. გონება-შემწყნარებელი:

„ყრმა იგი ფრიად მიმღებელ იყო სიბრძნისა და გონება-შემწყნარებელ სწავლულებისა“ (18, 35-37), შდრ. მოკლე: „ყრმა იგი ფრიად მიმღებელ იყო სიბრძნისა და შემწყნარებელ სწავლულობისა“ (18, 35-37).

2. სიტყუა-მეცნიერება:

„ნუუკუე მიაქცივნეს კერპთ მსახურებისაგან სიტყუა-მეცნიერებითა მისითა“ (116, 32-34), ერთი ასეთი რთული სახელი მოკლე ბალავარიანშიც გვხვდება.

¹ Н. Марр, Армяно-грузинские материалы для истории Душоплезной цовести о Варлааме и Иосафате: ЗВО, XI, 1899, стран. 63.

3. ცნობა-ნაკლულევანება:

„და მათ შეაცთუნეს იგი სიყრმითა და ცნობა-ნაკლულევანებითა“ (104, 36).

4. წინააღსწარ-მცნობელი:

„პრქუეს მას წინააღსწარ-მცნობელთა მათ, ვითარმედ: შენ მათ ყოველთასა უმეტეს ყოფად ხარ“ (20, 36—21. 1).

5. შინაზრდილობა:

„ხოლო იგინი [ქურციკნი] ჰფრთხებოდეს შინაზრდილობისა მისისათჳს“ (79, 34-35), საუბარია ქურციკის ნუკრზე, რომელიც შინ, მეფისკარზე გაიზარდა და მოშინაურდა.

იშვიათი ხმარებისა ჩანს ზოგიერთი რთული ზმნაც, შედგენილი უმეტესად „ცემა“ ან „ყოფა“ ზმნით. ასეთებია:

1. ფლობა-სცემდა:

„არავის შეუტეობდა მამამ მისი მის ზედა და არცა ვიღრე მას. ფლობა-სცემდა განსლვად“ (19, 10-12), შდრ. მოკლე: „არავის შეუტეობდა და არცა მას განუტეობდა განსლვად ქალაქისაგან“ (19, 9—11).

2. ყენება-გეყო:

„რამ ყენება-გეყო შენ თხრობად ჩემდა ესევეთარი გზამ, ვიღრე აქამომდე?“ (52, 16-17), შდრ. მოკლე: „რამ გაყენებდა აქამომდე თხრობად ჩემდა გზამ იგი?“ (52, 20-21).

3. წინა-მიყავ:

„აწ წინა-მიყავ თხოვამ ჩემი“ (54, 17), შდრ. მოკლე: „თუ შენჳყო“ (54, 26).

მეტად საგულისხმოა ტერმინებად გამოყენებული სიტყვებიც:

1. სადგური — სადგურეობა:

„შენ უწყვი სადგური ჩემი წინაშე მეფისა და ადგილი ჩემი მისთანა“ (75, 15-17).

„ღირსევე, არა ესევეთარი ქურქელი დაფარვად მისგან სადგურეობასა ზედა შენსა წინაშე მისსა“ (29, 23 — 25).

სადგური აქ „ხარისხს, მდგომარეობას, თანამდებობას“ აღნიშნავს. **ქოლო სადგურეობა** „ზეობას თანამდებობასა თუ მდგომარეობაში, ან ხარისხში ყოფნის ხანას“.

2. შეკუთება || შეკუთება, შეკუთებული:

„ანუ ვითარ გიკვრს, მეფე, სურვილი ჩემი კეთილთა მათთჳს წარუვალთა და არა გიკვრს შეკუთებად თავისა შენისა და საშუებელთა ამისსოფლისა წარმავალთა“ (106, 1-4).

„ფრიად შეკუთებულ იყო ყრმამ იგი ნუკრსა მას, ვითარმედ ვერ; სთმობდა თჳნიერ მისა ეამ ერთცა“ (79, 27-29).

შეკუთებული კონტექსტით „შეჩვეულს, შეთვისებულს“ უნდა ნიშნავდეს. იგი წარმოქმნილი ჩანს კუეთა-საგან, რომლისაგან მომდინარეობს შეკუთება ორ შეკუთება, რაც „შესაკუთრებას“ აღნიშნავს. მისგანვეა წარმოქმნილი ძველად ხმარებული საკუთარ-იც. აქედან უკვე შეკუთებული ნიშნავს აგრეთვე „შესაკუთრებულს“. ამ მნიშვნელობით არის გისიტყვა ნაამარი „ვეფხისტყაოსანში“ [„გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობს“ (1081, 2; შდრ. აგრეთვე 609 სტროფი)] და არა იმით, რაც 1937 და 1951 წლების გამოცემასთან დართულ ლექსიკონშია წარმოდგენილი. სხვათა შორის, მართებულად განმარტავს ამ სიტყვის ძირიდან წარმოებული ზმნის ფორმას „შეეკვეთა-ს“ სულხან-საბა ორბელიანი: შეეკვეთა -- შეეკრა, გინა შეესაკუთრაო¹.

3. შინა:

„იგრძნეს შინათა მისთა განველურებაჲ მისი“ (80, 2-3). აქ შინა აღნიშნავს „შინაურს“.

4. მუნი:

„ვის ესავ მოგებად შრომათათჳს შენთა, უკუეთუ მუნი სასოებაჲ არა გაქუს“ (149, 38-39),

მუნი აქ აღნიშნავს „იქაურს, საიქიოს“.

5. განი:

„ემსგავსოს მოისარსა, რომელმან უფროას ზომისა არა მოიზიდნის მშულდსა, ნუუკუე გარდავლოს განსა და არცა უმცრო ზომისა, ნუუკუე დააკლდეს და ვერ მიაწინეს და არცა მრუდად, ნუუკუე აჰვადან გარე, არამედ ზომით ყვის და მართლ თული მიაყვანის, რათა განემარჯოს მიმთხუეჲ განისაჲ“ (164, 19—24). აქიდან „განი“ არის „მიზანი“ ან საბას განმარტებით სიტყვა „საგნისა“, რაც იგივე „გან“-ია: „ისრის ნიშანი“². ამ სახით ეს სიტყვა აქამომდის შენიშნული იყო მხოლოდ ბიბლიაში. მისი აქ დაცულობა და ძირობა „საგან“ სიტყვაში დაადასტურა და ახსნა პროფ. ვ. ბერიძემ³.

6. კუერი:

„უბრწყინვალეს იყვნეს უფროას კუერსა მზის თუალისასა“ (167, 1-2). კუერი აქ მზის შუაგულს, შუა წრეს ანუ ბურთს აღნიშნავს. ამ გაგებით ვხვდებით აღნიშნულ სიტყვას IX-X სს.-ის ერთს თარგმნილ ტექსტში⁴, რომელსაც «კაცისა შესაქმნისათჳს» ეწოდება (გრიგოლ ნოეღიანი) და X ს-ის ხელნაწერიჲ არის მოღწეული ჩვენამდის“ (S—1141, გვ. 74).

¹ ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928.

² იქვე.

³ ვ. ბერიძე, საგან-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის.—საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის შიშაბე, ტ. III, № 4, 1942, გვ. 381-388.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I წიგნი, 1928 წ., გვ. 130.

7. ღნიოშ-ი:

„საკუმეველნი სულნელნი და ნელსაცხებელნი პატიოსანნი არავენ შთაახხნის კურკელსა ღნიოშსა“ (164, 10-11). ღნიოში აქ „ტულს, ავს, არა-წმინდას“ აღნიშნავს. ამ სიტყვას ჩვენ ვხვდებით X ს.-ის მიწურულის მოღვაწის გრიგოლ ოშკელის ერთს თარგმნილ ნაწარმოებში, რომელიც XI ს.-ის ნუსხით არის მოღწეული¹.

8. ბარე:

„ოდესლა არა ინებე განყვანებაჲ ჩემი შენ თანა და არცა მოყუასთა შენთათჳს მიიღე სამოსელი გინა თუ საფასე, ბარე მიიღე სამოსელი თავისა შენისათჳს!“ (85, 33-36).

ეს სიტყვაჲ შედარებით გვიან გვხვდება ძველ ქართულ მწერლობაში, სახელდობრ X ს.-ში.

9. ზა(ვ)ობა:

„გეზაობდი შენ სინათლედ ცხორებისა ჩემისა“ (129, 29-30). კონტექსტით თითქოს ის „გიტქერდი, მიმაჩნდი-ს“ უღრის. სიტყვა იშვიათი ჩანს, შეიძლება მისი ძირი უცხოური იყოს.

10. კაც-ი:

გვხვდება ეს სიტყვა დაქარაგმებული სახით. იგი კონტექსტით სიბილღის გამოსახატავად ჩანს ნახმარი. — „რომელიმე მათგანი ახლოჲ, ვითარცა წყარონი აღმომდულარენი, და რომელიმე კ'ც ერთ, გინა ერთ ჰოროლ აღმოეცემის“ (46, 38-40).

აქ რომ, მართლაც, ეს „კ'ც“ „კაც“-ია და სიბილღის გამოსახატავად არის ნახმარი, ამას ნათლად მოწმობს „მარკოზ განშორებულის ცხოვრების“ ერთი ადგილი (ნ. სინას ხელნაწ. № 36, 250 ვხ), სადაც სწერია: „და ვითარცა ესე სიტყუაჲ თქუა, აღიდხურა მთაჲ იგი და აღვიდა ჰაერთა შინა ხუთ კაც სინაღლედ და ენება ზღუად შთავრდომაჲ“.

ამრიგად, სანიმუშოდ მოყვანილი ლექსიკური მასალა ნათლად გვიჩვენებს, რომ იგი სიძველესთან ერთად სიახლესაც არაა მოკლებული, ისიც სრულიად ეხმაურება იმ ჩვენებას, რაც ჩვენ მოგვცა ზემოთ წარმოდგენილმა ენობრივმა სხვა მხარემ, გრამატიკული წყობის ანალიზმა, და თავსდება იმ ხანაში, — IX-X სს.-ში, — რომელიც ხსენებული მხრით დადგინდა.

¹ იღ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს.-ში, თბილისი, 1944 წ. გვ. 0194 — 0198.

IV. ქართული ბალავარიანის რედაქციები შინაარსობლივ

ბალავარიანის მოკლე რედაქციის დამახასიათებელ თვისებად ვრცელთან მიმართებით, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ის ჩანს, რომ იგი ერთი მხრით უმეტეს წილად ვრცელისაგან არის გაპოკრებული, ხოლო მეორე მხრით ვრცელის მთელი რიგი ადგილები მასში ან მოკლედ და მოჭრით არის გადმოცეული, ანდა სრულიად გაშვებულია. როგორც ვნახეთ, არც ერთი არ ხდება უმიზეზოდ და უმიზნოდ. საინსავე შემთხვევაში შედეგი ერთია: ცხოვრების ვრცელი წიგნის ნაცვლად მიღებულია ცხოვრების მოკლე წიგნი. შემოკლების მიზანიც — გადმოიცეს ცხოვრება მოკლედ — ნათელი ზოლივით გასდევს მოკლე ბალავარიანს, რის დანახვა ნათლად შესაძლებელი ხდება მხოლოდ ეხლა, ვრცელის გამოჩენის შემდეგ.

თუ რა გზით ხდება გარკვეული ადგილების შემოკლება, ამასაც გაკერით შევნიშნავდით ზემოთ. ერთ შემთხვევაში ეს გზაა — დაგდება სინონიმური ცალებისა, მიწყობილი სინონიმების დროს. აი რამდენიმე ნიმუშიც:

ვ რ ც ე ლ ი

მ ო კ ლ ე

1. „წურთილებაჲ სიბრძნისაჲ და სწავლულებისაჲ“ (18, 25-26).

2. „რახათა განმითეო და განვიდე“ (22, 14).

3. „მასმიეს ძისა მეთისა რჩულიერად ქცევაჲ და სიწმიდით ცხოვრებაჲ“ (29, 8-10).

4. „ადგილ-სცეს და განვიდეს მათგან“ (30, 11-12).

5. „პოვა იგი ყოვლით კერძო ბრძენ და გონიერ“ (54, 29).

6. „მისაგებელი უღმრთოთაჲ და ცოდვილთაჲ“ (127, 8 — 9).

7. „ყოვლადვე სახიერებასა და კეთილსა აზრახებნ“ (49, 11-12).

1. „წურთილობაჲ სიბრძნისაჲ“ (18, 24 - 25).

2. „რახათა განმითეო“ (22, 12).

3. „მასმია მეთისა ძისა სიწმიდით ცხოვრებაჲ“ (28, 38—29-1).

4. „განვიდეს მისგან“ (30, 8).

5. „პოვა გონიერად“ (55, 2).

6. „მისაგებელი ცოდვილთაჲ“ (27, 6).

7. „ყოველსა კეთილსა აზრახებდა“ (49, 8-9) და სხვ...

მეორე შემთხვევაში შემოკლება რთული თუ გავრცობილი წინადადებების გამარტივებით ხდება. აი ამის რამდენიმე ნიმუშიც.

ვ რ ც ე ლ ი

მ ო კ ლ ე

1. „პატივე-უყო ძემან მეთისამან და მოიკითხა იგი“ (30, 9-10).

2. „გლოცავ, მამაო, და ვევედრები მეუფებასა შენსა“ (22, 13-46).

1. „პატივით მოიკითხა იგი“ (30, 6-7).

2. „გვევედრები“ (22, 11-12).

3. „შეჰგავს გამოყენებაჲ ჩემი რისხვისაგან მამისა შენისა“ (78, 3-5).
 4. „აღღვს და ღღენა უყვეს“ (158, 33-34).

3. „განვერე რისხვასა მამისა შენისასა“ (78, 7-8).
 4. „ღღენა უყვეს“ (158, 34).

ასევე გამარტივებულია რთული გამოთქმები:

ვრცელი

1. „ყვე სიტყუაჲ“ (49, 30).
 2. „ძიება-ყყაჲ“ (62, 18).
 3. „ღამწუხრდა ღღე“ (116, 6-7).
 4. „ღღუწული აღასრულე“ (119, 31).
 5. „აღიძრა ტრფილებითა“ (120, 33).
 6. „შურის გებასა ითხოვენ“ (152, 37-38).

მოკლე

1. „არქუ“ (49, 21).
 2. „ვიდიჲ“ (62, 18).
 3. „ღღაღღა“ (116, 1).
 4. „იღღუწე“ (119, 31).
 5. „ეტრფილა“ (120, 30-31).
 6. „შურსა იგებენ“ (152, 38).

ვრცელი ბალავარიანის ფართო ადგილები, აღენიშნავდით ზემოთ, ორი-ოდე სიტყვით არის გადმოცემული მოკლეში. რაკა ასეთ ადგილებს ვაკირდებით, ირკვევა, რომ ესენი მეტწილად ისეთი ადგილები ჩანან, სადაც დაჰძღვრება გადმოცემული ან ახსნა-განმარტება მოწოდებული რაიზე განყენებული ცნების გარშემო, ანდა დაწვრილებითი თხრობაა რომელიმე კერძო შემთხვევისა, რომელსაც ამბის საერთო განვითარებაში არსებითი არაფერი შეაქვს. ასეთი ადგილებია სწორედ, რომ ფრაზეოლოგიურად დაცილებულია ვრცელისას და რედაქტორის საკუთარ ქმნილებას უნდა წარმოადგენდეს, ხშირად განსხვავებულსაც კი შინაარსობლივ. ასე ჩანს, ყოველ შემთხვევაში, მაშინ, რაკა მოკლე ბალავარიანის უმეტესი ნაწილი, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, იმ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ვრცელთან, რომელსაც გარკვეულ კანონზომიერებაზე დამყარებული გამოკრება შეიძლება ეწოდოს.

ადვილად ასახსნელი რჩება ისიც, თუ რატომ გამოტოვა მოკლე ბალავარიანის რედაქტორმა ვრცელის მრავალი ადგილი. ეს ადგილები ჩვენ ცხოვრების წიგნთა თავების სარჩევში ვარსკვლავებით აღენიშნეთ. ასეთი თავებისა თუ თავის ნაწილების უბრალო ჩაკითხვითაც კი ადამიანი ადვილად შეაჩნევს, რომ მეტწილად გაშვებულია სწორედ ისეთი ადგილები, რომლებიც სწავლულებას ანუ სიბრძნეს ეხება, ამ სოფლის ანუ საწუთროს წარმავლობას (სასუფეველთან დაკავშირებით), განყენებულსა და საღვთისმეტყველო საგნებზე მსჯელობას, არსსა და არა-არსს, სიკეთესა და სიბოროტეს, სათნობასა და ვნებას, ღვთის ღიღებას, ქრისტიანობას, კერპთთაყვანისმცემლობასა და სხვას, რომლებიც უმთავრესად დილაოგის ანუ სიტყვის-გების ფორმით არის გადმოცემული ვრცელს ბალავარიანში. სრულიად თავისუფალი ასეთი საკითხებისაგან, რასაც იკრეველია, არც მოკლე ბალავარიანია, მაგრამ ყოველმხრივ ჩანს, რომ ის ვრცელთან მიმართებით ამ მხრით დიდ ზომიერებას იცავს.

ტენდენცია, არ დაამძიმოს თხრობა ზედმეტი წვირლმანებით, არ დარჩეს იგი გაქიანურებული, განტვირთოს ქარბი მოძღვრებითისა და საღვთისმეტყველო ელემენტისაგან, დამახასიათებელია მოკლე ბალავარიანის რედაქტორისათვის; წარმართოს ეს თხრობა ცხოვლად და დინამიკურად, ასწრაფებით, გადმოსცეა მეტწილად მთავარ მოქმედ პირთა თავგადასავალი, აი უმთავრესი ნიშნები, რომლებიც წითელი ზოლივით გასდევს მოკლე რედაქციას. იგი, აჲ ვთქვათ, ერთგვარი სეინაქარია. თავისი ასეთი ხასიათის გამო ბევრი რამ ბუნდოვანხი, გაუმართავი და ბოლომდის მიუტანელია მოკლე ბალავარიანში. ერთი სიტყვით, მოკლე ბალავარიანის კონსპექტურობა წარმოდგენილი მიზნითა და გზით არის წარმოქმნილი და არა სხვა რაიმე, თუნდ ინდური თხრობის თავდაპირველი ნაჩქარევი ჩანაწერის ხასიათით, როგორც ეს პროფ. შ. ნუცუბიძეა მიაჩნია, ისიც VII ს.-ისათვის¹, რომელსაც, როგორც ვნახეთ, არას გზით არ ევსება გრამატიკული წყობისა და ლექსიკის რიგის თავისი ენობრივი მაჩვენებლებით არც ერთი ქართული რედაქცია ბალავარიანისა.

სხვათა შორის, ცხოვრების წიგნის შემოკლება შეიძლება ქართულ ენაზე იყოს შესრულებული და ისიც აღმოსავლეთში, იერუსალიმს, საიდანაც, როგორც ჩანს, მომდინარეობს საერთოდ ქართული ბალავარიანი. ბოლო ხანს, როგორც ცნობილია, გაირკვა, რომ არა უადრეს მეათე საუკუნისა, უფრო კი XI ს.-ში, შეუმოკლებით არსენი კათალიკოზის ნიერ (X ს.) შედგენილი იოანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა ცხოვრების წიგნი². ამ წიგნის შემოკლებული ნუსხები რომ იმავე ხელნაწერ კრებულებში აღმოჩნდა (A 159/833 და იერუსალიმისა № 36), როკლებშიც „სიბრძნე ბალავარისია“ მოთავსებული, გვჯონია სულ შემთხვევითი არ უნდა იყოს. რამდენადაც ეს უადრინდელესი კრებულები იერუსალიმის ჯერის მონასტრისა ჩანან, იმდენად აღნიშნული მოვლენა შეიძლება იმას მოწმობდეს, რომ ასეთი მიმართულება აღმოსავლეთში წამოწყებულიყოს.

ვრცელი ბალავარიანის გვერდით მისივე შემოკლებული რედაქციის არსებობა მართო ქართული მწერლობის დამახასიათებელი არაა. ასეთი მოვლენა სხვაგანაც შეინიშნება, მაგ., სომხურში. როგორც ცნობილია, დღემდის სომხურ მეცნიერებაში დადგენილია ბალავარიანის ორი სახის წიგნი: ერთი — ვრცელი და ნეორე — მოკლე, ანუ სეინაქსარული, დართული სომხურ სეინაქსარებზევე. ორივე გამოქვეყნებულია³. ნათს ურთიერთობასა და წარმოდინარეობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული აზრია შემუშავებული. ვრცელი, რომლის ავტორად ვინმე იოანე მონოზანია დასახელებული წიგნის

¹ Ш. И. Н у д у б и д з е, К происхождению греческого романа «Варлаам и Иоасаф», Тбилиси, 1956, стр. 114 — 115, 121 — 122.

² ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლივით და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955 წ., გვ. XVII — XXII.

³ სკარაგლიძის ნიციორის ქართულ მიქსაქილ ირელი ქადაგორის ზედაზნე... აქათათაქილ შ. სტრ-მიქსანსან, ქადაგორაჲთა, 1898.

ბალეარიალთან მიმართებისასაც. მეხუთე თავი, რომელშიც აბენეს მეფის ფრიად სარწმუნო თანამზრახველზეა საუბარი, მოკლის მიხედვით ეძღვნება ბალეარს, რომელიც ქრისტიანად არის იმთავითვე გამოყვანილი და არა ერთგულების გამო დაწინაურებულად და, მაშასადამე, შურის აღძვრულად სხეებში, როგორც ეს ვრცელშია. აქვე მოკლე რედაქცია პარალელის უქონელ ისეთ ადგილსაც ურთავს, სადაც საუბარია ბალეარის ქრისტიანობის გამომჟღავნებასა და მის გაიყვებაზე სამეფო კარიდან (გვ. 15, 19 — 16, 29).

ასეთი შემთხვევა სხვაგანაც გვაქვს. მოკლე რედაქციით რაქისი, აბენეს მეფის აგრეთვე უერთგულესი თანამზრახველი, რომელიც მეფეს იმას ურჩევს, რომ ცრუ ბალეარის ანუ ნაქორის პაექრობით იოდანასთან იღონოს დამაიქციოს იგი კერპთმსახურებაზე, თვით მოიქცევა და აღიარებს ქრისტეს. ვრცელმა ბალეარიალმა მსგავსი რამ არ იცის. მოკლისგან განსხვავებით იგი თედმას მიაწერს ასეთ რამეს. თითქმის ერთი და იგივე სიტყვებითაა გადმოცემული ეს მსგავსი ეპიზოდები ორსავე რედაქციაში. ვნახოთ ისინი ერთმანეთის გვერდით:

ვ რ ც ე ლ ი

„მიუფო და ჰრქუა თედმა: და ვინაა უწყი, თუ ქეშმარიტსა იტყვან წინაწარმეტყუელნი, ვითარმედ ღმრთისა მიერ მოვლინებულ არიან? ჰრქუა მეფემან იოდანასთ: ამის გამო უწყი, ვითარმედ ქეშმარიტსა იტყვან, რამეთუ აჩუენეს სოფელსა შინა ნიშები და სასწაულები, რომელი ვერვის დაბადებულთაგანსა ველ-ეწიფების ეგვიეთარისა ძალისა ჩუენებად, რამეთუ ძალითა ღმრთისადათა იქმოდეს, რაათა ჰრწმენეს სოფელსა და ცნან ყოველთა, ვითარმედ ქეშმარიტ არს სარწმუნოება მათი და ვითარმედ იგინი არიან რჩეულნი მისნი შორის ყოველთა თესლთა.

„და განაგრძო თედმა გამოძიება და კითხვა იოდანისგან წინაშე მამისა მისისა, ვიდრემდის იცნა და ჰრწმენა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და (თქუა), ვითარმედ: ქეშმარიტსა [იტყვს] და თქუენ ცუდსა შრომასა აღასრულებთ კერპთა მიმართ. მაშინ აღიარა ვმითა მალლითა თედმა და თქუა: არავინ არს ღმერთ ქუეყანასა ზედა, გარნა მამა მხოლოდ და ძე მისი, მხო-

მ ო კ ლ ე

„ჰრქუა რაქის: ვინ უწყის, თუ ქეშმარიტსა იტყოდეს წინაწარმეტყუელნი და მოციქულნი? ჰრქუა: ამით გამო უწყი, რამეთუ იქმოდეს ნიშებსა და სასწაულებსა, რომელი სხუამან ვერავინ ქმნის. ხოლო იგინი სახელის ღებითა ღმრთისადათა იქმოდეს, რაათა ჰრწმენეს ყოველსა სოფელსა.

„და განაგრძო რაქის გამოძიება სიტყვსა იოდანისაგან წინაშე მამისა მისისა, ვიდრემდის იცნა რაქის ღმერთი და თქუა: ყოველსა ქეშმარიტსა იტყვს და ჩუენ ცუდსა შრომასა აღვასრულებთ კერპთა მიმართ.. და აღიარა წინაშე ყოვლისა ერისა და თქუა ვმითა მალლითა, ვითარმედ: არავინ არს ღმერთი ქუეყანასა ზედა, გარნა ღმერთი მხოლოდ, რომელმან-

ლოდ შობილი და ყოველად წმიდა სული, თანაარსი. ღმერთი სამგუამოვანი, ერთ-არსი, დამბადებელი ცათა და ქუეყანისა. და ყოველი წესი ქრისტიანობისა ალიარა და პრწყენა და შეიწყენარა წმიდა ნათლის-ღება, და მიერთგან იწყო დამარბვად მცნებათა ქრისტესთა და გულს-მოდგინედ ევედრებოდა ღმერთსა და აღიდებდა სახელსა მისსა“ (150, 36 — 151, 15).

დაჰბანდა ცანი და ქუეყანა. და ყოველივე წესი სჯულისსა თვთ აღიარა და იწყო ლოცვად და მარხვად“ (104, 15-105, 2).

აქაც რომ მოკლე ბალავარიანი ვრცელზეა დამოკიდებული, ამას ერთი ისეთი მით ხანა-ი მოწმობს, რომელიც მცირეს მოეპოვება. შეკითხვაზე: „ვინ უწყის, თუ ქეშმარიტსა იტყოდეს“, როგორც ერთგან აღენიშნეთ (გვ. 022), არ შეიძლება პასუხად გვეპონდეს სიტყვები: „ამით გამო უწყი“, არამედ ის შეიძლება უპასუხებდეს მხოლოდ ასეთ შეკითხვას: „ვინაა უწყი, თუ ქეშმარიტსა იტყოდეს?“, რაც მართლაც ასეა წარმოდგენილი ვრცელ ბალავარიანში: „ვინაა უწყი, თუ ქეშმარიტსა იტყვან?“

მოკლე რედაქცია სხვაგვარადაც განსხვავდება ვრცელისაგან. ყველაზე თვალში საცემი ისაა, რომ მას ისეთი ადგილები მოეპოვება, რომელთაც ვრცელში არ ეძებნება შესატყვისი. თხრობის თანმიმდევრობით უმთავრესნი მათ შორის არიან:

1. ანბის მთხრობლის ვინაობა, წიგნის სახელწოდება და მისი მოპოვების ადგილი (პირველი დასაწყისი სიტყვები ძეგლისა),
2. ბალავარის დასმენა მტერ მოხელეთაგან მეფესთან იმაზე, რომ ის ქრისტიანიო (15, 19 — 16, 29),
3. იოდასათვის საუბარი ზადანთან ისეთი ქვეყნის შესახებ, სადაც სენი, სატკივარი და სიკვდილი არაა (25, 7-27),
4. იოდასათვის საუბარი ბალავართან სულის განტყვევის შესახებ (82, 16-34),
5. აბნეს მეფის საუბარი შეილთან მისი ცთომილების შესახებ (92, 24—93, 4),
6. იოდასათვის ღონისძიება აღძრული გულისტქმის დასაცხრომად, — თითის დაწვა სანთელზე (124).
7. იოდასათვის ზრუნვა მამისა და მისი სამეფოს ნათლისღებისათვის (151, 16-34).

რით ავხსნათ ასეთი მოვლენა, რომ მოკლეს მოეპოვება ისეთი ადგილები, რომლებიც ჩვენამდის მოღწეულმა ვრცელი ბალავარიანის ერთად-ერთმა თერუსალიმურმა ნუსხამ (J 140) არ იცის? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესენი მოკლე ბალავარიანის რედაქტორმა შეუმატაო, მით უფრო, რომ ვნახეთ, ის უბრალო მიმდევარი არ იყო მის წინ მდებარე ტექსტისა, არამედ ზოგან ადგილების გადაშადგილებელიც კი გამოდგა. შეიძლება, რასაკვირველია, ნაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ჩვენამდის მო-

სული ვრცელი ნუსხა სულ ვრცელი არ იყოს, არამედ მასაც რამდენადმე აკლდეს აქა-იქ ტექსტი, მით უმეტეს, რომ ის გადმონაწერი აღმოჩნდა.

როცა შემატების შესაძლებლობას ვუწვებთ, მხედველობაში გვაქვს დანამატის მსგავსი ადგილები სხვა წყაროებიდან. ასე მაგ., გულისტემის დასაცხრომად თითების სანთელზე დაწვის ანბავს ჩვენ პატერიკებშიც ვხვდებით. ერთ-ერთ ქართულ პატერიკში, რომელიც თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ არის თარგმნილი ბერძნულიდან XI ს.ის მეორე ნახევარში, მის შესახებ შემდეგს ვკითხულობთ: ქალის საიით ეშმაკისაგან ბრძოლილი ბერი „აღდა უკუშ და აღაგზნა ლამპარი აღგზებულმან მან გულის-თქუმითა და იტყოდა: რომელნი ამას ესევითარსა იქმოდინ, სატანჯველად მოვლენ იგი საუკუნოდ; გამოიცადელა აქაჲთვე თავი შენი, თუ ძალ-გიტ-ძია დაიწინაჲ ცეცხლსა მას საუკუნესა? და მიუპყრნა თითონი თუნც ლამპარსა მას ზედა ცეცხლისასა და დაწუნა იგინი. და ვერ აგრძნა შემწუფელობაჲ იგი გარდამატებისაგან ცეცხლსა მას გულის-თქუმისასა და აღლუღებისა ჯორცთაჲსა; ჰყოფდა უკუშ იგი ამას ვიდრე განთიადლმდეს, ვიდრემდის დააწუნა სრულებით ყოველნივე თითონი თუნცნი“ (A 1105, 150 v).

მაგრამ მარტო შემატება არ არის ის, რაც მოკლე ბალავარიანს გამოარჩევს ვრცელისაგან. ამასთანავე ისეთი ადგილებიც, რომლებიც ვრცელთან მიმართებით საწინააღმდეგოს გვიჩვენებს შინაარსობრივ. ასე მაგ, ბალავარიანის პირველ თავში, ვრცელის მიხედვით, ინდოეთის მეფე ბე-ესზე ნათქვამია, რომ ის იყო „ლალ, ამპარტავან“ და სხვაო, მოკლეში კი სულ საწინააღმდეგოდ არის წარმოდგენილი: იყო იგი „მშვიდი და მდაბალი და ფრიად მოწყალე გლახაკთა“.

ასევე, მე-5 თავში, ვრცელით, მეფე მზრახველთან ანუ სეფე-კაცთან ერთად მიდის „მოხილად გარეშე ქალაქსა“ (11, 23-24), ხოლო მოკლით ბალავარიან „ოღესმე... მიმავალი გზასა“ (11, 23-24).

მე-6 თავშიც, გვიან გამავალ ორ ქრისტიანზე საუბრისას, ბოლოს ნათქვამია ვრცელში, რომ ეს მგზავრნი მეფის ბრძანებით დაიწვივნო (17, 30-36), რასაც ეწინააღმდეგება მოკლე, რომელშიც დაწვავზე კი არაა საუბარი, არამედ მათ გაშვებაზე (17, 30).

მე-7 თავში ერთგან მოკლეში ნათქვამია, რომ მეფე „ზედასზედა მივიდის“ (19, 7) შვილთანო, ხოლო ვრცელში, პირიქით, „არა განამრავლებდა მისლესა მისსაო“ (19, 29-30).

მსგავსი სურათი სხვაგანაც მოიპოვება.

მე-12 თავში, ვრცელში, ოთხი კილოზნის შესახებ არის საუბარი, მოკლეში კი ზოგადად — კილოზნებზე.

22-ე თავში, ვრცელით, იგავში მკვირინავის შესახებ ერთ-ერთი მცნება ასეა ფორმულირებული: „წუ გრწან, როცა არა იყოსო“ (58, 8), მოკლით სულ სხვა რამ არის: „რომელი შენთვის არა გინდეს ბოროტი, სხუასა ნუ უზამო“ (58, 6-7).

განსხვავებანი სხვაგანაც შეინიშნება. მეტად რომ აღარ გამოვუდგეთ მათ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ესენიც, შესაძლებელია ვიფიქროთ, მოკლედ ბალავარიანის რედაქტორს შეეცვალოს ან შეემატებინოს, თუმცა, რასაკვირველია, გამორიცხული არაა ისიც, რომ ჩვენამდის მოღწეული ვრცელი ნუსხის გარდა სხვაც არსებულყო ზოგიერთი განსხვავებული ადგილითა და წაკითხვებით, ანუ ვარიანტებით, და მისგან მომდინარეობდეს არსებული მოკლე ბალავარიანი.

* * *

ეს ჩვენი წარმოდგენილი მტკიცება, — რომ მოკლე ბალავარიანი ვრცელის ნამდვილი შემოკლებაა, — ეწინააღმდეგება პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ «მნათობის» ფურცლებზე (1956 წლ. № 8, გვ. 176—178) გამოქვეყნებული სტატიის დედააზრს («ახალი ვარიანტი ქართული რომანისა „სიბრძნე ბალავარისი“). სტატიის ავტორს, როგორც თვით აცხადებს, ზოგადად შეუღარებია ერთმანეთისათვის „ბალავარიანის“ ყველა ვარიანტი (ქართულნი, ბერძნული და არაბული) და შექმნია შთაბეჭდილება, რომლის გახიარება ეურნალის მკითხველისათვის საჭიროდ მიუჩნევია. შთაბეჭდილება კი ისაა, რომ „ამ ორი ქართული ვარიანტიდან ... პირველადი უნდა იყოს ძველი მოკლე ვარიანტი „ბალავარიანისა“-ო (გვ. 178).

ასეთი შთაბეჭდილება რომ თითქოს ქეშმარიტი უნდა იყოს, მის ავტორს საბუთად ჯერ ზოგადი მოსაზრებები მოჰყავს და მერმე ასეთი დამოკიდებულების საჩვენებლად ზოგიერთ ფაქტობრივ მხარესაც ასახელებს, კერძოდ ენობრივი რივისას.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილის ზოგადი მოსაზრებების გარშემო აქ კამათს არ წამოვიწყებთ მიუხედავად იმისა, რომ საბუთად მითითებული ნაწარმოებები და ანალიზები მეტწილად შეუფერებელია ჩვენი ძეგლისათვის. ისე კი ვეთანხმებით ავტორს და ვიზიარებთ მის ერთ-ერთ მოსაზრებას, რომლითაც „ნაწარმოების შემოკლება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დგება კრებულები, რომლისთვისაც ცალკეულ ნაწარმოებებს შეეკვეცენ ხოლმე ამ კრებულთა რედაქტორები“ (გვ. 178), რადგან, დავსძენთ ჩვენ, სწორედ ჩვენამდის მოღწეული მოკლე „ბალავარიანის“ აღრიხნული ნუსხები (A 199/833, იერუს. № 36, S 300, Q 40) ყველა უკლებლივ ავოგრაფიულ-ასკეტიკურ კრებულს წარმოადგენს, ისიც ზოგჯერ ერთნაირი მასალით, რაც, როგორც ჩანს, ჩვენს ავტორს გაუშვია მხედველობიდან. ამასთან, კორექტივი სჭირდება ავტორის გამოთქმას, — თითქოს მოკლე „ბალავარიანში“ იყოს „ისეთი ადგილები (ზოგჯერ 1-2 გვერდის მოცულობის), რომლებიც არ არის ვრცელში“. ამ ნათქვამით ისე გამოდის, რომ ასეთი შემთხვევა რამდენიმე იყოს, მაშინ როცა 1-2 გვერდის მოცულობისა მხოლოდ ერთად-ერთი ადგილი მოიპოვება: ბალავარის შესწენა მეფის წინაშე მისი ქრისტიანობის შესახებ (ნ. გვ. 15, 19—16, 29).

როგორც აღვნიშნეთ, ზოგად მოსაზრებებს აქ გვერდს ვუვლით, შევჩერდებით მხოლოდ სტატიის იმ ნაწილზე, რომელიც უფრო მეტად ეხება

ჩვენს ნაკვლევს, სახელდობრ მოკლისა და ვრცელი „ბალავარიანის“ შედარებას, რომლის მიხედვით თითქოს „ენობრივად ახლად მოპოვებული ვრცელი ქართული „ბალავარიანი“ უფრო ახლის შთაბეჭდილებას“ ტოვებდეს, ვიდრე მოკლე რედაქცია. ასეთი შთაბეჭდილების საფუძველს თურმე ზოგიერთი ენობრივი მოპენტი იძლევა. ენახოთ ისინი რიგ-რიგად.

ავტორის დაკვირვებით თქმულის მასაჩინობელი პირველი საბუთთაგანი ყოფილა ის, რომ ვრცელში „გვხვდება ზმნის ფორმები ტიპისა „მიუღრეკინახარ“, რაც ქართულ ზმნის ფორმათა განვითარების უფრო გვიან საფეხურზეა მოსალოდნელი“. ზეით აღვნიშნეთ და აქ აღარ გავიმეორებთ, რომ ასეთი ფორმები დამახასიათებელია „ბალავარიანის“ ორივე რედაქციისათვის და რომ მსგავსი მოვლენა გვხვდება ქართულ მწერლობაში X ს.-დან.

აღნიშნული შენიშვნა მორფოლოგიის სფეროდან მოჰყავდა ავტორს, საგანგებოდ კი ცალკე სიტყვებზე ჩერდება.

„ფეტი“ ნაცვლად „ფერისა“ ახლის მაჩვენებელიაო. სწორია პროფ. ს. ყაუჩიშვილის ეს დაკვირვება, მაგრამ ეს არის ერთადერთი შემთხვევა, მაშინ როცა სხვაგან ამ ძეგლში ეს სიტყვა „ფერის“ სახითაა ყველგან წარმოდგენილი (7, 29; 11-28; 36, 36; 37, 7; 159, 5; 163, 17 და სხვ...). ამ გარემოებას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან „ფეტი“, როგორც ვხედავთ, გადამწერისათვის დამახასიათებელი არ ყოფილა; იგი შემთხვევითია და, მართლაც, ასეთი ასო-დაკლებულობა მას სხვაგანაც მოეპოვება [ყმა: ყმამან 133, 18; საოებაჲ (← სასოებაჲ) 82, 4; წაძაულ 105, 32 და სხვ...]. ასეთივე ხასიათისაა ორი სხვა მაგალითიც: „უვიწრესი“ თავისი (ზედმეტი) ვინითა და „სიტყუთა მეფისათა“ (ნაცვლად „მეფისათა“), რადგან აქაც ეს შემთხვევები, განსაკუთრებით მეორე, ერთადერთია სხვა ზღვა შემთხვევათა შორის. პირველი, დავსძენთ აქ ჩვენი მხრით, კიდევ ემატება ერთი სხვა შემთხვევა — „დავიწრებ“ (131, 17), მაგრამ ის ნამდვილ არს ევრ ცვლის, რადგან სხვაგან ყველგან არის: „იწროჲ — იწროსა — იწროთა“ (73, 11; 88, 11; 73, 14 და სხ...), „იწროებაჲ“ (4, 25; 8, 16; 77, 34 და სხვ...), ისე როგორც „შეიწრა“ (22, 18...) და სხვ...

ახალი ტერმინებია „საერისკაცო, სიაზნაურე“ და ზოგიერთი სხვა ცო. რომელია ეს სხვა, ჩვენთვის ძნელი გამოვიცნოთ. ნამდვილად ეს და სხვანიც (სეფე კაცი, დასტური, დიდებული, წარჩინებული, მთავარი, ერისთავი, მეჭელე...) მეთაფე სსუქუნშიც კი გვხვდება ჩვენს მწერლობაში, რომ არა ვთქვათ რა აღრინდელზე. კერძოდ, „საერისკაცო“ მოიპოვება დავით მამფლისეულ კრებულში, ე. წ. „მამათა სწავლანი“-ში, რომელიც X ს.-ის 30-იან წლებშია გადამწერილი და გასულ წელს გამოვეცით სერიაში: „ძველი ქართული ენის ძეგლები: 8“. აი ამ სიტყვის შემცველი ზოგიერთი ადგილი: „და განგმარტუეს შენგან სამოსელი იგი მსოფლიოჲ, საერისკაცოჲ“,... (120, 4); „რომლითამე სახითა წარსდგე წინაშე მისსა ... სამოსლითა მით მსოფლიოთა, საერისკაცოთა?“ (126, 24). არსაიდან ჩანს, რომ „სიაზნაურე“ ახალი ტერმინი იყოს, რადგან „აზნაური“ უძველეს ქართულ ძეგლებშივე გვხვდება, ხოლო „სიაზ-

ნაურე“ წმინდა ქართული წარმოებისაა, წარმოქმნილი კანონიერად ზედსართავისაგან „აზნაური“.

არც ის არის სწორი, თითქოს გვიანურად ელერდეს „ნეტარ-თუმცა“, რადგან ჩვენ მიერ ზემორე დასახელებულ ქართულ წყაროში იგი არა ერთგან გვხვდება. აი ზოგიერთი ადგილი: „# სულო ჩემო, ნეტარ თუმცა ყოლადვე არა დაბადებულ ვიყავ ქუეყანასა ზედა. # სულო ჩემო, ნეტარ თუმცა ჰაერთა შინა მჟრინველად დავებადე ღმერთსა. # სულო ჩემო, ნეტარ თუმცა ნადირად ველთად დაბადებულ ვიყავ და არა კაცად პირ-მეტყუელად ქუეყანასა ზედა“ (184, 31-35); ასეთი ადგილები მრავლადაა სხვაგანაც ამ წყაროში.

ამნაირად, ზოგადი შედარებიდან მიღებული ამ რიგის შთაბეჭდილება პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა, მოყვანილისა და აქ განხილული ნიმუშების მიხედვით, სწორი არაა და, საერთოდ, ჩანს, რომ ის გარკვეულ ცალმხრივობაა ცნობილი არაა.

ବିକ୍ରମ ଶତାବ୍ଦୀ

[1] ცხორებაა (ნებარისა) იოლანსაჲ-
სი, ძინსა აზენეს) ჰინდოთა მფინსაჲ,
რომელი (მოაქ)ცია ნებარმან მამამან
ბალაჰვარ მოძლუარმან

გუაჟურთხენ, მამაო!

1. იყო ვინმე მეფე ერთი ქუეყანასა ჰინ-
დოეთისასა, ადგილსა, რომელსა ჰრქვან შო-
ლაიტი, და სახელი მეფისა[ღ] მის აბენეს. და
იყო იგი წარმართი ფრიად და დიდი სამეუ-
ფოა[თა] და აურაცხელ სიმრავლითა ერი-
საჲთა, ზარ (და საში)ნელ ყოველთა ზედა
კაცთა, მძლე მტერთა მიმართ; ლალ, ამპარ-
ტაევან და შუენიერ ხილვითა; ღრმა სიბრძნი-
თა და განგე[ბუ]ლებითა, მდევარ (სიტყუა-
თა)... (მოძ)[რ]ულე ქრისტეს მსახურთაჲ, სა-
ხელი მისი აბენეს. (იყო იგი) შეყოფილი გო-
ნებითა ნე[ბათა] და საშუებელთა ამის სოფ-
ლისათა და დამონებულ ნებასა თავისა თჳსი-
სასა, და ყოვლადვე ვერ წინააღმდგომელ
შუებათა მიმართ განმზრწნელთა სულისათა.
არარას გულმან უთქუა სოფელსა შინა, რო-
მელიმცა არა მოცა, გარნა ამას ხოლო ეუფ-
ბულ იყო, რამეთუ არა ესუა მას წელი შვილი.

ბ ბოლაიტი.

ბ¹ რომელი იყოფებოდა ... თანა] — J. ² გუაჟურთხენ, მამაო! — E.J. ³ ვპოე D.J. ⁴ საწიგნესა] —
შინა E.J. ⁵ სულთანი E. ⁶ ბოლაჲ D, ბოლატ E. ⁷ იაბენეს BCD.

[79 v] გვთხრობდა ჩუენ მამაჲ
ისაჲ, ძე სოფრონ პალესტი-
ნელისაჲ, და არს წიგნი ესე
სიბრძნე ბალაჰვ[არისი], რომ-
ელი იუოფებოდა უდაბ-
ნოთა მძოვართა თანა¹

გუაჟურთხენ, მამაო!²

მივიწიე ოდესმე იოებდ და მუნ
ეპოვე³ წიგნი ესე ჰინდოთა სა-
წიგნესა⁴, რომელსა შინა სწერიან
საქმენი ამის სოფლისანი, ფრიად
სარგებელნი სული[სანი]⁵.

1. იყო ვინმე მეფე ქუეყანასა
ჰინდოეთისასა, ადგილსა, რომელ-
სა ჰრქვან შოლაჲ⁶, და სახელმ.
მისი აბენეს⁷, იყო იგი წარმართი,
ეკრპთ მსახური.

ხოლო კაცი იგი იყო მშვიდი და
მდაბალი და ფრიად მოწყალე
გლახკათაჲ. და არა ესუა მას შვილი.

C

9

2. ხოლო მორწმუნენი ქრისტესნი და მონაზონნი კაცნი წმი-
დანი განმრავლდეს ქუეყანასა მისსა და რომელთამე მათგანთა ყოვ-
ლადვე დაეტევა ზრუნვა[ა] ამის სოფლისაჲ. და ესენი ფრიად გან-
კვრებულ იყვნეს¹ მეფისათჳს, თუ ვითარ ეგოდენ მისცა თავი
ნებასა თჳსსა და დაამონა იგი ქებათა ამ... თა. [ჲ] და იწყეს ძა-
გებად საწუთროსა და ყოველთა საქმეთა მისთა. (წარ)მოიტყოდეს
დაფარულთა ვნებათა და საცთურთა და სიბოროტეთა აღსასრულისა.
მის(ის)თა და ვითარმედ, აღრე წარმავალ არს ხატი ამის სოფ-
ლისაჲ.

და მიიწია სიტყუაჲ მათი აბენესე მეფისა და ფრიად დამძიმდა
ესე მის ზედა, რამეთუ ესრე თქუა გულსა შინა თჳსსა, ვითარმედ:
წინააღდგომაჲ ესე ამათი მიზეზ რაჲსამე ექმნას საქმეთა მისთა
დაჴსნისათჳს სუფევისა მისისა და განსარყუნელად განგებისა მისისა.
მაშინ აღიძრა იგი გულის წყრომითა ყოველთა ზედა ქრისტეანეთა
და იწყო ძჳრის ჩუენებად კაცთა მათ ღმრთისათა და ყოველთა
მიმართ, რომელნი ერჩდეს სიტყუათა მათთა. მაშინ თანაშეწევითა
ემბაკი[საათა] [ჲ] განიზრახვიდა ბოროტსა მათთჳს. [და] დაამძიმა
ველი მისი მათ ჴედა, ვიდრემდის განმარტა ველი მისი მათ ზედა
გუემითა და ტანჯვითა, და აკუეთნა მათ კაცნი უგუნურნი. და
იწყო მოყვანებად კერპთ მსახურთა პატივითა დიდითა, და აღიდნა
კერპნი მათნი და თაყუანის-სცა წინაშე მათსა; და უხორა და ეზი-
არებოდა დღესასწაულთა მათთა. და ველი შეეყვეს ყოველთა უგუ-
ნურთა და უმეცართა კერპთ მსახურებასა მეფისა თანა.

მაშინ განძლიერდა საცთური იგი კერპთ-მსახურებისაჲ, და დიდი
ქირი და იწროებაჲ მოიწია ყოველთა ეკლესიათა და კაცთა ჴედა
მორწმუნეთა, და ვერეინ დაითმინა, გარნა სრულთა ხოლო და
ჰემარტეთა ქრისტეს აღმსაარებელთა.

3. [და] შემდგომად ამისა იკითხა მეფემან [ჰ] კაცი ერთი ახო-
ვანთა მისთაგან(ი), რომელი ფრიად დიდებულ იყო და წარ[მატე]-
ბულ წინაშე მისსა ახოვნებისა და სიბრძნისა მისისათჳს. ხოლო
კაცსა მას დაეტევა საწუთროჲ ესე და შეუდგა სრულიად ქრის-
ტესა, და იქცეოდა უდაბნოს სიუათა თანა ყოველთა მამათა. და
მეფესა არა ეცნა საქმე ესე.

მაშინ უთხრეს მეფესა საქმე მის[ი], და ფრიად შეწუნნა მისთჳს,
და ბრძანა მოყვანებაჲ მისი. და ვითარცა მოიყვანეს იგი და იხილა
იგი ხატითა მონაზონთაჲთა და სამოსლითა შეურაცხითა, მსგავსად
კაცთა მათ ღმრთისათა. აღივსო გულის წყრომითა და იწყო გი-
ნებად მისა რისხვით, და ჰრქუა მას: ჰ უგუნურო, შენ იყავ პატიე-
ცემულ და წარჩინებულ წინაშე ჩემსა და აწ გიყო[ფი]ეს თავი-

C

9

შენი უგუნურთა თანა ს(ა)ციინელ, და დაამჯ დიდებამ შენი, რო-
შელი გაქუნდა წინაშე ჩემსა, და წარსწყმიდე დიდებამ შენი, და
იქმენ საციცხელ და საქიქელ¹ ერსა შორის, და შეუდეგ შენ გზასა
მას უგუნურთა და წარწყმედულთასა. და მერმე რაჲ-იგი შეამთხვე
სახლსა და შვილთა შენთა?! მიუგო კაცმან მან ლმრთისაჲან და
ჰრქუა: დადაცათუ არაჲ ძეს სამართალი ჩემი წინაშე შენსა, თანა-
გაც პატევი თავისა შენისაჲ და დაცეჲ გონებისა მავის შენისაჲ
მტერთაგან მისთა.

ჰრქუა მას მეფემან: და ვინ არს მტერ გონებისა ჩემისა? ჰრქუა
მას კაცმან მან: მტერ გონებისა შენისა არს გულის წყრომაჲ შენი,
რომელი აღსძრავს და შეაშფოთებს მას და წინააღუდეგების კე-
თილთა მიმართ. [ა]წ ისმინე სიტყუაჲ ჩემი და შემდგომად ცნო-
ბისა [ჴ] აღასრულე, რაჲ-იგი გნებავს. ჰრქუა მას მეფემან: აჲ ესერა
აღვიღებ რისხვასა ჩემსა შენგან; აწ მითხარ, თუ გაქუს რაჲ გან-
მართლებამ თავისა შენისაჲ? ჰრქუა მას კაცმან: აწ მიბრძანე, მეფე,
რომლისა საქმისათჳს აღიძრვი ჩემ ზედა, თავსა ჩემსა რაჲმე შე-
ესცოდეა ანუ შენ მეფესა?

ჰრქუა მას მეფემან: არა უწყია, უკუეთუ შესცოდო თავსა შენსა,
ჩემდა მომართ სცოდავ? რამეთუ მე თანა-მაც განგებამ ცთომილ-
თაჲ სამართალითა ჩემითა, სარჩელითა და სწავლითა ჩემითა და
რაჲთა შევიწყნარო ყოველი [სი]მართლე ერისა ჩემისაჲ და დავსაჯო
თანამდები ბრალისაჲ მათ შორის; და უკუეთუ გან-რაჲმე-ჰრქუნა
თავისა შენისაჲ, რომელსა არაჲ მოაქცევდეს, [v] თვნიერ შჯაჲ
ჩემი, არა უწყია, ვითარმედ შრომასა შემამთხუეე მას შინა? და აწ
შენ ესრეთ ხარ ჩემ თანა, ვითარცა სხუანი ერისა ჩემისანი, რამეთუ,
უკუეთუ ვინმე ბოროტი რაჲმე დიოს, თანა-მაც, რაჲთა გისაჯო
მისგან; და ეგრეთვე შენ, უკუეთუ სხუასა ვისმე უყო, თანა-მაც,
რაჲთა გისაჯო თავისა შენისაგან და უსაჯო თავსა ჩემსა შენგან და
მერმე სახლსა შენსა და შვილთა შენთა, რამეთუ წარსწყმიდენ.

ჰრქუა მას წმიდამან კაცმან: თავი სამართლისაჲ არს მიზეზი
რაჲმე სიტყ[უ]კს გებისაჲ ურთიერთას, და არავინ მოიღის სიტყუაჲ
საშჯელისაჲ თვნიერ განმართლებისა ცხადად, და არა აქუს ძლე-
ვაჲ საშჯელსა შინა თვნიერ მსაჯულისა; არამედ, მეფე, შენ თანა
ორნი მსაჯულნი არიან, ერთი მათგანი სარწმუნო არს [ჲ] ჩემ თანა,
ხოლო ერთი იგი საექუელ არს. აწ უკუეთუ, დასუა ჩუენ შორის,
რომელი-იგი სარწმუნო არს, სამართალი საჯოს, ხოლო უკუეთუ
დასუა, რომელი-იგი საექუელ არს ჩემ თანა, არა მერგოს მის თანა
სიმართლე ჩემი.

ჰრქუა მეფემან: და ვინ არიან ორნი იგი მსაჯულნი, ანუ ვინ
არს მათგანი სარწმუნო ანუ საექუელი? მიუგო კაცმან მან და

1 ა¹ და დასაქიქელ.

C

9.

პრქუა: სარწმუნო არს ჩემ თანა სიბრძნე და გონება შენი, ხოლო საეკუელ ჩემდა არს გულის წყრომა და ნება შენი. პრქუა მას ნუფემან: აჰა ესერა აღვიღებ შენგან გულის წყრომასა და ნებასა ჩენსა, და შემოვილო შორის შენსა და ჩემსა სიბრძნე და სამართალი ჩემი, დაღაცათუ ჩანს გონება-წარწყმედულება შენი, აწ მითხარ ყოველი საქმე შენი და ვინ ვაცთუნა.

პრქუა კაცმან მან ქრისტეს მოყუარემან: დასაბამი საქმისა ჩემისაჲ ესე იჲო, რამეთუ მესმა [x] სიტყუაჲ ერთი დღეთა ოდენ სიკაბუკისა ჩემისათა და ჩასწუთა ნაწუეთი მისი ჩემ თანა, და ყოვლადვე ქსენებაჲ მისი მაქუნდა გულსა შინა ჩემსა, რასაცა ვიქმოდე, და აღორძნდებოდა დღითი-დღე, ვითარცა ნერგი რაჲ აღორძნდებინ, ვიდრემდის განსრულდა ნერგი იგი და ესეეთთარი. ნაყოფი გამოილო, რომელსა-ესე ჰხედავ ჩემ თანა. ხოლო სიტყუაჲ, რომელი მესმა, ესე არს: ჰგონებნ უგუნური არსსა მას არა-არსად და არა-არსსა მას-არსად, რომელმან ვერ გულისწმა-ყოს არსი იგი, ვერ თანა-წარჰდეს არა-არსსა მას. ხოლო არსი იგი მერმე იგი სოფელი არს და არა-არსი — სოფელი ესე, რომლითა შენ შეჰყრობილ ხარ.

და სიტყუაჲ ესე ყოვლადვე მექსენა გულსა შინა ჩემსა, ჟამითი-ჟანად განვიხილევდი მას. და ვითარ-იგი ამხილებნ, სულსა ჩემსა [x] განაკრძალვდა, და განწმდებოდა გონებაჲ შემწედ სულისა. და მერმე აღნიდგის ნებაჲ მიდრეკად შუებათა მიმართ და განმშორებნ ჩემგან, რომელი-იგი მიცნობიედ, ვიდრემდის შეითქუნეს სული და გონებაჲ. მაშინ განქარდა საცთური ვნებათაჲ და დაეინახე სოფელი ესე, ვითარ-იგი ყოვლით კერძო ცეცხლ არს. და მიჩუენნა მე ყოველნი საცთურნი და საბრკენი მისნი, რომლითა მოინადირენეს ყოველნი მოყუარენი მისნი.

მაშინ დავაყენე ნებაჲ ჩემი და აღმოვჰფხურენ მიზეზნი გულის თქუმისანი და მოვაცალე გონებასა ჩემსა ცნობად კეთილისა და ბოროტისა, მაშინ აღმეძარცუა საბურველი მწუხარებისაჲ და მომქარდა სიმთრავლე გულის თქუმისაჲ, და გამოჩნდა სარცხველი საწუთრომასა, და განვიციდიდი მომავალსა და განვიხილევდი წარმავალსა, და გამოვცდიდი აღსასრულსა, ვიდრემდის კმა-ყუავ მეცნიერებაჲ ჩემი მას შინა. დაღაცათუ მე არა განვიციდიდი, იგი განომეცხადებინ, და მე არა ვჰკითხვიდი და იგი მითხრობნ ვნებათა მისთა, რომელი ჰქონან არა მტერთათჲს, არამედ მოყუარეთა და მეგობართა მისთა¹ მიმართ. და მაშინ დაეინახე, რამეთუ სიწმიდე მისი სიმრღვე არს, და სიხარული მისი მწუხარებად, და სიმდიდრე მისი სიგლახაკედ, და სიმალლე მისი. სიმდაბლედ და

1¹ განვორებულა სიტყვა „მისთა“.

C

9

შეუბნა მისი სინანულ. არაეინაჲ ვპოვე სიმდიდრისაგან მისისა, თუმცა არა ჰქონდა მის თანა მიზეზი ურვისაჲ, რამეთუ ვერ ჯანე-გებოდა სიმდიდრე იგი, გარნა ურვითა მით, რომელი შეუდგს, ვითარცა გლახაკმან ვინმე პოვა ცხენი. აჲ ჰხედავა, ვითარ შე-ხოლო-უდგს ურვაჲ? [7] რამეთუ უკმს მისთჳს საჰმელი და სანჰმარი მისი და ადგილიცა და მსგავსნი მადნი. და აჲ ოდესმე დაიღინენ გულის თქუმანი ესე, რომელ ერთი-ერთსა შე-ხოლო-უდგს? და ვი-თარ არა მწუხარება არს და ტკივილ სოფელი ესე, რამეთუ არა-ვინ არს, რომელმანცა განიხარა მათ შინა შეილთაგან, გინა თუ მონაგებთა, უკუეთუმცა არა ეწინეს. ხოლო მიზეზნი ტკივილისა და გულის კლებსანი—მოლოდებითა მით მოწეენადთა ბოროტთაჲთა, გინა შემთხუვევითა სენთაჲთა, გინა მოწეენითა ვნებათაჲთა, გინა თუ მოსლვითა სიკუდილისაჲთა თუთ მის თაჲდისა ზედა. მაშინ სიტკბოებაჲ იგი ვნებათაჲ განუჰმწარდის. აჲ უკუე შეუბნათა მათ მსწარათლ შე-ხოლო-უდგს მწუხარებაჲ, თჳნიერ ღონისა განშორე-ბაჲ. მათგან ჩანს, [v] რამეთუ ყოვლადვე არა ჯერ-არს შერეჲვად სოფელსა ამას და უფროჲსლა მათ, რომელთა უცნობიან საცთურნი მისნი. და უმეტეს ჯერ-არს მათდა მოძულებად და სიველტოლად მისგან, რომელთა მისცა თავი თჳსი უხუებით სოფელმან ანან, რამეთუ მოელიან დღითი-დღე და ჟამითი-ჟამად დაკლებასა ჟამთა დაკლებისაგან, და ეშინის მონაგებთათჳს, გინა თუ წარტაცებისათჳს სიკუდილისა, ოდეს-იგი არა მოელოდის. მაშინ არღარა ნეფსით დაუტეოს სოფელი, რომლისაგან იგი შეპყრობილ იყო.

უწყოდე, რამეთუ აღრე მოსიკუდილ ხარ და
ყოველჲა დიდებასა სოფლისასა დაუტეობ
სხუათა, ვითარცა-იგი, რომელნი წარვიდეს
და დაუტევეს საუათა, და მერმე კუალად
აღდგომად ხარ და განკითხვად სიტყჳსათჳს
და საქმისა.

D

მან მამათა შენთამან [ჟ] მიგიზიდა.
და ამით¹ ყოველთა სიხარულით²
მოაწესებდა³.

ხოლო იოდა⁴სათჳს ვითარცა
ესმნეს სიტყუანი ესე, განსლიერდა
გული მისი და ჰრქუა: ჰ მეფეო,
ვინაჲთგან მამანი ჩუენნი ღმრთის
მსახურნი იყენეს, შენ⁵ რად და-
უტევე სჯული მამათა შენთაჲ?
აწ კეთილად მზრახე მე დღეს,
დაღაცათუ საქმით აღასრულებ
საცთურსა, ხოლო აწ საღმობოჲ
გონებისა შენისაჲ ბოროტ არს
და ჯერ-არს⁶, რაჲთა მოსწრა-
ფებით ვილუაწო⁷ კურნებაჲ მისი,
და⁸ თანა-მაც ძიებად წამლისა და
არა ჯერ-არს ჩემ მიერ სიმქისით
მიხსლებოჲ⁹ შენი, რამეთუ მამაჲ
ხარ ჩემი და ფრიად ჯერ-არს
პატივი მშობელთაჲ შეილთა მიერ,
რამეთუ რომელი ზაკუეთ გე-
ტყოდის⁷, იგი არა ერთგული არს
შენი. აწ დააცხრვე შფოთი გუ-
ლისაგან შენისა და დაინახე უმ-
ჯობესი შენი და⁸ უწყოდე⁹, რა-
მეთუ აღრე მოსიკუდილ ხარ და
ყოველსა დიდებასა შენსა სხუათა

¹ ამით — J. ² მოაწესებებე BC. ³ შენ] და შენ BCDE. ⁴ ჯერ-არს] არა ჯერ-არს BCDEJ. ⁵ ვი-
ლუაწოთა. ⁶ და] + აწ BCDE. ⁷ მიხსლებოჲ (ასეა! მხილებოჲ?) ⁸ გეტყჳს A. ⁹ აწ დააცხრე ..
უწყოდეთა შენი და] — C. ¹⁰ უწყოდე] ამას გონებდი BCD.

¹¹ ეს სიტყუაც გასასწორებელი უნდა იყოს, რადგან ერთგულში გასაგებად სწერია მისი ნაცვლი:
„სახელია“. ¹² აქედან იწყება A-ს მომდევნო ნაწყვეტი.

ს

ღ

რაზეთუ არღავინ დაშოშილ არს სოფელსა ამას შინა, რომელმანცა თქუა და ასწავა კეთილი და საქმითა აღასრულა, გარნა კაცნი ესე მონანი ქრისტეს ღმრთისანი, რომელ არიან მეუღაბნოენი, რომელთა ჰრწამს წჳიდაა სამებაა და შჯული მისი წმინდაა, და მისაგებელი უწყიან კაცად-კაცადისა: საშუებელი და სატანჯველი [ქ]. აწ მოიყვანე, ვინ გნებავს შჯულისა მეცნიერი შენი, და ვყოთ სიტყუაა ურთიერთას შჯულისათს სიმართლისა საშჯელითა, ვიდრემდის გამოიწინდეს ქეშმარიტი ცრუესაგან.

ხოლო მეფესა ვითარცა ესმნეს სიტყუანი ძისა თჳსისანი, დაღუმნა განცკვრებული. და ვითარ მოეგო ცნობასა თჳსსა, იწყო¹ გულის სიტყუად და განზრახვიდა და წინააღდგომად ნებასა თჳსსა. ხოლო ნებაა მისი აცილობდა და ებრძოდა და მოაქსენებდა საშუებელთა და განსუენებათა, რომელ თანა დაჩუეულ (იყო). და ეტყვნ გულის სიტყუაა მისი, ვითარმედ ვერ ძალ-გიც ცხოვრებაა დღე ერთცა თჳნიერ ჩუეულებისა შენისა და ვითარმედ შეწამებაა ცთომილებისა და ჯობნაა სხუათაა [··]რწემე და საყუედრელ არს შენდა. და ყოვლადეე სასობებაა წარკიუეთის განშორებისაგან ჩუეულებისა მისისა და ვერარაა ღონე მოიგონის, [109] გარნა მსახურებავე და დიდებაა კერპთაა.

ა¹ იწყო] და იწყო.

ბ¹ ვითარცა] და BCDE. ² ესე] ესე რაა BCDE. ³ ხედათ BCDEJ. ⁴ წარიტანეს AJ. ⁵ ~ კაცნი სიკუდილმან BCDEJ. ⁶ ~ ეამთა შემდგომად BCDE. ⁷ და] -მამინ BCDE. ⁸ მიეგებვის BCJ. ⁹ გასწავა] + შენ BCDE. ¹⁰ უმჯობესი] + რ არავინ არს სოფელსა ამას შინა A. ¹¹ დაშოშილ არიან] და-შოშილონ BCJ, დაშოშილან DE. ¹² და მათ] მათ BCDEJ. ¹³ და] - A. ¹⁴ სატანჯველი] საშჯელი BCDE. ¹⁵ მამინ] -AJ. ¹⁶ მისისაგან BCJ. ¹⁷ დაღუმნა A. ¹⁸ განცკვრებული AJ. ¹⁹ ~ დღე ერთცა ცხოვრებად BCDEJ.

დაუტეობ, ვითარცა¹-ესე² ხედავ³. რამეთუ წარიტანის⁴ რაა სიკუდილმან კაცნი⁵, სიუანი ეუფლებიან მონაგებთა მათთა. ხოლო შემდგომად ეამთა⁶ ყოველნი აღდგომად ვართ და⁷ მიეგებვის⁸ კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ. აწ ისმინე ჩემი და გჳულად დაიდევ უმჯობესი, რამეთუ არღარავინ არს სოფელსა ამას შინა, რათამცა გასწავა⁹ უმჯობესი¹⁰. ხოლო რომელნიმე დაშოშილ არიან¹¹ უღაბნოთა შინა კაცნი ღმრთის მსახურნი, რომელთა ჰრწამს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და მათ¹² იციან მისაგებელი და¹³ სატანჯველი¹⁴. და უკუეთუ გნებავს, მოიყვანე მათგანიცა და შენისა სჯულისა მეცნიერნი და ვყოთ სიტყუს-გებაა და მამინ¹⁵ გამოიწინდეს ქეშმარიტი ცრუესაგან.

ხოლო მეფესა ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე ძისა მისისანი¹⁶, დაღუმნა¹⁷ განცკვრებული¹⁸, და ვითარცა მოეგო გონებასა, იწყო¹⁹ წინააღდგომად ნებისა მისისა. ხოლო ნებაა მისი აცილობდა და მოაქსენებდა შუებათა და განსუენებათა, რომელთა შინა ჩუეულ იყო, და ეტყვნ გული[ს]-სიტყუაა მისი, ვითარმედ ვერ ძალ-გიც ცხოვრებად დღე ერთცა¹⁹ თჳნიერ ჩუეულებისა შენისა და ჯობნაა ცა-სიმწარე არს და საყუედრელ.

C

მაშინ ჰპრქუა მეფემან ძესა თჳსსა: შეილო ჩემო, შემაცუთუნა სიტყუამან შენმან და მოვაქციო ზენდა. და აწ არლარა დაეცადლო გამონიება სიტყუათა შენთა და გამონახვა მათი დაწყნარებით. და უკუეთუ ქეშმარიტ იყუნე, უფროას განათლენ გამოძიებასა შინა ჩემსა. ხოლო უკუეთუ ცრუ იყუნენ, გამოჩნდეს მას შინა ცთომილებამ მათი. და მე მეგულეზის კრება და სიტყვა ყოფა სიმართლით და არლარა მძლავრებით, და ებრძანო, რაათა ვმობდეს ქადაგი მიცემად მშვდობისა ყოველთა ზედა ქრისტეანეთა, რომელნი არიან შჯულსა ზედა შენსა, რაათა მოვიდენ კრებასა ამას ჩემსა, რაათა სამართალი სანჯელი აღესრულოს მუნ ცხადად წინაშე ყოვლისა ერისა, რაათა არაიან აქუნდეს შიზეზი რამე და ჰკონებდეს, [v] ვითარმედ მო-რამე-ვიმლაგრეთ, და თქუას ვინმე, ვითარმედ: უკუეთუმცა მე ღუნ ყოფილ ვიყავ, კრებასა მას, მაქუნდა სიტყუა ძლევისაჲო, რომლითა უფრო დაჯერებულ იქმნეს ყოველი ერი, რომელსაცა ზედა განწყდეს საქმე ჩუენი.

47. და დაჯერებულ იქმნა იოდასაჲ სიტყუათა მეფისათა, და ყვეს პეენანი შეკრებისა. და იყო მას ღრესა შ[ინა] კრება დაღა. და გამოვიდეს კერპთ მსახურნი იგი, რაათა სიტყუა-უგონ ნაქორს[ი], რომელი საგონებელ იყო, ვითარმედ ბალაჰვარ არს, რომელი-იგი ზემო ვაქსენეთ, რომელი-იგი მოებირა რაქისს. ხოლო კრებასა მას არაიან დაჰაუდა კრისტეანეთა მორწმუნეთაგანი, გარნა კაცი ვინმე, რომელსა ფარულად აქუნდა სარწმუნოება უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს[ი], რომლისა სახელი ბარაქია, ზემოჯაქ[ი] 110 ნებული იგი, რომელმან უთხრა იოდასაჲს ბირებულობა ნაქორისი, ოდეს-

Q

მაშინ ჰპრქუა მას: შეილო ჩემო, შემაცუთუნა სიტყუამან შენმან და მომაქცია შენდა. და აწ არლარა¹ დაეცადლო განძობება სიტყუათა შენთა და გამონახვა [101] მათი დაწყნარებით, და უკუეთუ ქეშმარიტ იყუნენ, უფროას განათლენ გამოძიებასა შინა. და აწ მეგულეზის შეკრება ერისა და სიტყვს ყოფა სიმართლით² და³ არლარა მძლავრებით, და⁴ ებრძანო, რაათა ვმობდეს ქადაგი⁵ მშვდობისაჲ⁶, რაათა⁷ ყოველნი, რომელნი არიან⁸ სჯულისა შენისანი, მოვიდენ კრებასა ამას ჩუენსა⁹, რაათა სამართალი სასჯელი¹⁰ აღესრულოს წინაშე ყოვლისა ერისა, რაათა¹¹ არა სთქუას, თუ მო-რამე-ვიმლაგრეთ, და სამართალსა ზედა გაწყდეს საქმე ჩუენი.

47. მაშინ ბრძანა მეფემან შეკრება ერისა. და გამოვიდეს კერპთ მსახურნი. ხოლო ნაქორ, რომელ საგონებელ იყო ბალაჰვარად, დაღვა მეფისა¹² ძისაჲ¹³.

ხოლო კრებასა მას არაიან დაჰხუდა¹⁴ მორწმუნეთაგანი, გარნა ერთი ვინმე, რომელსა ეპყრა იღუმალ სჯული ქრისტესი.¹⁵ და სახელი მისი¹⁶ ბარაქია. და იგი განემზადა შეწვენად ბალაჰვარისა¹⁷.

1 და] — BCDEFJ. 2 და] — BCDE. 3 ქადაგი] ჟამი BCDEJ. 4 მშვდობასა AJ. 5 რაათა] და რაათა BCDE. 6 არიან J. 7 ჩუენსა] ჩემსა BCDE. 8 სასჯელი E] სჯული ABCDJ. 9 რაათან] და რაათა A. 10 მეფის EJ. 11 ძისა კერძო E. 12 დახუდა J დახუდა E. 13 ~ სჯული ქრისტესი იღუმ:ლ BCDEJ. 14 მისი] + იყო A. 15 ბალაჰვარისა A.

ც

ღ

იგი უდაბნოთ მოეყვანა სახედ ბალაჰვარისა; და ესე განმზადებულ იყო შეწყევნად ბალაჰვარისა¹, უკუეთუ სიტყუასა რასამე ზელა შებრკოლდეს.

და დაჯდა მეფე საყდართა თჳსთა, ხოლო იოდასაჲ ქუეყანასა, რამეთუ არა ინება დაჯდომამა საყდართა ზელა. და იწყო მეთემან სიტყუად კერპთ მსახურთა მიმართ და თქუა: აჰა ესერა თქუენ ხართ თავნი ამის წესისანი და ჩუენ თქუენგან მოვიღეთ, და თქუენ ვმავგეით. აწ ილუაწეთ დამტკიცებად ღღეს, და უკუეთუ გამოჩნდეს და დამტკიცენს იღვეამ თქუენი, იყოს კეთილი მისაგებელი თქუენი ჩემ მიერ ღირაად და უტოთმელობისა თქუენისა. ხოლო უკუეთუ გამოჩნდეს ვმასა ამას თქუენ[სა] [v] სიცრუვე და ტყუილი, არავინ არს უკადნიერეს ჩემსა თქუენ ზელა და არცა ვინ უფრო შეკოდებულ წინაშე ჩემსა და წინაშე ყოელისა ერისა. ვითარ თქუენ, წინაშე მდგომელნო კერპთანო. და მე აღთქუ-
 მამა მიმიცემია ღმერთთადა, უკუეთუ გამოჩნდეს ღღეს სიცრუვე სიტყუათა შინა თქუენთა და იძლინეთ სხჳსა რაჲსამე ძალისგან საშეგლითა სიმართლისადათ, დავღეწო გვრგვნი ჩემი და დავსცე საყდარი ჩემი და დავიყვრო თავი ჩემი და შევეერთო რიცხუსა მონაზონთასა, და დავწუნე ცეცხლითა ღმერთნი ეგე თქუენნი, და მოგწყვდნე თქუენ, წინაშე-მდგომელნი მათნი, და იავარ იქმნენ სახლნი თქუენნი, და ტყუედ მიეცნენ შეილნი თქუენნი. და [იელ]სა დამოვჰკიდნე გუანნი თქუენნი, ხოლო უკუეთუ შეიცვალოს ძლე-
 ვამან, შეიცვალოს პატიემანცა.

მიუგო² და ჰრქუა იოდასაჲ: ქუშმარტიად საშეგლი [111] სამართალი განაწესე, მეფე, და არავინა ჯერ-არს აღარულებამ სიმართლისაჲ, ვანაგა მეფისაჲ. ხოლო მე ჯერ-მიჩნს,

და დაჯდა მეფე საყდართა ზელა, ხოლო იოდასაჲ ქუეყანასა ზელა, რამეთუ არა ინება დაჯდომამა საყდართა ზელა. და იწყო მეფენან პირველად¹ სიტყუად კერპთ მსახურთა მიმართ და თქუა²: აჰა ესერა თქუენ ხართ თავნი ამის სჯულისანი. აწ ღღეს ილუაწეთ მტკიცედ, და უკუეთუ სძლიოთ, კეთილ იყოს მისაგებელი თქუენი,
 და დაჯდა მეფე საყდართა ზელა, ხოლო იოდასაჲ ქუეყანასა ზელა, რამეთუ არა ინება დაჯდომამა საყდართა ზელა. და იწყო მეფენან პირველად¹ სიტყუად კერპთ მსახურთა მიმართ და თქუა²: აჰა ესერა თქუენ ხართ თავნი ამის სჯულისანი. აწ ღღეს ილუაწეთ მტკიცედ, და უკუეთუ სძლიოთ, კეთილ იყოს მისაგებელი თქუენი,

და უკუეთუ იძლინეთ, ესე უწყოდეთ³, დავღეწო გვრგვნი ჩემი და დავსცე საყდარი ჩემი, და დავიყვრო⁴ თმამა თავისა ჩემისაჲ და შევეერთო რიცხუსა მონანულთასა, და დავწუნე ღმერთნი თქუენნი. და⁵ მოგწყვდნე ყოველნი⁶ წინაშე-მდგომელნი მათნი, და იავარ იქმნენ^{6a} სახლნი⁷ თქუენნი^{7a}, და ტყუედ მიეცნენ შეილნი თქუენნი⁸.

ხოლო ძესა თჳსსა ჰრქუა და უჩუენა ნაქორ: აჰა მოძღუარნი შენი და აწ ვუთ ჩუენ წინაშე სიტყჳს-გებამ. და ჰრქუა⁹ იოდა-

1 ბალაჰვარისა| ბალაჰვარისა 2 მიოგო.
 3 პირველად| — A. J. 1 და თქუა| — FCDE, ჰრქუა J. 4 ღწყოდეთ| + რამეთუ BCDE. 5 დავი-
 ყუშრო J. დავიყვრო BCD. 6 და| — J 6 ყოველნი| — FCDE. 6a იქმნენ A. 7 სახლნი J, სახლი A.
 7a თქნი A. 8 თქუენი| + და ცოლნი BCDE. 9 თქუა A.

ტ

რათა სახე ვიყო მეფისაჲ, რამეთუ ქეშმა-
 რიტი განძბჱე. და ჰრქუა იოდასაჲ ნაქორს,
 რომელ-იგი საგონებელ იყო, ვითარმედ ბა-
 ლაჰვარ არს: ამა ესერა შენ უწყი ბალაჰვარ,
 ვითარ სიჩხოებასა და შუებნასა შინა მპოვე და
 მაწვე აღებად წყის შენი და სიქუე, ვითარ-
 მელ: გაქუს სიმტკიცე მას შინა. და მე დაუ-
 ტევე სირცხული მეფისაჲ და წინააღდეგ
 შიშსა მისსა, და თავს-ვიდეგ იწროებაჲ ცხო-
 რებისაჲ და ჯმა-გეც სურვილისათჱს სასუფე-
 ველისა ცათაჲსა, რომელ მახარე და აღმითქუ
 წარუფალობაჲ მისი, და კულად შიშისათჱს
 დაუსრულებელთა სატანჯველთაჲსა, რომელ
 მაქადე. და აწ ესერა შემოკრებულ არს [v]
 სიმრავლე წინააღმდეგობთაჲ და არავინ არს
 მოწამე ჩემდა მათ შორისა და გესმის სამართა-
 ლისა ყოფიდა და მეცა თავს-ვიდებ სამარ-
 თალსა. ხოლო უკუეთუ საცთურ[ი] რაჲმე
 მიგე და კიდე-მყავ საშუებელთაგან სოფლი-
 სათა, რომელნი მოეცნეს კაცთა განსასუენებე-
 ლად, და შენ ჯელოვნებითა შენითა შთამაგდე
 წარსაწყმედელსა მერმესა. და აწ უკუეთუ
 იძლიო სამართლით გინა თუ უძღურებისაგან
 საქმისა შენისა, მსწრაფლ შურ-ვიძიო გულისა
 და ენისა შენისაგან, რამეთუ აღმოგქადნე
 იგინი ჯელითა ჩემითა და მიუყარნე ძალთა,
 რომელნი-იგი უფროჲ თავს-მდებელ არიან
 ტყუელსა და კიცხეებასა, ვიდრე შეილნი მე-
 ფეთანი. და ამას აღთქუმასა დავსდებ წი-
 ნაშე ღმრთისა და წინაშე ანგელოზთა მისთა,
 და ვერ განერე ქეშმარიტად ჯელსა ჩემ-
 სა*.

ჲ

საჲ¹: მეფეო, სამართალი სასჯე-
 ლი განაჩინე, ვითარცა ჯერ-არს
 მეფეთათჱს. და ნაქორს ჰრქუა:
 შენ უწყი, ბალაჰვარ, ვითარ²
 სიჩხოებასა და შუებნასა შინა
 მპოვე და მაწვე აღებად სჯული
 შენი³ და სიქუე, ვითარმედ: გა-
 ქუს სიმტკიცე მას შინა. და მე
 დაუტევე სირცხული მეფისაჲ და
 წინააღდეგ შიშსა⁴ მისსა, და
 თავს-ვიდეგ იწროებით ცხოვრებაჲ
 შიშისა მისთჱს სატანჯველთაჲსა,
 რომელ მაქადე⁵. და აწ ესერა
 შემოკრებულ არს სიმრავლე⁶ წი-
 ნააღმდეგობთაჲ და არავინ არს
 მოწამე⁷ ჩემი⁸ მათ შორის და
 გესმის⁹ სამა[v]რთლისა¹⁰ ყოფიდა
 მეფისაჲ. ხოლო უკუეთუ საცთური
 რაჲმე დამიგე და კიდე-მყავ სა-
 შუებელთაგან. აწ უკუეთუ იძლევი
 ამათ მიერ, ესე მტკიცედ უწყობი⁹,
 მსწრაფლ შური ვიძიო ენისაგან
 შენისა და გულისა, და ჯელითა
 ჩემითა აღმოგწუადნე¹⁰ იგინი და
 მიუყარნე იგინი¹¹ ძალთა. და^{11a}
 ამას ამისთჱს ვჰყოფ, რამეთუ მო-
 ჰკიცხე ძე მეფისაჲ. აწ ამას აღ-
 თქუმასა დავსდებ წინაშე ღმრთი-
 სა და ყოვლისა ამის¹² კრებუ-
 ლისა.

[112]ხოლო ნაქორს რაქამს ესმნეს სიტყუა-
 ნი ესე იოდასაფისგან, გულისჯმა-ყო, რამეთუ
 შთავარდა მთხრებლსა მას, რომელცა ქმნა,

ხოლო ნაქორს რაქამს ესმნეს
 სიტყუანი¹³ ესე, შეძრწუნდა და
 გულისჯმა-ყო¹⁴, რამეთუ შთავარ-

ბ¹ იოდასაჲ ჰრქუა BCDEJ. ² ვითარ.— BCDE. ³ ~ სჯული შენი აღებად BCDEJ. ⁴ შიშ-
 სა Aკ ბრძანებასა BCDE. ⁵ მიქადეგებდნე BCDE. ⁶ სიმრავლე] + კერპთა მსახურთა BCDE. ⁷ მოწამე
 BCDE. ⁸ ჩემი ჩუნი A. ⁹ გესმა A. ¹⁰ სამართალისა A. ¹¹ უწყობი იცოდნე BCDE. ¹² აღმოგწოდნე
 BCDE. აღმოგწოდნე C. ¹³ იგინი — BCDE. ¹⁴ და] — A. ¹⁵ ~ ამის ყოვლისა BCDEJ. ¹⁶ ესმა სიტყუა
 BCDE. ¹⁷ ყო] — BC.

* ამ გვერდის ქვემოთ კიდევ სწერია: „და ჰყრობილი ნაქორ ორ კერძოვე და ყუელი (!) გას-
 წბილბ[...].“

ს

და იხილა ბოროტი და წარწყმედა თავისა თვისისა და მოწვენა სიკუდილისა მის ზედა ორ კერძოთვე. და ცნა, რამეთუ ვერარაათ განერეს საშჯელსა, გარნა შეელთა და შეწყენითა შჯულსა. ბალაჰვარისსა ყოვლითა გულთა და ძალითა მისითა, რათა დაამშვდოს ძე მეფისა მისგან. ხოლო მეფისაგან ჰგონებდა წენდობასა შეთქმულებისა¹ მათისათს. და აღალო პირი თჳსი ნაქო[რ] და იწყო ძაგებად კერათა მიმართ და მსახურთა მათთა, და მერმე ქებად შჯულსა ქრისტეანეთასა და წესთა მათ წმიდათა, რომელსა ვერცა ბალაჰვარ მისწუთებოდა ეგოდენ განმკუთვლთა [v] სიტყუათა² და წულილადთა პასუხთა, რამეთუ ვერეს ჰელ-ჴიფებოდა წინააღდგომად მისა მზორველთაგანსა კერათასა ერთსაცა ზედა სიტყუასა მისსა.

ხოლო იოლასათ ნეტარი იხარებდა სულითა. და განბრწყინდა პირი მისი მადლითა სულისა წმიდისაჲთა და ჰმადლობდა და აღიდებდა ღმერთსა და მამასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომელმან განაძლიერა შჯული წმიდა მისი პირითა წინააღმდგომთა მისთაჲთა. და განაგრძევს სიტყუს-გებაჲ მათ შორის. და აღივსო მეფე გულის წყრომითა წარმატებისათს ნაქორისა, და არა უნდა შურის გებაჲ მისგან წინაშე ერისა სირცხვლისაგან, რათა არა გამოუჩნდეს ერსა მიდრეკაჲ მეფისა სიმათლისაგან. და (თ)ქუა მეფემან გულსა შინა თჳსსა: ეს[ე] ბოროტი მე თუთ მოვიხადე თავისა ჩემისათს. და იწყო თუთ მეფემან სიტყუს-გებად და ცილობად ნაქორისა². და ვითარ [113] მისცნა სიტყუანი ფიცხელნი და მას შინა დასცნა ზარის მისი, და შეშინდა ნაქორ, ნუჴუკუე არა თავს-იდვას მეფემან ეგოდენი წარმატებაჲ მისი

ღ

და მთხრებლსა მას, რომელ ქმნა³, და ცნა, რამეთუ ვერაჲთ ღონის ძიებითა² განერების, გარნა ქრისტეს აღსარებითა და შეელითა სჯულსა ბალაჰვარისსა³. ხოლო მეფისაგან ჰგონებდა წენდობასა შეთქმულებისა მისთს, რომელ⁴ დაედვა. და აღალო⁵ ნაქორ პირი თჳსი⁶ და იწყო ძაგებად კერათა მიმართ და ქებად ქრისტესსა და მყოფთა სჯულისა მისისათა. და წარმატებოდა სიტყუაჲ მისი ესრეთ^{6a} კეთილად, რომელ ვერცა ბალაჰვარ⁷ მისწუთებოდა⁸ სიტყუს-გებასა მას კერათ მსახურთა მიმართ.

ხოლო იოლასათ იხარებდა სულითა და განბრწყინდა პირი მისი და ჰმადლობდა ღმერთსა, რომელმან განაძლიერა სჯული მისი პირითა წინააღმდგომთა მისთაჲთა, და განაგრძევს სიტყუს-გებაჲ მათ შორის. და აღივსო მეფე გულის წყრომითა⁹ ნაქორისთს, წარმატებისათს სიტყუათა მისთაჲსა და ვერას ამხილებდა მას სირცხვლისაგან ერისა^{8a}. და^{9a} თქუა¹⁰ მეფემან გულსა თჳსსა: ესე ბოროტი მე თუთ^{10a} მოვიხადე თავისა ჩემისათს. და თუთ იწყო მეფემან სიტყუს-გებად და ცილობად ნაქორისა¹¹. ხოლო¹² ნაქორ მიუგნა¹³ სიტყუანი ძლიერნი, რომლითა არცხუენდა¹⁴ მეფესაცა და არა შეშინდა ზარისაგან მეფისა შიშინ-

ბ¹ შეთქმულებისა. ² ნაქორისა.
 ბ¹ ქმნა] თხარა BCDE. ² ღონის ძიებით BCD. ³ ბალაჰვარისათა BCDE. ⁴ რომელ] + პირველ BCDE. ⁵ აღილო BCD. ⁶ თჳსი] — BCD. ^{6a} ესრე A: ⁷ ბალაჰვარ] + მისა BCDE. ⁸ მისწულებოდა BCDE. ^{8a} ერისა]—DE. ⁹ ~ გულის წყრომითა მეფე BCDE, J, და]—რ⁹ D. ¹⁰ თქუა] ჰრქუა J. ^{10a} თუთ მვით BC, მოვით D. ¹¹ ნაქორისსა A, J. ¹² ნაქორისა ხოლო] — C. ¹³ მიუგო DE. ¹⁴ არცხუნა A.

ჯ

ცილობასა ზედა მისსა და დააბრკოლა ზოგი სიტყვს-გებამ მისი. და განძლიერდეს მას ზედა კმანი მზორველთანი, რამეთუ ნებით მოაკლო ნაქორ შიშისათჳს მეფისა. ხოლო მეფე და ყოველი ერი მისი ყოველითა ძალითა მათითა ილუწ[ი]დეს. და დამწუხრდა დღე მას შინა, და არავეს ზედა გამოჩნდა ძლევამ განცხადებული. [ხოლო] ძემან მეფისამან ჯერ-იჩინა შენდობამ ნაქორისი მოკლებისათჳს წინააღდგომასა მეფისასა და შეშინდა ბოროტის ყოფისათჳს მისისა მას ზედა.

და ჰრქუა იოდასაჲ მეფესა: შენ, მეფე, [v] დღეს სამართალსა ზედა ჰყავ დასაბამი საქმისა ჩუენისაჲ. ხოლო აღსასრულიცა ეგრედ იყვენ. აწ ყავ ჩემ თანა ერთი ორთაგანი: ანუ მომეც მე მოძღუარი ჩემი, რამათა დაადგრეს ჩემ თანა და ვიწურთიდეთ სიტყუათა ზჯულისა ჩუენისათა; და ამას თანა უშიშოებაჲცა აქუნდეს, რამათა არა შიშისაგან დააკლოს სიტყუამ ქეშმარიტებისაჲ. და შენ წარიყვენ მოძღუარნი შენნი და ყავ მათ თანა, ვითარცა გნებავს. ანუ კუალად მე მომცენ მოძღუარნი შენნი და შენ წარიყვენ მოძღუარი ჩემი. ხოლო უკუეთუ მოძღუარნი ზენნი და ჩემიცა შენ წარიყვენ და მოძღუარნი შენნი იყვენ მშდობასა და განსუენებასა შინა და ჩემი განწირულ იქმნას ჩემგან, და იყოს ზიზსა და კდემასა შინა. ესე დიდი მცლავრებისა ჩუენებამ არს და არა სამართალი. [114] ხოლო მეფემან არა ინება მიცემამ მზორველთამ ძესა მისსა, ნუ-უკუე მიაქცივნეს კერპთ მსახურებისაგან სიტყუამცნიერებითა მისითა, და რამეთუ ესვიდაცა ნაქორისგან ღონესა და შეთქმულეზისა აღსრულეზისა იდუმალ. და მი[ს]ცა ნაქორ

ღ

სათჳს იოდასაფისა¹.

და დაღამდა და ვერვისკე² გამოჩნდა ძლევამ. რანეთუ ნაქორ უკლებდა მეფესა სირცხვლითა.

ხოლო იოდასაჲ ჰრქუა მეფესა: აჰა მეფეო³, არა სადაჲთ⁴ გამოჩნდა ძლევამ. აწ ყავ⁵ სხუამცა⁶ სამართალი და მოძღუარი ჩემი დაუტევე ჩემ თანა და შენი⁷ შენ თანა.

ხოლო მეფესა ენება ნაქორის შეგონებამ [102] იღუმალ, რამათა არა წინა-აღუდგებოდის სიტყვს-გებასა მას, გარნა⁸ ნაქორ-ეგრეცა⁹ დაუტევა¹⁰ სათნოესათჳს ძისა თჳსისა და ესვიდაცა^{10a} ნაქორისგან¹¹ მოკლებასა¹² სიტყვს-

ბ¹ შიშისათჳს იოდასაფისა] — BCDE; იოდასაფისა A. ² ვერვისკე] არავეს BCDE, არავეს-ჲ J. ³ აჰა [ეფეო] — BCDE. ⁴ სადაჲთ BCDE. ⁵ აწ ყავ] — BCDE. ⁶ სხუამცა] სირყუამცა BCDEJ. ⁷ შენი] — C, ზენნი A. ⁸ გარნა] და BCDE. ⁹ ეგრეთვე BCDE. ¹⁰ დაუტევა] + მეფემან BCDE. ^{10a} ესვიდა A. ¹¹ ნაქორს BCDE, ნაქორისგანცა A. ¹² მოკლებად BCDE.

C

ძესა თვისსა, და წარვიდა ძე მეფისაჲ პალატად თვისსა. და წარიყუა(ნა) ნაქორ მის თანა. და ეგონა ყოველსა მას ერსა, ვითარმედ ბალაჰვარ არს იგი.

ხოლო იოდასაჲ, ძემან მეფისამან ჰრქუა ნაქორს იღუმალ ღამით: მე უწყი, რამეთუ შენ ნაქორ ხარ და არა ბალაჰვარ, და მე დაგიცევ შენ, ნაქორ! და აწ მხიარულ იყავ, რამეთუ დღეს მრავალი კეთილი ჰქმენ და და ფრიად შემწე ექმენ შჯულსა წმიდასა ღმრთისასა სიტყუს-გებთა შენითა. ხოლო იე წარმოგიყვანე, რაათა დაგიცვა ბოროტისაგან მეფისა, არამედ არა შევიწყნარებთ შეწვენასა შენსა [v] შჯულისა მიმართ პირითა უნებლო-ბისაჲთა, არამედ გონებასათა დაიდევ და კმა-ეც სახარებასა ძისა ღმრთისასა და მოედ სამართლად აღსაარებითა ქრისტესითა და შჯულისა მისისაჲთა, და მოელოდე მოსაგებელსა და სატანჯველსა მისსა, რამეთუ ადრე წარმავალ ხარ, ვითარცა წარვიდეს უწინარესნი შენსა, და ნუ აღირჩევ საშუებელსა წარმავალსა წარუვალთა ზათ კეთილთა წილ ქრისტეს მიერთა. ჰრქუა ნაქორ: შემიწყნარებები, ძეო მეფისაო, რომელსა-ესე მაწუევ, და მრწამს ღმერთი და ვწამებ, რამეთუ ყოველივე მის მიერ არს და მიაგებს მისაგებელსა საქმეთაგზრ საუკუნესა. და მე შეურდები ღმერთსა ცოდვათა ჩუათათს, რამეთუ იგი თავადი მოწყალე არს და უწყი, რამეთუ ერთგულებით მაწუე საქმე ესე. [115] და აქამომდელსა უწყოდე კეშმარტებაჲ, არამედ შეუდევ ნებასა ჩემსა და მიძნდა განშორებაჲ მამულთაგან შჯულთა და წესთა ცულდა. ხოლო შენ, ძეო მეფისაო, გიხაროდენ პატივსა შინა ღმრთისასა და კეთილთა მისთა მოსაგებელთა, უკუეთუ დაადგრე ნებასა ზედა მისსა. და მე გაზრახებ, რაათა

D

გებისასა¹ შეთქმულებისა მის მათისათს.

ხოლო ძემან მეფისამან იღუმალ ჰრქუა ნაქორს: უწყი მე საქმე შენი², რამეთუ ნაქორ ხარ შენ³, ხოლო გიხაროდენ, რამეთუ დღეს⁴ კეთილად იღუაწე ღმრთის მსამეთუ მას დღეს ფრიად არცხენე და ბოროტი ჰნებავეს შენი. ხოლო⁵ ჩუენ არა შევიწყნარებთ შეწვენასა შენსა პირითა უნებლითა⁶. ხოლო შენ უკუეთუ გულისკმა-გიყოფიეს საქმე შენი, ზეცით იყოს⁷ შეწვენა შენი, და თუ არა, ვითარ⁸ წინააღმდეგ სიმრავლესა ესოდენისა ერისასა! აწ მოვედ გულისკმის-ყოფად და კმა-ეც⁹ წოდებასა ღმრთისასა და მო[ვ]ქელ¹⁰ სარწმუნოებასა მისსა, აღილე ჯუარი და შეუდევ ქრისტესა. ჰრქუა მას ნაქორ: შემიწყნარებიეს, ძეო¹¹ მეფისაო, რომელსა-ესე¹² მაწუევ, და მრწამს ერთი ღმერთი და მიცნობიეს, რამეთუ¹³ ყოველი მის მიერ არს. და აწ მე შეურდები ცოდვათა ჩემთათს, რამეთუ იგი თავადი მოწყალე არს და ელის მოქცევასა ცოდვილთასა. ხოლო შენ, ძეო მეფისაო, გიხაროდენ, უკუეთუ დაადგრე¹⁴ ნებასა მისსა. და მე გაზრახებ, რაათა პატივ-სცე მამასა შენსა და სიმარჯუთ ჰყო¹⁵

ბ¹ სიტყვს გებისათს BCDE. ბ² ~ შენი საქმე BCDEJ. ბ³ შენ] — AJ. ბ⁴ ~ დღეს რამეთუ A. ბ⁵ ხოლო] და აწ BCDE ბ⁶ უნებლითა D. ბ⁷ იყო AC. ბ⁸ ვითარ] ვითა BCDEJ. ბ⁹ და კმა-ეც] — BCDEJ. ბ¹⁰ მოვედ] — BCDEJ. ბ¹¹ ძეო] — C. ბ¹² რომელსე A. ბ¹³ რამეთუ] ვითარმედ A. ბ¹⁴ დაადგრე J. ბ¹⁵ ჰყო] — D.

ზ

პატივსცე მანასა შენსა და სიმარჯუთ ჰყო ცხორებაჲ შენი მის თანა, ვიდრემდის გზა-გცეს შენ ღმერთმან. და შენ უწყი, ძეო მეფისაო, ძალი და განზრახვება შეთქმულობისა ჩუენისაჲ, და ანუ ვითარითა სიტყუთა შევემთხვე მეფესა, რომლისაგან თანა-მაც სირცხული პირისაგან მისისა, რამეთუ სხუა იყო სასობება მისი ჩემდამო და სხუა პირი გამოჩნდა ჩემგან. და აწ გვედრებო, რაჲთა მიჯმენ განალვად და ყოფად უდაბნოსა მონათა მათ თანა ქრისტესთა, და შემდგომად მცირელთა ჟამთა კულად მოვიქცე შენდა, უფალსა თუ უნდეს. [v] და [ნე]ბა-სცა ძეპან მეფისამან, და დაუტევა მშულობაჲ და ულოცა და წარვიდა საესე სარწმუნოებითა ქრისტესითა და ფრიად ინანდა პირველთა მათ მედგრობათა მისთა¹ ზედა. და იყოფოდა მძოროთა თანა სახითა და წესითა ქეშმარიტთა მონაზონთაჲთა. რომელთა ესმა ესე, მისცეს ღიდებაჲ ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა.

და მიიწია ჰამბავი ნაქორისთჳს მეფისა და სასო-წარკუეითლ იქმნა ინედისაგანცა მისისა, რომლითა ჰგონებდა მიქცევასა ძისა თჳსისასა მის მიერ. და მიერიოთგან დააცადა მეფემან ცილობაჲ ძისა თჳსისაჲ და იწყო შეურაცხ-ყოფად საქმესა კერპთასა, და მრავალსა ზედა აჩუენა უღებ-ყოფაჲ საქმისა მათისაჲ [116] და უპატიოებაჲ მზორველთა მათთაჲ, გარნა ვერევე დაიდვა გონებასა თჳსსა დადგრომაჲ წესსა ზედა ღმრთის მსახურებისასა. ხოლო იოდასაჲ აჩუენა მეფესა კეთილი მეგობრობაჲ, ვითარცა-იგი ამცნო ნაქორ, და არა ყუედრებაჲ საქმეთა ზედა მისთა.

48. და შენდგომად მცირელთა მოიწია ღღესასწაული კერპთაჲ, რომელი

ყ

ცხორებაჲ შენი მის თანა, ვიდრემდის¹ გზა-გცეს შენ² ღმერთმან. ხოლო მე მრცხუენის პირისაგან მამისა შენისა, რ³ მოვეყვანე შენწედ მისდა, ხოლო მე წინააღულდე შეთქმულებისა თქუენისათჳს⁴, რამეთუ ფრიად შეგეშინა შენგან. და აწ თანა-მაც მე სიულტოლაჲ პირისაგან მამისა შენისა. ხოლო შენ განმიტევე და წარვიდე უდაბნოს⁴ და, უნდეს თუ უფალსა, კულად მოვიდე შემდგომად⁵ ჟამთა თქუენ წინაშე. ხოლო მე მრწამს მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ და აღვიარებ მის. და ნებ[ა]-სცა ძეპან მეფისამან, და დაუტევა მშულობაჲ და წარვიდა ნაქორ საესე სარწმუნოებითა⁶.

ხოლო ცნა რაჲ მეფემან, სასო-წარკუეითლ იქმნა ნაქორისგანცა. და დააცადა ცილობაჲ⁷ ძისა თჳსისაჲ⁸, და იწყო შეურაცხის-ყოფად⁹ საქმესა კერპთასა¹⁰ და უპატიოდ ჰყენის¹¹ წინაშე მღგომელნი¹² კერპთანი.

48. და შენდგომად მცირელი-სა¹³ მოიწია ღღესასწაული კერპ-

ა¹ მისთა]+მისთა.
 ბ² ვიდრე A. გ³ შენ — A. დ⁴ თქუენისა A. ე⁴ უდაბნოსა BCD. ვ⁵ შემდგომად შენდა BCD. ზ⁶ ~ სა-რწმუნოებითა საესე BCDE. თ⁷ ცილობა A. ი⁸ თჳსისაჲ მისისა A. კ⁹ შეურაცხება BCDJ. ლ¹⁰ საქმესა კერპთასა] კერპთა მიმართ BCDEJ. მ¹¹ ჰყვეს BCJ, ყუნეს D, ჰყუნა E. ნ¹² მღგომნი A. ი¹³ მცირე-ღისა] — BCDEJ.

ტ

დიდად აღიდის მეფემან, ხოლო ქურუმთა მათ ვითარ იხილეს მეფისაგან შეურაცხებაჲ კერპთაჲ და მსახურთა მისთაჲ, შეშინდეს, ნუუკუე არა მივიდეს მეფე დღესასწაულსა მათსა და არა უზოროს კერპთა, და სრულიად შეურაცხ იქმნენ. მაშინ აღდგეს და მივიდეს კაცისა ვისამე, რომელი იყოფოდა უდაბნოთა და მთათა შინა, დაკლებული და კიდე-ქმნული ორთაგანვე (ცხოვრებათა, [v] რომლისა სახელი თედმა. ხოლო კაცი იგი იყო შჯულისა მათისაჲ და ფრიალი სასოებაჲ აქუნდა მეფესა მისა მიმართ და ყოველსა ერსა მისსა, ვიდრემდის ჰგონებდესცა, ვითარმედ წვამა და [მ]ზეცა მისითა ლოცვითა მოეცემის ქუეყანასა მათსა.

და მოიყვანეს კაცი იგი მეფისა, რაათა განაძლიეროს და აღმოაქებურას იქვ გულისაგან მისისა. და ვითარცა იხილა მეფემან¹ კაცი-იგი, შე-რაჲ-ვიდოდა იგი წინაშე მისსა, და არარაჲ ემოსა, გარნა ძუელი რაჲმე შემოედგა წელთა ზედა, და კუერთხი აქუნდა ქელთა მისთა. და მრავლით ეამითგან არა ეხილვა იგი მეფესა. და ვითარცა იხილა იგი მეფემან, აღდგა მსწრაფლ და დაეარდა წინაშე მისსა, თაყუანის-სცა და² ამბოზს-ჟუოფდა ფერქთა მისთა. და დადგა წინაშე მისსა, [117] ვითარცა მონაჲ რაჲ დგანნ წინაშე უფლისა თვისისა, ვიდრემდის უბრძანა თედმა, და დაჯდა მეფე. მიუგო და ჰრქუა თედმა მეფესა: მეფე, ცხოვნი კერპთა მიერ! მესმა, რამეთუ დიდი ლუაწლი აღასრულე ბრძოლასა ზედა ეშმაკთასა, ხოლო ფრიალ განვიხარე, რაჲემ მესმა, ვითარმედ მოგეცა ძლევაჲ. ჰრქუა მეფემან: ჩუენ ძლევაჲ ვერსადათ მოგუეცა და არცა ოდეს სადა საჯმარ ყო-

ღ

თაჲ. და შეშინდეს კერპთ მსახურნი იგი, ნუუკუე არა მივიდეს¹ მეფე ზორ[ვ]ად კერპთა. მაშინ წარვიდეს თედმა², რამეთუ იყო იგი³ კერპთ მსახური და იყოფოდა⁴ უდაბნოსა⁵, და ფრიალი სასოებაჲ აქუნდა მეფესა და ყოველსა ერსა⁶, რამეთუ ჰგონებდეს, ვითარმედ წვამა და მზე მისითა ლოცვითა⁷ მოეცემის ქუეყანასა მათსა.

და მოიყვანეს კაცი იგი⁸ მეფისა, რაათა შემწე ექმნეს მათ. და ვითარცა შევიდოდა⁹ წინაშე¹⁰ მეფისა, არაჲ ემოსა¹¹ თვნიერ¹² ფლასისა ნაძუელი, რომელი¹³ შემოედგა წელთა მისთა. და ვითარცა იხილა მეფემან შემავალი მისდა¹⁴, აღდგა და მიეგება წინა და მოწოდე მოიკითხა. და ვითარცა დასხდეს¹⁵, ჰრქუა: მეფეო¹⁶, ცხოვნი კერპთა მიერ! რამეთუ

მესმა, ვითარმედ¹⁷ ფრიალ¹⁸ ილუაწე კერპთათვის და მეცა განვიხარე¹⁹, რამეთუ მოგეცა ძლევაჲ. ხოლო მეფემან ჰრქუა: ჩუენ ძლევაჲ არასადათ მოვიღეთ, ხოლო²⁰ შენ,

1 მეფემან. 2 და+და.

3 მოვიდეს BCDEJ. 4 თედამისსა E. 5 იგი] — BCDEJ. 6 იყოფებოდა BCDE.

7 უდაბნოსა BCDE. 8 ერსა]+მისსა BCDE. 9 ~ ლოცვითა მისითა A. 10 იგი]+წინაშე BCDE. 11 შევიდა AE. 10 წინაშე] პალატად BCDE. 11 ემოსა]+რაჲ BCDE. 12 თვნიერ]+რომელ BCDJ. 13 რომელი] — BCDJ. 14 მისსა AJ. 15 სხდეს B]+ქუე A. 16 მეფე BCDJ. 17 ვითარმედ]—DE. 18 ფრიალ] დიდად B. 19 მეცა განვიხარე] გავიხარენ AJ, მეც გავიხარე BCD. 20 ხოლო] და აწ B.

C

9.

ფილ არიან ჩუენდა მბრძოლნი და ახოვანნი, ვითარცა-ესე დღეს, აწ რაჲ შეეწენა არს ჩუენი შენგან? მიუგო თედმა: ჟ მეფე, პირველად ჯერ-არს აღსრულებად მოწვეწული ესე დიდი დღესასწაული და მიცემად ღმერთთა სამართალი მათი, რომელთა მიერ ყოველი განმარჯუება და ძლევისა მოინჳება, და მაშინლა შემთხუევა მტერთა და მოთმინება ღუაწლთა შინა [v] ყოვლითა საქურველითა ძლევის მომპოვნებელითა.

ჰრქუა მეფემან თედმას: მსგავს არს საქმე ესე ჩენი და შენი, თედმა, მბრძოლსა მას ერად განწესებულსა, რომელსა ესუა ცოლი ფრიად ქმნულ-კეთილი. ხოლო კაცი იგი ფრიად მოშურნე იყო დედათა მიმართ და ეშინოდა, ნუჟუე ვერ მოთმინე იყოს ცოლი მისი და შევარდეს საქმესა სიძვისასა. და ჰრქუა დედაკაცსა მას: მე უწყი სიჩქურე და სისუსტე ბუნებისა დედაკაცობისა და მტერი მივის, რომელი მოვალს აღძრვად შენდა. აწ განეკრძალე და მოთრინე იქმენ, და მე სასწაული მიცე, რათა ოდეს მოიწიოს შენ ზედა აღძრვაჲ ჯორცთაჲ, დაჲოუტევენ თმანი შენნი, და მე ვიხილო სასწაული იგი, და ბრძოლა-ესცე მას, და ვერ შემო[118]ვიდეს სიბორგილე მტერისაჲ შენ ზედა. და ჰყოფდა დედაკაცი იგი საქმესა ამას. და დაყვეს ე[ა]მი მრავალი შეუცთოელად. და დღესა ერთსა მოიწია მტერი და იყო ჯმაჲ და განვიოდეს მბრძოლნი შემთხუევად მტერისა. და აღდგა ჰაბუიკა იგი და შთაიკუა საქურველი თჳსი. და ვითარ შეჰხედნა ცოლმან მისმან საქურველსა მას შინა, აღიძრა ტრფიალებითა, რამეთუ ახოვანთაგანი იყო ჰაბუიკი იგი, და ყო დედაკაცმან სასწაული იგი, რომელი მოელო ქმრისა თჳსისაგან. ხოლო კაცმან მან ვითარცა იხილა იგი, იქცა სახედ თჳსა, ვიდრემდის

რაჲცა¹ ძალ-გიც, შეგუეწიე. ჰრქუა თედმა: პირველად ჯერ-არს აღსრულება და დღესასწაულისა კერპთაჲსა და მაშინლა შემთხუევა მტერთაჲ, რამეთუ იგინი არიან შემწენი წყობასა შინა მტერთასა.

10

და ჰრქუა მეფემან: მსგავს არს საქმე ჩენი და შენი², რომელსა ესუა ცოლი ქმნულ-კეთილი და ეშინოდა, ნუჟუე უთმინო^{2a} იქმნეს და შთავარდეს ცოლი იგი³ ჰაბუიკისა მის სიძვისასა. ამისთჳს ამცნო⁴ და ჰრქუა ცოლსა თჳსას: უკუეთუ გწაღდეს და ვერ წინა-

20

აღუდგებოდი ჯორცთა⁵ შენთა⁶, მოუტეობდი თმათა^{6a} თავისა შენისათა; და⁷ ვიხილენ^{7a} რაჲ იგინი, მე ყო ნებაჲ შენი და შენ არა შთაჰვარდე ცოდვასა: და⁸ დღესა ერთსა მოიწიენეს⁹ მტერნი და იყო ჯმაჲ¹⁰. და^{10a} ჰაბუიკი იგი შეეკაზმა, რათა განვიდეს ბრძოლად. ხოლო, იხილა რაჲ ცოლმან მისმან მოკაზმულად, ეტრფი-ალა და მყის გარდამოუტევენა თმანი. და ვითარცა იხილა¹¹ ჰაბუიკმან მან სასწაული იგი, რომელ¹² ემცნო, მოიქცა და აღასრულა ნებაჲ ცოლისა თჳსისაჲ¹³. ხოლო ვითარცა განვიდა, მღევართა მტერნი იგი ეოტნეს და

25

ბ¹ რაჲ A. ² შენი და ჩემი BCDEJ. ^{2a} უთმინო] ვერ მოთმინო BC, ვერ მოთმინე D. ³ ცოლი იგი] — BCDE, ცოლი A. ⁴ ამცნო J. ⁵ ჯორცსა BCD. ⁶ შენსა BCD. ^{6a} მიუტეობდი A, გარდამოუტევენადი E. ⁷ და] — BCD. ^{7a} ვიხილენ A. ⁸ და] — J. ⁹ მოიწიენეს] მოვიდეს A. ¹⁰ ჯმაჲ იყო BC, ჯმა უყო DE. ^{10a} და] ხოლო BCDJ. ¹¹ იხილა] +რა D. ¹² რომელი AE. ¹³ თჳსისაჲ] მისისაჲ ABCD.

ს

განაშორა ვნებაჲ იგი ცოლისაგან თვისისა. და მერმე განვიდა შემთხვევად მტერთა. და ვიდრე იგი განვიდოდა, მოქცეულ იყო ერი ბრძოლისაგან, და იწყეს ყუდრებად მისა [v] და ეტყოდეს: შინააგან ვერ გამოხუედ, ვიდრემდის სკან ოტებაჲ მტერთა [ჩუენთა] მიერ. ხოლო კაბუი იგი ეტყოდა: მე საკუთარი მტერი მეწყო და არა ჯერ-იყო ჩემდა დატევებად იგი და ბრძოლად უცხოთა, რამეთუ უშინაგანესი და უმახლობელესი მტერი იყო, იგი ვაოტე და აწ ეაერა ვარ თქუენ თანა.

ეგრეცა ჩუენ, თედმა, რამეთუ დღეს მოდგმულ არს საქმე თავთა ჩუენთა ზედა და კერპთაცა ზედა, აწ ჯერ-არს, რაჲთა პირველად ვეწყენეთ მტერთა, და უკუეთუ დავამტკიცოთ, ვითარმედ კერპნი ღმერთნი არიან, უზოროთცა, ხოლო უკუეთუ ვერ დამტკიცდენ, რაჲ საარგებელ არს არა-არსთა მიმართ? ჰრქუა თედმა: არარაჲ არს უსარგებლესი აბჯარი და უმკუეთელესი მახელი მტერთა მიმართ, ვითარცა აღარულეებაჲ დღესასწაულისაჲ, [119] და არა რომლითა ძალითა უმახლობელეს იქმნები ძლევაჲ, ვითარ ზოროვითა კერპთაჲთა, რამეთუ იგი შემევე გექმნენ ყოველსა ზედა ძალა მტერიასაჲ. ჰრქუა მეფემან: მე ესრე ვჰგონებ და მეშინის, ნუუკუე იგი არს ქეშმარიტებაჲ, რომელსა ჩუენ წინააღუდგებით. ხოლო უკუეთუ გნებავს შენ, მივედ და აღასრულე დღესასწაული ესე, და მე დაჲადგრე იქუსა ამას ზედა, ვიდრემდის გამომეცხადოს უმჯობესი, ანუ კუალად გამომიცხადდეს მართალი და რომელი სიმტკიცე არს ჴელთა შინა, და უკუეთუ არაჲთ ილო იჰვ ესე გულისაგან ჩემისა, შემოგერთო დღესასწაულსა ამას.

მაშინ განრისხნა თედმა და დააგლო კუერთხი იგი, როჰელა იყო ჴელთა მისთა,

ჟ

მოქცეულ იყენეს, და¹ აყუედ-რებდეს კაბუესა მას² გჯანად განსლგისათჳს³. ხოლო მან ჰრქუა: მე მტერი საკუთარი მეწყო და⁴ იგი განედევნე და მან დამახრწოა აღრე არა გამოსლგისა⁵.

აწ, თედმა, რომელი-იგი⁵ მე ფრიად მელმის, განმიკურნე⁶, და მერმე, თუ ამით განმისლგენო უშეფოთველად, მაშინ⁷ [103] აღასრულოთ⁸ მსახურებაჲ კერპთაჲ. ჰრქუა თედმა: არარაჲ უსარგებ-

ლეს არს და განმკუეთელ, ვითარ აღსრულეებაჲ დღესასწაულ-

სა⁹ ღმერთთასა. ჰრქუა მეფემან: მე ესრეთ ვჰგონებ, ნუუკუე¹⁰ იგი არს უქეშმარიტეს, რომელსა ჩუენ წინააღუდგებით¹¹. ხოლო უკუეთუ¹² გნებავს შენ¹³, მივედ და აღასრულე¹⁴, ხოლო მე ვეგო იქუსა ამას, ვიდრემდის გამომეცხადოს უმჯობესი.

მაშინ განრისხნა თედმა და დააგლო კუერთხი იგი, რომელ

1 ზ [და] ხოლო BCDE. 2 ~ მას კაბუესა J, ~ კაბუესა მას აყუედრებდეს BCD. 3 განსლგისა BCD, J. 4 და]—BCDE. 5 აღრე არა გამოსლგისა]—D. 6 რომელი-იგი] რომელი BCDE, J. 7 განმიკურნე] იგი გან მიკურნე BCDE, J. 8 მაშინ]—A. 9 აღასრულოთ A. 10 დღესასწაულთა BCDE. 11 ნუ-უკუე] ნუ B, D. 12 წინააღუდგით D. 13 უკუეთუ] თუ D. 14 ~ შენ გნებავს BCDE. 15 აღასრულე] დღესასწაული BCDE.

C

და მოიგნა ძონძი იგი, რომელი ებლარ[დ]ნა წელთა მისთა, და შეითხზნა თითნი მისნი, და შიშველი დაღვა წინაშე მეფისა და ჰრქუა მას: უკეთეთ შენ, მეფე, არა¹ [v] გიყუარს მეფობაჲ ესე შენი და მ[ი]იცვალები მონებად და ბრწყინვალეობისაგან სიგლახაკედ და შეუბისაგან იწროებად, და არა სწყალობ გუამსა ამას შენსა შეებულსა და ნუკეუელსა, და ამას ყოველსა დაუტეობ და თავს-იდებ ქირსა, რომელ არა დაჩუეულ ხარ და ვერცა დაითმენ, მე უფროს მოთმინე ვარ არგანსა ამას და ნაძუელავსა, რომელ განვაგდე, (რამეთუ) არა უტყუედი თავსა ჩემსა და არცა მეშინის გზისაგან მონაზონთაჲსა, რამეთუ არა რომელი ცხორებაჲ უსაკირველეს და უვიწრეს არს ცხორებისა ამის ჩემისა, რომელი დამითმინიეს, რამეთუ არარაჲ შვირს ჩემგან სოფელსა ამას, და არცა რაჲ მაქუს სოფლისაგან, გარნა ქუეყანაჲ, რომელსა ზედა ვძურები და მხალი, რომლითა ვიზარდები. აწ მოგუალე, მეფე, რამეთუ კეთილსა გული გითქუამა. ხოლო მეფესა ვითარცა ესმ[120]-ნეს სიტყუანი იგი თედმაჲსნი, სასო-წარკუეთილ იქმნა მისგანცა და ცნა უძღურებაჲ შჯულისა მათისაჲ. და განმრავლდეს მართენი იქვსანი გულს[ა] შინა მისსა. და აზნა აღაარებად ღმრთისა, და იწყო განზრახვად და გულის-სიტყუად. და ვითარ განიზრახვიდა გულსა შინა თუსსა, აღმოკდა შინაგანით სული სიყუარულისა ამის სოფლისაჲ და მრაცნენებდა მრავალ-ფერთა გემოთა და საშუებელთა, რომელნი არა ჯერ-იყენეს შჯულსა შინა ქრისტეანეთსა, და იძლია ჩუეულეობისაგან მისისა, რომლითა მარადის ძღუელ იყო. და ბრძანა განზადებად დღესასწაულისა მსგავსად ჩუეულებისა.

ღ

აქუნდა კელთა მისთა, და მოიდარცუა ძონძი იგი, რომელი ეხვაცელთა მისთა¹. და შიშველი დაღვა წინაშე მეფისა და² ჰრქუა:

მე აღვილად დაუტეობ არგანსა. ამას და ძონძსა და არა მეშინის. გზისაგან მონაზონთაჲსა, რამეთუ არა რომელი ცხორებაჲ უსაკირველეს არს ცხორებასა ჩემსა², რამეთუ ახარაჲ მაქუს სოფელსა³ ამას შინა, გარნა ქუეყანაჲ⁴, რომელსა ზედა ვძურები, და მხალი, რომლითა ვიზარდები⁵. ხოლო მეფესა, ვითარცა ესმენეს სიტყუანი ესე, სასო-წარკუეთილ იქმნა და ცნა უძღურებაჲ სჯულისა მათისაჲ. და აზნო⁷ აღსარებად ღმრთისა მხოლოჲსა.

და ამას რაჲ იგონებდა, გამოკდა სული მყარალი პირისაგან მისისა⁸ და მოეკსენნეს გემონი ამის სოფლისანი

და იძლია ჩუეულებისაგან.

1 არა] + არა. -

2 მისთა] — A.J. 3 და] + რისხვთ BCDE. 4 ჩემსა] ამას ჩემსა BCDE. 5 სოფელსა] ცხორება-სა A, ქუეყანას BCDE. 6 ქუეყანაჲ] მიწა BCDE. 7 ვიზრდები BCDEJ. 8 აზნო J. 9 მისისა] — C.

ჯ

49. და ვითარ აღასრულეს დღესასწაული იგი, ჰრქუა ნეფემან თედმას: რომლითა ღონითა ჯერ-არს მოქცევაჲ ძისა ჩემისაჲ? ხოლო მან ჰრქუა მას: იძალენ მის ზედა ეშმაკნი დედათა ვამო, რამეთუ უგანმკუთელეს არიან [v] დაწყლვად გონებისა უფროას მახლისა. ორპირისა, რამეთუ მასმიეს მეფ(ისა) ვისიმე, რომელსა ესუა ძე, და ჰრქუეს მეფესა მკურნალთა: უკუეთუ უწინარეს ათისა წლისა იხილოს მზე ყრმამან ამან, მოაკლდეს ნათელი თულთა[x], რამეთუ სუსტად შეზავებასა ვძხედავთ გუგათა შინა ამისთა. ხოლო მეფემან გამოუკუეთა ქუაბი ქუეყანისა შინა და მუნ შინა ბრძანა აღზრდაჲ ყრმისაჲ მის მპობილთა (!) მისთა თანა. და ვითარ აღესრულნეს მის ზედა ათისა წლისა ეამნი, ბრძანა გამოყვანებაჲ ყრმისაჲ მის, რამეთუ არღა ეხილვა რაჲ დაბადებულთაგანი. და ბრძანა მეფემან დადგინებად ყოველი უხილავი მისგან თითოეულად, რაჲთა რომელი იხილოს, იცოდის, რაჲ არს, და დედანიცა შემკობილნი დაადგინენ გზასა ზედა მისსა. და მათ ყვეს ეგრე. [121] [ხოლო] ყრმაჲ იგი იკითხვიდა თითოეულსა მათგანსა და იგი[ნი] უთხრობდეს. და იკითხნა დედანიცა იგი. ხოლო მათ ჰრქუეს: ესე ეშმაკნი არიან, რომელნი ალაშფოთებენ და წარსწყმედენ კაცთა. და აღივსო ყრმაჲ იგი სიყუარულითა მათ ეშმაკთაჲთა. და ჰკითხვიდა მამაჲ ყრმასა მას: რომელი უშუენიერესი იხილე სლვასა მას შენსა შინა? ხოლო ყრმამან მან ჰრქუა: არარაჲ ვიხილე უშუენიერესი მათ ეშმაკთასა და არცა რაჲ უსაწადელეს არს ჩემდა მათსა. ეგრეცა შენ, მეფე, არარაჲ უფროას შეგმეყ არს შენდა; ვითარ ქალნი შემკობილნი, რაჲთა აკუეთენ მას ყოველსა ეამსა, რომლითა აღასრულეგს ეშმაკი ძალსა თვისსა.

ღ

49. და ჰრქუა თედმას: რომლითა ჯერითა ჯერ-არს მოქცევაჲ ძისა ჩემისაჲ? ხოლო მან ჰრქუა: რამეთუ¹ მასმიეს მეფისა ვისთჳმე, რომელსა ესუა ძე, და ჰრქუეს მკურნალთა: უკუეთუ უწინარეს ათისა წლისა იხილოს მზე ყრმამან ამან, მოაკლდეს ნათელი თულთაჲ. ხოლო მეფემან მან გამოუთხარა ქუაბი და დასუა ყრმაჲ იგი მას შინა. და შემდგომად² ათისა წლისა ბრძანა გამოყვანებაჲ ყრმისაჲ მის. და ბრძანა მეფემან დადგინებად წინაშე ძისა მისისა³, რომელი უხილავ იყო მისგან⁴, რაჲთა რომელი იხილოს, იცოდის⁵, თუ⁶ რაჲ არს⁷. ხოლო ყრმაჲ იგი⁸ იკითხვიდა სახელსა თითოეულისასა. და იხილნა დედანიცა და აღევზნა სიყუარულითა, და იკითხნა⁹: რაჲ არიან ისი? ხოლო მათ ჰრქუეს: ეშმაკნი არიან¹⁰, რომელნი წარსწყმედენ კაცთა. ხოლო ყრმამან ჰრქუა: არარაჲ ვიხილე უშუენიერეს და უსაწადელეს¹¹ იმათ ეშმაკთა. აწ, მეფეო¹², შენცა იძინენ დედანი, რაჲთა აზრზედენ მას¹³, [v] და იქცოდის რაჲ მათ თანა¹⁴, დაჰვიწყდების საუკუნოჲ და შესესაკუთრების საწუთოსა¹⁵.

ბ¹ რამეთუ] — BCDE. ² და შემდგომად] — C. ³ ძესა მისსა A. ⁴ რომელი უხილავ იყო მისგან] — BCDE. მისგან] მისსა J. ⁵ იცოდის] თუ იცოდის A. ⁶ თუ] — A. ⁷ რაჲ არს] რაჲა A. ⁸ იგი] — BCD. ⁹ იკითხნა A. ¹⁰ არიანაქ. ¹¹ უშუენიერეს და უსაწადელეს] უკეთესი და უშუენიერესი A. ¹² მეფე A. ¹³ მის] — A. ¹⁴ თანა] შინა A. ¹⁵ საწუთოსა ABCD. * ამაზე წყდება A ნუსხა.

C

მაშინ ბრძანა მეფემან გამოსხმად პალატისაგან ძისა თვისისა ყოველთა მსახურთა მისთა და დადგინებად აღგილსა მათსა გამოორჩეულნი ყოველ[ა]თაგან საბრძანებელთა მისთა დედანი შუენიერნი და ქმნულ-კეთილნი მსახურებასა მისსა ზედა. და აღივსო პალატი მისი შფოთითა მათითა. და ფრიად იტანჯებოდა ძე მეფისა საბრძანისა მისგან, რამეთუ არაარაჲთ უფრო აღძრა გონებაჲ მისი, ვითარ ამით ჯგრითა. და ამცნო მეფემან ქალთა მათ, რაჲთა შეემღერდენ და აზრზენდენ ყოველსავე ჟამსა დღე და ღამე, და იმკვებოდინ და მოაჯიგებდენ ყოველთა სახეთა საქთურისათა, რომლითა შეუძლონ აღძრვაჲ მისი გულის-თქუმაღ. ხოლო იგინი ფრიად მოსწრაფე იყვნეს აღსრულებად ბრძანებასა ზეფისასა. და ოდესმე ეჩუენიან სამოსლითა და სახითა მამაკაცობრივითა, და ოდესმე საქურველითა შეიმკვნიან და ვლენედ წინაშე მისსა, და ოდესმე სახითა მონადირეთაჲთა, და ოდესმე [122] ქნარითა და ნესტუთა და წინწილითა და თითო-პირითა ს[ახიო]ბითა შეეკობილნი აწყინებედ, და ოდესმე ებრძვიედ და ზედა მიეკრებიედ განშიშულებულნი და ეტყუედ მრავალსა სიტყუასა აღძრვისასა, და მოაჯიგებედ, რაჲთა განვიდენ ნადირობად და მოთხვად სამოთხეთა შინა საშუებელთა. და რაჟამს განვიდის ძე მეფისაჲ, იგინიცა მის თანავე ასხდიან ჰუნეთა და არბევედ გარემო მისსა. და ამას ყოველსა შინა აწუევედ ნებასა მეფისასა და დაუჰსნიედ შჯულსა მისსა უფროჲს სიტყუსა მამაკაცობრივისა.

ხოლო იგი ოდეს აღიძრვის გულის-თქუმაღ, აღანთის სანთელი და მიუჰყრის თითი და, ეცხელის რაჲ, უკმოიტაცის, და თქუს: ზ იოდასაჲ საწყალო, უკუეთუ ვერ დაუდგამ აწ ცეცხლსა შენსაჲ აღნთებულსა და კუალად დაშრეტადსა, და მას საუკუნესა ვითარ⁹ დაუდგენ¹⁰ ცეცხლსა დაუშრეტელსა, და ვითარ მოითმენ¹¹ ბნელსა მას გარესკნელსა? აწ დასცხერ ბოროტისაგან და ცოდვისა. და ესრე¹¹ სახედ წინა-აღუდგებოდა გულის-სიტყუათა.

ხოლო იყო ვინმე მათ შორის ქალი ერთი ხოლო ასული იგი მეფისაჲ, ასული მეფისა ვისიმე, რომელი ტყუეობით ტყუედ მოღებული, ფრიად უყუარ-

D

ხოლო მეფესა ჰყუა ქალი ქმნულ-კეთილი, ასული მეფისაჲ ტყუედ წარმოღებული, და სხუანიცა ქალნი მემგოსნენი და მეჩანგენი¹. და მოუწოდა ყოველთა და ჰრქუა მათ: ესე უწყოდეთ ჰეშმარიტად, რომელმანცა² აღსძრათ ძე ჩემი გულის-თქუმაღ და მიიყვანოთ ნებასა კორცთასა, დიდნი ნიჭნი მიგანიჭენ და გყო ცოლად ძისა ჩემისა, და დედოფლობაჲ მას მოგენიქოს³. და ბრძანა, რაჲთა ყოველნი, რომელნი იყვნენ⁴ ყრმანი მსახურნი⁵ ძისა მისისანი, გარდაადგინენ და მათ წილ დაადგინენ დედანი იგი ქმნულ კეთილნი. და ვითარცა ესე ყვეს, ისწრაფდა თითოეული ცხუნებად იოდასაჲ⁶ და წინა უროკვიდეს და სტკრითა და ჩანგებითა⁷ ქებასა შეასხმიდეს.

1¹ მემგოსნე-მეჩანგენი BCDJ. 2² რ² AJ. 3³ მიგენიქოს BCDE. 4⁴ იყვნენ J. 5⁵ ~ მსახურნი ყრმანი BCDJ. 6⁶ იოდასაჲ BC, იოდასაჲთა D. 7⁷ ჩანგებითა] ჩანგითა BC, ჩაღანითა J. 8⁸ აღძრვის BCDJ. 9⁹ ვითარ] ვიღრე BCJ. 10¹⁰ ~ ვიღრე დაუდგენ მას საუკუნესა J. 11¹¹ ესრეთ EJ.

ჯ

მოწვეულ იყო აბენესე მეფისა. და იყო იგი უშუენიერეს მათ ყოველთასა ხატითა და უგონიერეს სიბრძნითა, და უყუარდა იგი ძესა მეფისასა ქმნულ-კეთილობისა და სიბრძნისა მისისათჳს, რამეთუ იყო იგი ფრიად გონიერ და სიტყუა-პოვნიერ. და მრავალ გზის ანხილენბნ ძე მეფისაჲ საქმესა შჯულისასა და განაცდინ განქარვებასა ამის სოფლისასა, და მოაწესენბნ ღმერთსა და ამხილენბნ ცთომასა კერპთ მსახურთასა. ესაჲ ესე მეფესა და განიხარა სიყუარულისათჳს მის ქალისა მიმართ, რამეთუ ჰგონებდა, ვითარმედ იძლიოს მის შიერ.

ხოლო დღესა ერთსა ჰრქუა დედაკაცმან მან იოდასათჳს: უკუეთუ გნებავს, ძეო მეფისაო, რაჲთა ვისმინო შენი, რომელსა-ესე მაწუეე, განმისუენე შენ თანა წელიწადსა ერთსა, და მიგვე აღთქუმაჲ, რაჲთა აღვიარო შჯული შენი და ვჰმონებდეთ ღმერთსა შენსა ორნივე ვიდრე სიკუდილაჲმდე. ჰრქუა იოდასათჳს ქალსა მას: და ვინაჲ არს [123] ჩემდა ნუგეშინის-ცემაჲ, უკუეთუ სიკუდილმან წარმიტაცოს უწინარეს ერთისა წელიწდიჲა? ჰრქუა დედაკაცმან მან: უკუეთუ გეწიოს სიკუდილი, მას შინა სასყიდელი გაქუენდეს მოქცევიჲა ჩემისათჳს და არა ბრალულ იყო ნების ყოფისა ჩემისათჳს, რამეთუ იტყუ შენ, ვითარმედ: ქორწილი წმიდა არს*. ჰრქუა იოდასათჳს: ეგრეთ არს, არამედ არა მაქუენდეს მადლი მოთმინებისაჲ მათ თანა, რომელთა დაითმინეს და დაშრიტეს საჯუმილი იგი ჯორცთაჲ, და მერმე მეშინის, ნუუკუე ნიმიზიდოს გულის-თქუმამან ჩუეულებრისამან უდიდესად სხუად საქმედ, და მერმე მეუფელოს ნებაჲ და შთამავდოს წარსაწყემდელსა, და ეპოვო მტერ ღმრთისა და ნეგობარ ეშმაკისა. ჰრქუა დედაკაცმან მან: თანა-მეყავ თუესა ერთსა, გინა ერთ[14]სა ღამესა, და ცუო

ღ

და სიბრძნისა და გონიერებისა¹ მისისათჳს და ასწავებდის სჯულსა ქრისტესსა.

ხოლო მან ჰრქუა: ძეო მეფისაო, გნებავს თუ ჩემი წოქცევაჲ სჯულსა შენსა, მოვედ წელიწადსა ერთსა ნებასა ჩემსა. ხოლო მან²

ჰრქუა: უკუეთუ არლარა მივიწიო-და მეწიოს სიკუდილი, მაშინ³ რაჲ-ლა იყოს⁴ ნუგეშინის-ცემაჲ ჩემი? ხოლო დედაკაცმან ჰრქუა: ესე იყოს, რომელ მე⁵ ღმრთის მსახურ მყო, და ამისთჳს სასყიდელი გაქუენდეს. ჰრქუა იოდასათჳს: ეგრეთ არს, გარნა ვერ მოვიგო მადლი მოთმინებისაჲ⁶, რომელთა⁷ დაითმინეს⁸ და დაწრიტენს საჯმილნი ჯორცთანი, და კუალად მეზინის, ნუუკუე მიწიდა⁹ ჩუეულებრისამან გულის-თქუმამან [104] სხუად საქმედ და მეუფელოს ვნებაჲ და შთამავდოს წარსაწყემდელსა, და ეპოვო მტერ ღმრთისა.

1 გონებისა C. 1^ა მან] მონ BC. 2 მაშინ] — J. 3 იყო J. 4 რომელ მე] რომე BCD, რ¹ მე E. 5 მოთმინეთ: J. 5 რომელთა] ვითარცა BCDE. 6 დაითმინეს]+წმრდათა B. 7 მიმიზიდოს] EJ. * შდრ. ებრ. 13, 4. — აქ გადამწერის ბინაწერია: „ქე, დაგვეცენ ეშმაკისა მახეთაგან“.

C

ბრძანებამ და ნებამ შენი, რამეთუ ესოდენ-
მან მცირემან ნებამან ვერ დასძლიოს სას-
ყიდელსა შენაჲ, რამეთუ შეცთომილი სული
მიგვაჯა დაგებად ღმრთისა და განაცხოვე-
ლებ შემდგომად სიკუდილისა.

ხოლო იოდასაფ მიდრკა ყოფად ნებისა
მისისა და აღთქუმაჲ მოსთხოვა, რაჲთა აღი-
აროს ღმერთი, რამეთუ ბუნებაჲცა აიძუ-
ლებდა ყოფად მას. და გონებამ მისი და-
იწყულოდა ზრზენითა მათითა და შეაშფო-
თებდა გონებამ მისი. ხოლო ღმერთი ჩუენი
იესუ ქრისტე შემწე ყო ქირთა შინა მისთა
და არა ინება წარწყმედაჲ, ვითარცა იტყჳს
მეფსაღმუნე დავით: მივდერკ იძულებით და-
ცემად და უჟალმან ჴელი აღმიპყრა მე, და
არა თუმცა უფალი შემეწია მე, კინი. ერთლა
და და-მცა-იმკვდრა ჯოჯოხეთს სულმან
ჩემმან*. რამეთუ ვითარ ამთა ოდენ გულის
სიტყუთა შინა იყო, მიეძინა ღამის თევისა
შინა, [124] ილოცვიდა რაჲ ღმრთისა მი-
მართ, რაჲთა შეეწიოს და განულოს კარი
უმჯობესი და კურთხეულ არს ღმერთი, რო-
მელმან ყვის ნებამ მოშიშთა მისთაჲ. და
იხილა იოდასაფ ძილსა შინა ჩუენებით,
ვითარმცა მიიწია სასუფეველსა, და იხილნა
მრავალ-ფერნი საშუებელნი და ტაძარნი
ოქრო-ლესულნი და ყოველი ფუფუნებამ, რო-
მელთაჲ ვერ შესაძლებელ არს ხილვაჲ მათი
სოფელაჲ ამას შინა. და მერმე კიდევან
იხილნა დედანი იგი მაზრზენელნი მისნი,
რომელთაგან დაწყულულ იყო გული მისი. და
იყენეს იგინი უუშუერგეს და უსაძაგლეს პირთა
ძალთაჲსა და ღორთაჲსა საშუებელთა მათ
თანა სასუფეველისათა. და ჴმად ესჴოდა, რო-

Q

ჩემისა და მეგობარ ეშმაკთა. და
ჰრჴუა დედაკაცმან მან¹: თანა-მე-
ყავ მე² თუესა ერთსა, გინა ღა-
მესა ერთსა, და მე ვყო ყოველი
ნებამ შენი, ხოლო შენ ესოდენმან
მცირემან ენებამან ვერარაჲ გავ-
ნოს³, რამეთუ მე⁴ შეცთომილსა
მომაქცევ.

ხოლო იოდასაფ მიდრკა ნე-
ბასა ქალისასა მიზენითა, რაჲთა
აცხოვნოს იგი, და შეაშთობდეს
გულის-სიტყუანიცა.

და ვითარ-
ცა გულის-სიტყუასა ამას შინა
იყო, მიეძინა, ილოცვიდა⁵ ღმრთი-
სა მიმართ რაჲ, რაჲთა აუწყოს
უმჯობესი.

და იხილნა ძილსა შინა
საშუებელნი მრავალ-ფერნი სა-
მოთხისანი და ტაძარნი ოქრო-
ლესულნი, რომელ არა იყო მსგავ-
სი მათი სოფელსა ამას⁶ შინა.

და ეტყოდეს ანგელოზნი იგი, რო-
მელნი თანა⁷-ჰყევბოდეს: ესე არს

გ¹ 1 თანა — C. ² მე — BCDF. ³ გავნოს] + შენ BCDJ. ⁴ მე — J. ⁵ ილოცვიდა] და ილოცვიდა BCDE.
⁶ ამას] — J. ⁷ თანა] რაჲთა BC.

ს

მელი ეტყოდა: ესე არს ადგილი განსასუენებელი წმიდათაჲ და მოთმინეთაჲ, უკუნისამდე იშუებდენ ამას შინა. და მერმე მიიტაცეს ჯოჯობეთად და იხილნა საშინელნი იგი სატანჯველნი პირად-[v] პირადნი, რომელთა ვერინ შემძლებელ არს აღრაცხუვად, გარნა დამბად[...]. მათ. და კუალად ჳმაჲ ესმა: ესე არს ზისაგებელი უღმრთოთაჲ და ცოდვილთაჲ, რომელთა დაუტევეს ქრისტე ღმერთი და შეიყუარეს სოფელი, აქა იტანჯებოდინ საუკუნოდ და უკუნისამდე.

და ვითარ მოეგო გონებასა თჳსსა და აღიხილნა თუალნი თჳსნი, და იხილნა დედანი იგი, გარე-მოდგომილ იყვნეს მისა და ტიროდეს და ჰგოდებდეს, რამეთუ ეგონა, ვითარმედ მომკუდარ არს განგრძობითა მით ძილისაჲთა. და აღდგა იოლასაჲ და იწყო განცდად შუენიერებასა მათსა და განკვრებულ იყო, ვითარ შეურაცხ და უწუერ იყვნეს წინაშე თუალთა მისთა საშუებელთა მათთანა, რომელნი იხილნა ჩუენებით.

და მოვიდა მეფე ხილვად ძისა თჳსისა, რამეთუ ესმა საქმე ესე და ჰკითხვიდა მას, თუ რაჲ იხილა და თუ რაჲლა არს გულის სიტყუაჲ მისი. ხოლო იგი უთხრობდა ყოველსა, [125] რომელი-იგი იხილა სასუფეველსა შინა—შუენიერებაჲ საშუებელთა უხილავთაჲ; და მერმე რაჲ-იგი იხილნა ჯოჯობეთს შინა—დაუთმენელნი იგი და საშინელნი სატანჯველნი, და ჰრქუა მას: მამო ჩემო, მნებავა გასლვაჲ უდაბნოს და ცხორებაჲ მონაზონებით მძოვართა თანა და მუნ მონებაჲ ღმრთისა ცხოველისაჲ სურვილისა მისთჳს და შიშისა, რომელნი ვიხილენ.

50. ხოლო მეფესა ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე ძისა მისისაგან, დამძიმდა ფრთად ურევითა და აღივსო მწუხარებითა, და ვერარა უძლო დათმენად, და დაფარვად, და

ღ

განსასუენებელი წმიდათაჲ. და კუალად¹ წარიყვანეს ჯოჯობეთს. და იხილნა საშინელნი სატანჯველნი მას შინა,

და ჰრქუეს: ² ესე არს მისაგებელი^{2a} ცოდვილთაჲ.

და ვითარცა განილჳდა, განიცდიდა³ გონებითა შუენიერებასა მას სამოთხისასა და კუალად სიმწარესა ჯოჯობეთისასა. და დაუკრდა დიდებულეზა ღმრთისაჲ და ადიდებდა მოწყალებათა მისთა, რომელმან არა მისცა შთაგდებად მთხრებლსა ცოდვისასა. და განასხნა ყოველნი იგი დედანი ჰალატით თჳსით.

ხოლო ცნა რაჲ ესე⁴ მამამან მისმან⁵, მივიდა მისა⁶ და ჰკითხვიდა, თუ რაჲ იხილა. ხოლო მან უთხრა ყოველი, რომელი ეხილვა. და ცრემლით ევედრებოდა, რაჲთა განუტეოს უდაბნოს⁷.

50. ხოლო მეფესა ესმნეს რაჲ სიტყუანი ესე⁸, აღივსო გული მისი მწუხარებითა⁷ და ურვითა,

ბ კუალად — J. ² ჰრქუა J. ^{2a} მისაგებელ BC, მისაგებელად E. ³ განიცადა D. მისმან — BCDE. ⁴ მისსა E.J. ⁵ უდაბნოსა BCD, უდაბნოდ E. ⁶ ესე მისნი J. ⁷ ~ გული მისი მწუხარებით) ულის წყრომითა BCDE.

ს

ქმ-ყო წინაშე ყოვლისა ერისა და თქუა: არაჲა მოწვეულ არ[ს] ჩენ ზედა და თქუენ ზედა უდიდესი და უსაშინელესი ბოროტი, ვითარცა ესე ძისა ჩემისაჲ. და უკუეთუმცა მეფე ვინმე დიდი, გინა მტერი ძლიერი, მიმიღებდა შვილსა ჩემსა, არამცა თავს-ვიდევით და არცა [ვ] დავიტიეთ მიშუებად მათ-და თვნიერ სიკუდილისა და ყოვლითა ღონითა თავ-განწირვით, რამეთუ თანა-მაც მე და თქუენ ესე ყოფად შვილისა ჩემისათჳს, ხოლო თქუენ უწყნით ბოროტის ყოფანი ჩემთა წინააღმდეგობთა მიმართ რჩულისათა, სიკუდილი და დაწუვაჲ ცეცხლითა. და აწ გენინის, უკუეთუ განველურდეს ყრმაჲ ესე და იწყოს ნიმოსლვად მძოართა თანა სიუცბითა და უგუნურებითა მისითა, ნუჟუჲე მოკლას ვინმე მტერთა ჩემთაგანმან. და უკუეთუ ძიება-ვეო სისხლი მისი, დამესაჯოს უსამართლოდ, რამეთუ მე მოვსწყვდენ იგინი და ნეფსით განუტევე შვილი ჩემი მათ თანა. ხოლო უკუეთუ თავს-ვიდვა ყუედრება, და სისუსტე იყოს ჩემდა და თქუენდა უკუნისამდე, და ამას თანა მოსაცხრომელ ვიპოვნეთ მტერთა ჩუენთა, არაჲედ ვინმე იპოვოს კაცი, რომელსა [126] აქუნდეს ღონე რაჲმე საქმისა ამისთჳს. რომელ შეწუხებულ ვარ და მასწაოს რაჲმე ყრმისა ამისთჳს, და შემწე მექმნეს ჰირთა შინა ჩემთა, და მე მივსცე მას პატივი და დიდებაჲ უფროჲს თავისა ჩემისა, რამეთუ არა ჯერ-არს, თუ უდებ ვყოთ საქმე ესე და არა უფროჲს ვილუაწოთ ძიებად¹, ვიდრედნის გამოგუეცხადოს ქეშმარიტებაჲ მისი, გინა თუ რაჲ ჯერ-არს.

მაშინ ჰრქუეს წარჩინებულთა მათ და შერაცხილთა: არა ჯერ-არს საქმე ესე დატევებად ყოვლით კერძოვე, რამეთუ არაეინ არა ჩუენსა უფროჲსი სიხარულსა ზედა შენსა, და ეგრეთვე არაეინ არს უწინარეს

ჟ

და თქუა: არლარა მოწვენად არს¹ უდიდესი ბოროტი ჩემ ზედა², რამეთუ უკუეთუმცა დიდი ვინმე,— მეფე გინა მტერი,— მიმიღებდა ძესა ჩემსა, არამცა თავს-ვიდევ მიშუებად თვნიერ სიკუდილისა.

და აწ მეშინის, ნუჟუჲე³ განველურდეს ყრმაჲ ესე და იწყოს მიმოსლვად მძოვართა⁴ თანა და ნუჟუჲე მოკლას ვინმე მტერთა ჩემთაგანმან შუენიერი ესე ნაყოფი მუტლისა ჩემისაჲ,

და ამას თანა მოსაცხრომელ მტერთა ვიქმნედა ვინმე იყოს კაცი⁵, ნუგეშინის-მცეს მე⁶ საქმისა ამისთჳს, რომლითა შეწუხებულ ვარ და მელმის ფრიად.

მაშინ ჰრქუეს წარჩინებულთა მისთა: არა⁷ ჯე[ვ]რ-არს, მეფეო, ესეგითარისა ნაყოფისა განშორებაჲ⁸ სამეფოჲსაგან შენისა, და⁹ უკუეთუ მისცე ზოგადი სამეფოჲსა¹⁰

1 ძ ძიებად. 2 1 არს]—J. 3 ჩემ ზედა უდიდესი ბოროტი J 4 ნუჟუჲეთუ] ნუჟუ BCDE. 5 მძოვართა J. 6 კაცი] მაშინ BC]A]. 7 მე]—BCJ. 8 არა]—C. 9 განშორებაჲ] განწუება BCDE. 10 და]—DE. 10 სამეფოჲსა-გან B, სამეფოჲსა J.

ტ

ჩუენსა ურვათა შინა მეფისათა, არამედ ჩუენ ესრეთ ვპვონებთ, ვითარმედ ვერ შესაძლებელ არს განზოგებამ ორთა შჯულთამ და ორთა წესთამ და ორთა მსაჯულთამ [v] ერთსა შინა სამეფოსა, და არა (ჯე)რ-არს საქმისა ამის წარმატებამ, გარნა პირსა ზედა თუსსა, რომლითა განიკურნოს ძე შენი და შჯული შენი და მეფობამ შენი, და განაგრძევს სიტყუამ ამის ჯერისათუს. და ესე განიზრახეს მეფემან და ყოველთა ერისთავთა მისთა, რამათა მიაცუნ ნახევარი სამეფოჲსამ მის ძესა მეფისასა, რამათა მეფობდეს მას ზედა, ხოლო ამას ჰყოფდა მეფე იგი, რამათამცა საცთურ უგო მას, და მეფობისა მიზეზითამცა ჰელი შეყო საქმესა სოფლისასა და მიიზიდესმცა სოფლიოთა გულის-თქუმათა.

ხოლო იოდასათ გულისწამა-ყო ზაკუვით ზრახვამ ნათი და განიხარა ფრიად, რამეთუ ესეიდა მიზეზითა მით, რამათა შეუძლოს განცხოველებად შჯულისა, რომელი მოაკუდინა მამამან მისმან, და განცხადებულად ქადაგებამ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, და შეკრებამ ყოველთა მორწმუნეთა მისთამ [127] და ცოცხლებით პყრობად ყოველნი წესნი ქრისტეანობისანი. და გულ-პყრობილ იქმნა იოდასათ ამას ზედა. მიუგო მეფემან და ჰრქუა იოდასათეს: შვილო ჩემო, არა ესე იყო სასოებამ ჩემი შენდამი, რამეთუ გეზაობდი შენ სინათლედ ცხოვრებისა ჩემისა და ნაცვალად ჩემდა შემდგომად სიკუდილისა ჩემისა, ხოლო შენ დაჰქსენ სასოებამ ჩემი და გან[ნ]აცხადე წინააღდგომამ ჩემი, და განანწარე სიტკობებამ სისარულისა ჩემისამ შენთუს და განჰკუეთე ნაწლავი მამობისა ჩემისამ შენგან. ხოლო მე ვერვე შეუძლებ წინააღდგომასა შენსა, რამეთუ მომდრეკს ზენ ზცდა საბელი შვილობისამ და

ღ

შენისამ, გუეშინის, ნუუკუე აქმნეს განხეთქილებამ სამეფოჲსამა შენისამ.

6
10
15

და განაგრძევს სიტყუამ ამის ჯერისათუს. და გამოარჩიეს ესე მეფემან და ყოველთა ერისთავთა, რამათა მისცეს ნახევარი სამეფოჲსამ მისისამ¹ იოდასათეს; და ჰრქუეს მეფესა: უკუეთუ ჰელი შეყოს² საქმეთა³ სოფლისათა, მიიზიდოს გულის-თქუმადაცა⁴.

ხოლო იოდასათ ინება მეფობამ⁵ ლონისძიებით, რამათა შეუძლოს განცხოველებად სჯულისა, რომელი მოექუდინა⁶ მამასა მისსა.

20
25

და ჰრქუა მეფემან იოდასათეს: შვილო ჩემო, არა ესე იყო სასოებამ ჩემი შენდა მიმართ,

ხოლო შენ დაჰქსენ იგი და განაცხადე წინააღდგომამ ჩემი,

30

ხოლო მე მომდრეკეს შენდა საშუებელი* შვილიერებისამ⁷,

ბ 1 მისისამ] — J. 2 მიჰყოს DE. 3 საქმესა D. 4 მიიზიდავს გულის თქუმათა BDE, მიიზიდავს გულის თქუმათა C. 5 მეფობამ BC. 6 მეკუდინე HC. 7 შვილიერობისა BCD.
* გასასწორებელი უნდა იყოს აქ „საშუებელი“, გრცელი აქ მართებულად ხმარობს „საბელს“.
9. ბალავარიანი

C

მიმიზიდვენ შენდა საქმენი, რომელნი დაახ-
 ლებენ ნებასა შენსა და განმაშორებენ წინა-
 აღდგომასა შენსა, და შენ არა შეინდობ ჩემ-
 გან და არცა შეიწუები განშორებისა ჩემი-
 სათვს, ვითარცა [v] მე შენთვს, არამედ
 ცოცხლებითმცა ხარ, [ლა]დაცა იყო, რამეთუ
 უწყი, ვითარმედ ნებისთ შევამთხუევ აუგსა
 თავსა ჩემსა მიშუებისა შენისათვს, და ვა-
 ცთუნებ თავსა ჩემსა, რამეთუ აღვასრულებ
 ნებასა შენსა, რამეთუ სიყუარული შეილო-
 ბისაჲ მეუფებს სიღრმესა შინა გულთა მა-
 ნათა მათთასა, რამეთუ დაემორჩილებიან
 ნებასა შეილთა მათთასა, დალაცათუ წინა-აღუ-
 დგებოლიან ნებასა მათსა, ვითარცა სახედ
 კაცი, რომელი დაემორჩილოს ნებასა თვსა,
 დალაცათუ უწყინ, რამეთუ საყუედრელ და
 ვენბა არნ მისა, არამედ კაცთაგან ჰფარავნ
 და თავსა თვსა შეუნდობნ და დაივიწყებნ
 უკეთურებასა თვსა და სთნავნ მცირელი
 რაჲმე კეთილი მისი. ხოლო მე, შეილო ჩემო,
 დალაცათუ მეფე ვარ, კაცივე ვარ და სიჩ-
 ჩოებაჲ აქუს გულსა ჩემსა შენდამი, ვითარცა
 ყოველთა კაცთა შეილთა მიმართ მათთა. და
 ვერ შემძ[128]ლებელ ვარ წინააღდგომასა
 შენსა, ვითარცა ნებასა ჩემსა. ხოლო შენ
 დიდი ბოროტი შემამთხვე მე და თავსა შენსა,
 არამედ მნებაეს, რაჲთა წარვჰმართო საქმე
 ესე უმჯობესსა ზედა და რაჲთა ვყო ნებაჲ
 შენი და ვძებნო განკურნებაჲ შენი და თა-
 ვისა ჩემისაჲ მყუდროებით და დაწყნარებით.
 და აწ დაგადგინებ შენ ნახევარსა ზედა სუ-
 ფევისა ჩემისასა, და თვთ განაგებდ, ვითარცა
 ვნებაეს, რამეთუ არა იყოს მას შინა მო-
 ცხრომაჲ მტერთაჲ და არცა სიხარული მო-
 შურნეთაჲ განშორებისა შენისათვს ჩემგან,
 და არცა მე სრულიად უნაყოფო ვიპოვო
 შენგან, და მომატყუას სიკუდილი მოწყუე-
 დამან შენმან პირველ მოწყენამდე სიკუდი-
 ლისა ჩემისა, ხოლო უკუეთუ დაიშუენო სა-

D

და შენ არა გელმის ჩემთვს, ვითარ-
 ცა მე შენთვს, და ვიცი, რამეთუ
 ნებისთ შევამთხვე აუგი თავსა
 ჩემსა,

აჰა ესერა აღვასრულებ ნებასა
 შენსა, რამეთუ სიყუარული შეი-
 ლობისაჲ მეფობს გულთა¹ ზედა
 მშობელთასა, რამეთუ ემორ-
 ჩილებიან ნებასა შეილთასა².

18

20

25

20

25

და აწ ესერა დაგად-
 გინებ³ მეფედ ნახევარსა ზედა სა-
 მეფოჲსა ჩემისასა, და თვთ განა-
 გებდ, ვითარცა ვნებაეს, რაჲთა
 არა⁴ იყოს ჩემ შორის სიხარული⁵
 მტერთა ჩემთაჲ, და არცა მე
 სრულიად უნაყოფო ვიყო შენგან
 და მომატყუას სიკუდილი მოწყ-
 ყუ(ე)დამან შენმან პირველ მოწყე-
 ნადმდე სიკუდილისა ჩემ ზედა.

ბ¹ გულთა] ყოველთა DE. ² შეილთასა]—C. ³ დადგინებ J. ⁴ არა]—BC. ⁵ შორის სიხარული]—C.

C

მეუფოა შენი და კეთილად განაგო საქმე შენი, არა სრულიად ჭუებულ იყოს სული ჩემი შენგან, [v] და იყვენ საქმენი შენნი წარმართებულ ცოცხლებით და მშვდობით და სიმორთვით და კულად ვანგებულებით.

51. მოუგო და ჰრქუა ყრმაჲმან მან: სიტყუანი შენნი გულისკმა-[ვ]ყვენ, ჰ მეფე, ხოლო აწ ღმერთმან დაგამტკიცენ სულითა მშვდობისაჲთა და ნიგიძედჳნ უმჯობესსა ცხორებასა და სუფევასა შენსა, არამედ მე უფლებაჲ ესე, რომელ მომეც, არა თავს-ვიდებ, რამეთუ არა მაქუს ჩუეულებჲა საქმისაჲ მაგის¹ და არცა სადა გულმან მითქუა დიდებასა წარმავალაა, არამედ მიჯმენ, მეფე, გვეედრები, რაჲთა წარვიდე და შევეერთო ძმათა ჩემთა, რომელნი მყოფ არიან უდაბნოთა, და ნუ დაავიწრებ საქმეთა თავსა ზედა შენსა, და ნუ დააკირვებ გულსა შენსა. რაჲ უწყი, ნუუქუე დასასრულაჲ ამის საქმისასა სიხარული გაქუნდეს უმეტეს მწუ[129]ხარებისა, რომელი გაქუს დღეს ჩემთჳს, ხოლო ბოროტი რომელ სთქუ, ვითარმედ შეგემთხუა, ეგრეთ არს ჩუეულებჲა ბოროტისაჲ, არა ნებისაებრ კაცთაჲსა შეემთხუევის კაცთა;

ხოლო უდიდესი ბოროტი იგი არს, რომლისაჲ არაჲ იპოვის ღონე² შემდგომად სიკუდილისა, ხოლო რომელსა ღონე ეპოვოს, ჯერ-არს თავს-ღებად, უკუეთუ დასასრულსა აქუნდეს მშვდობაჲ, არამედ არა ეპხედავ, მეფე, თუქცა ზოგიცა ტკივილისა ჩემისაჲ მოწევენულ იყო შენდა საქმისა ჩემისათჳს, ვითარ ესე ჩემდა საქმისა შენისათჳს, რამეთუ ყოვლადვე ბოროტ არს ჩემდა, ოდესღა შენ არა იცან³ იესუ ქრისტე ძე ღმრთისაჲ და არა ისმინე ვჲაჲ წინაწარმეტყუელთა და მოციქულთა მისთაჲ. და არა გაქუს ერთიცა მცნებაჲ მისი, და არცა შეიშინე ღმრთისა და არცა დაემორჩილე სიმართლისა საშეგლსა, და არცა შეიკდემ [ჟ] ბრალობისათჳს ჩემისა. ხოლო მე არა მინდა უწყებად და განოცხადებად საქმე ჩემი, რამეთუ ვჰხედვედ, ვითარჲედ არა შემწყნარებელი გონებაჲ დამკვდრებულ არს შენ თანა ცნობისა ღმრთისაჲ, და არა მინდა შრომისა და ურვისა შემთხუევაჲ შენი, არამედ შენ განწომნანე⁴ და მაიძულე სიტყუს-

Q

ხოლო უკუეთუ დაიშუენო სამეფოა შენი, არა სრულიად ჭუებულ იქმნეს სული ჩემი შენგან, და მშვდობაჲ იყავნ შენ თანა.

51. ჰრქუა იოლასაფე: სიტყუანი შენნი გულისკმა-ყვენე⁵, მეფეო, ხოლო ღმერთმან დაამტკიცენ სულითა მშვდობისაჲთა და მიგიძღლუანო² უმჯობესსა, ხოლო მე არასადა გული მითქუამს დიდებასა სოფლისასა, და უმჯობეს მიჩნს, უკუეთუ ვანმიტეო, და უკუეთუ შენ მწუხარე იქმნები განწორებისათჳს ჩემისა, შენგნით³ არავე ურჩ გექმნა ბრძანებასა შენსა⁴, რომლითა არა წარწყმდეს სული ჩემი. ხოლო მე ამისთჳსცა მწუხარე ვარ, რომელ წინა-აღუდეგ ბრძანებასა შენსა, და არა თუ ურჩებაჲ [105] შენი წენება, გარნა⁵ ვხედვედი წარსაწყმედელსა სულისა ჩემისასა.

1 ^ა გნმმნანე.

2 ^ბ ვუენე BCD, ვყვენ E. ³ მიგიძღვნო BCJ. ⁴ შენგნით] შენ BCD;—E. ⁵ შენსა]—BCD. ⁶ გარნა] არამედ გარნა BCD]—E.

C

9

გებად შენდა და კადნიერ მყავ პატივისა მამობისა შენისასა წინა-
 აღდგომად. და რამეთუ მეტყჳ, ვითარმედ ბოროტსა და აუგსა
 თავს იღებ ნეფათ თუსით სიყუარულისათს და ნებისა ჩემისა.
 ხოლო მე არას ვჰხედავ, მეფე, თუმცა რას ზედა შეიცვალე ნები-
 სათჳს ჩემისა, რომელსა ზედა აქამომდე სდგა. და რამეთუ სთქუ¹,
 ვითარმედ სიჩოვება გაქუს შეირთა მიმართ, ვითარცა სხუათა,
 არამედ ვჰხედავ. ვითარმედ მფრინველთა და პირუტყუთა და მკეც-
 [130]თაცა უფროდსი სიჩოვება აქუა ნაშობთა მიმართ, ვიდრე
 შენ. რამეთუ იგინი ჰყუარობედ ნაშობთა მათთა და თავთაცა თჳსთა
 დასდებენ ნაცვალად მათსა, და არა ამისთჳს, რაჲთამცა ნაცვალად
 მათსა ჰხედდიდეს, გინა თუმცა ძალად მტერთა მიმართ, გინა ასა-
 მალღებელად თავისა მათისა, არამედ ბუნებისათჳს მამობისა და
 შვალობისა. ხოლო შენ, მეფე, არა კეთილისა ჩემისათჳს გნებავს
 დადგრომა ჩემი სოფელსა შინა, არამედ დიდებისათჳს შენისა. და
 ესე საცნაურ იყავ წინაშე შენსა, რამეთუ ყუედრებაჲმან განრყუნის
 კეთილი კეთილის მყოფელთა და დაამრწმის იგი, რამეთუ შენ
 ფარად განამრავლენ ყუედრებანი ჩემ ზედა და არაჲ კეთილი ჰყავ
 ჩემ თანა, რამეთუ სოფელსა ამას წინა-მიყოფ და თავსა შენსა მი-
 მიღებ, არამედ უმჯობეს არს ჩემდა, უკუეთუმცა იცან ღმერთი
 დამბადებელი ყოვლ[ისავე], [უ] მამაჲ უხილავი და ძე მისი მხოლოდ
 შობილი იე-უ ქრისტიე და ყოვლად წმიდაჲ სული მისი, თანა-მფლო-
 ბელი და თანა-სწორი და თანა-დაუსაბამო, განუყოფელი და შეუ-
 რევენელი, ერთი ღმრთებებაჲ სამ-გუამოვანი, ვიდრედა [ა]რა ყო-
 ველი სოფელი საესე ანთრაკითა, და უფროდს ხოლო ცოდვითა
 და ყოვლითა უშჯულოებითა.

ხოლო მეფესა ვითარცა ესმნეს სიტყუანი ძისა მისისანი, უფ-
 როჲს განუჯრდა და შეუყუარდა ყრმაჲ იგი და ჰრქუა მას: შეილო
 ჩემო. მე არარაჲ გაყუედრე ვითარცა ზედა ცემით, არამედ ვაჭსენე
 წინააღდგომად შენი და არა-მორჩილებად ჩემი, რამეთუ არაჲდა
 ვინ მეფემან უყო ესევეითარი შვილსა ოჯსსა და არცა ძმამან იმასა,
 ვითარ-ესე მე შენ გიყავ. რამეთუ დაგიმკვდრე მეფობად ჩემი პირველ
 სიკუდილისა ჩემისა და გზა-გეც დატევიებად [131] შჯულისა ჩემისა
 და რაჲთა შ-გიდგენ, რომელთა აღირჩიონ შჯული შენი, ესე ვაჭ-
 სენე და არა გაყუედრე. აწ წარემართე ბრძანებისაებრ ჩემისა, რა-
 მეთუ კეთილ არს ჩემდა და შენდა.

მიუგო თოდსაჲ და ჰრქუა მამასა თჳსსა: უკუეთუ ჰყავ ესე,
 მეფე, არა საკვრველ არს, რამეთუ საცნაურ არს ყოველთა ზედა
 უმეტესობად შენი, ვითარცა-იგი მალად არს ყოველთა ზედა საქმე
 შენი. ხოლო მე არა უმეცარ ვარ კეთილთა შენთა და არცა უგარ.

C

9

ვპყოფ მადლობასა შენსა, არამედ მნებავს, რაჲთა სრულ პყო პა-
ტივი და კეთილი შენი ჩენდა მომართ და შემინდო საქმე ესე, რო-
მელი არა სთნავს სულსა ჩემსა, და არცა რად შერაცხილ არს ჩემ
წინაშე, და გზა-ნცე მე მოყუასთა ჩემთა თანა, რომელთა თანა გული
მიტოქუამს და ჰსურის სულსა ჩემსა აღრე მისლვად მათ თანა, რაჲთა
არა [v] დაეკვლდე სიხარულსა მას, (რომელი) მათთვის განმზადე-
ბულ არს. და არა მნებავს მეფობაჲ წარმავალი სიმარჯჯთა და
ლონითა კაცთაჲთა განგებული, რომელი დღეს არს და ხვაღე
უჩინო იქმნას.

მაშინ აღდღუნა ჰებენას მეფე ტირილით და ჰრქუა ძესა თვსსა
იოდასაფს: ნუ, შეილო ჩემო, ნუ შეურაცხ-პყოფ მამობასა ჩემსა, ნუ,
შეილო ჩემო, ნუ წინა-აღმიდგები და დაამდაბლებ მეფობასა ჩემსა,
რამეთუ მნებავს კეთილი შენი და დაცვაჲ შენი აუგთავან. ნუ მიი-
ძულე, რომელსა ვერ თავს-ვიდებ, და ნუ ეძიებ დამრწმეგებასა
ჩემსა ნებისათვს შენისა, და ნუცალა რას მომიგებ წინააღდგომით,
ნუჲჲუე მეცა აღვიძრა და შევიქცე ყოვლისაგან, რომელი აღვითქვ,
და დავაწესო შენ ზედა რისხვაჲ და შეჩუენებაჲ ჩემი გულის წყრო-
მით. [132] ხოლო ყ[რ]მამან მან იოდასად ვითარცა მოისმინნა სი-
ტყუანი მეფისანი, შეეშინა, ნუჲჲუე უფროჲს ზომისა აღიძრას გუ-
ლის წყრომად, და რომელიცა იგი ექმნას², შე-
იქცეს მისგან და გამარჯუებაჲცა გზისაჲ მის
დაიქსნას. და იწყო მიერითგან ნებისა მიცე-
მად მეფისა საქმისა მისთვის და შეიწყნარა
მთავრობაჲ, რომელი მისცა ნახევარსა ზედა
მეფობისა მისისასა, ხოლო მარგალიტი იგი,
წმიდაჲ სარწმუნოებაჲ ქრისტეს ღმრთისაჲ,
მტკიცედ ეპყრა გონებასა შინა თვსსა და
უქციველად.

აწ მივითულავ ბრძანებასა შენსა,
არა თუ სიყუარულისათვს მეფო-
ბისა, არამედ მორჩილებისათვს
შენისა მივიღებ ბრძანებასა შენსა.

52. ხოლო მეფემან, ვითარცა იხილა მი-
შუებაჲ ყრმისა მისგან, განიხარა სიხარუ-
ლითა დიდითა და ბრძანა განვლინებად ქა-
დაგი, და ჯმობდა შემოკრებად ერისთავთა
და ყოველთა წარჩინებულთა ერისათა და
ყოვლისავე ერისა. და ვითარ შემოკრბეს
ყოველი იგი წინაშე მისა, ბრძანა დადგამა
საყდართაჲ მეფემან ძისა თვისისათვს, ვითარ-
ცავე მისთვის, [v] და დასუა მათ ზედა. და იწყო
მეფემან სიტყუად და (ჰრქუა): რამეთუ ჩუენ
ყოველი ვიყვენით სხუასა ზჲულსა და სხუასა

52. ხოლო მეფესა ესმნეს რაჲ
სიტყუანი ესე ძისა მისისაგან, გა-
ნიხარა ფრიად და ბრძანა ქა-
დაგი განვლინებად, და მოუწოდა
ყოველთა ერისთავთა თვსთა. და
ვითარცა შემოკრბეს, ბრძანა და-
დგმად საყდარი ძისა მისისათვსცა.
და იწყო სიტყუად ერისა მიმართ
და ჰრქუა: ჩუენ ყოველი ვიყვენთ
წესსა ზედა ჩუენსა და სჲულსა,
ხოლო რომელსა ზედა ვდგათ და

¹ ა წინააღდგომით. ² ექმნა ექმნას.

C

წესსა ზედა თვნიერ ამის შჯულისა, რომელსა ზედა აწ ვლგათ, და ყოველნი მამანი ჩუენნი, კეთილად მოჰსენებულნი მეფენი, და ყოველი ერი სხვთა შჯულისთა ცხონდებოდეს, ხოლო ჩუენ ესე გამოვირჩიეთ პირველსა მას შჯულსა ზედა, არამედ არა ვეჰეთ წარსრულთა მათ, თუ არა უმჯობესსა გული უთქმიდა პოვნად შემდგომად სიკუდილისა. და მერმე იცით საქმე ჰაბუკისაჲ ამის ყოველთა წარჩინებულთა, და მიწვეულ არს ყოვლისა მიმართ ერისა, და აწ არა ჯერ-არს მძლავრებაჲ ჩუენი ყრმისაჲ ამის წინააღდგომისათჳს ჩუენისა, რამეთუ ჩუენცა ესერა წინა-აღდგომილ ვართ შჯულსა მამათა ჩუენთასა და აწ მიგვ-შუებია, რომელი გამოირჩია თავისა თჳსისათჳს. და მერმე ვინებე, რაჲთა ვიზიარო კეთილთა ზედა [133] სუფევისა ჩემისათა, რაჲთა უჩუენით ზღვარი თუთ მეფობად მისა. და რომელსა უნდეს შედგომად მისი, შეუდგინ სამეუფოდ მისა, რამეთუ არავეს ვჰმძლავრობთ ნებასა ზედა თჳსსა ყოფად; სადაცა ენებოს, და იპყარნ შჯული მისი. ხოლო რომელსა უნდეს შედგომად მისი დიდებისათჳს პატივისა, არა დაეყენებთ, რამეთუ შვილი ჩემი არს და არავინ არს უერთგულეს ჩემთჳს მისა. და აწ მიბრძანებთ, რაჲთა მიეცეს ყოვლისაგან, რომელი არს საგანძურთა ჩემ თანა, ნახევარი საფასეთაჲ და აბჯართაჲ და ყოვლისაგან, რაჲცა არს, და რაჲთა სიმდიდრითა შეზაოს მეფობაჲ მისი და შეუძლოს კეთილის ყოფად და ბოროტის ყოფად ღირსთა მისაგებელისათა.

და ვითარცა წარასრულნა მეფემან სიტყუანი ესე, მაშინ აღდგეს მაქებულნი და აქეს იგი მეფედ, და მისცეს მორჩილებად მეფობასა მისსა, და აღიდეს განზრახვაჲ მისი.

D

გამოვკრჩევიეს, ხოლო¹ ძესა ამას ჩემსა სწადის, რაჲთა იყოს წესსა მას² ზედა და³ სჯულსა მამათა ჩუენთასა, და ნუთუ-მე გუარამანცა მიზიდა⁴?

და ყოველთა იცით საქმე ყრმისაჲ ამის, ვითარ წინა-აღდგა ბრძანებასა ჩემსა⁴, და ვერცაღა მაქუს პასუხი მის თანა⁵, რამეთუ ჩუენცა წინააღმდგომ ვართ სჯულსა მამათა ჩუენთასა,

და აწ მიბრძანებთ, რაჲთა მივსცე⁶ ნახევარი მეფობისა ჩემისაჲ? ქუეყანაჲ⁷ და საგანძურნი⁸, და უფლებდეს, რომელსაცა სჯულსა ზედა ენებოს.

ხოლო ყოველთა აქეს გამოჩევაჲ მეფისაჲ და მისცეს მორჩილებად ბრძანებასა მისსა და აღიდეს განზრახვაჲ მისი. და განიყაროკრებაჲ.

¹ ხოლო] რამეთუ BCD. ² მას] — J. ³ და] — DE. ⁴ მიზიდა DE. ⁵ ჩუენსა D. ⁶ მის თანა] — DE. ⁷ მივსცე BCD. ⁸ ჩემისა] ჩუენისა BCD. ⁹ ქუეყანა] — BCDE. ¹⁰ საგანძური B.

ჯ

[ვ] და წარვიდა იოღასაფ პალატად თჳსად. მიუღდა მას სიმრავლე ერისაჲ შესწმითა და ქებითა, და რომელნიმე ულოცვიდეს. და დაადგრა მკირედ ეჲმ და განალო კარი, და ყოველნი მოვიდოდეს უშიშად სმენად სიბრძნესა მისსა. ხოლო იყენეს ვინმე მათ შორის ნეშტნი ქრისტეანეთაგანნი, რომელნი იფარვიდეს სარწმუნოებასა მათსა და გარეშითა მათითა სათნო-ეყოფოდეს მეფესა შიშისაგან სიკუდილისა, და ვითარცა ესმა მათ საქმე ესე, განიხარეს ფრიად და უშიშ იქმნეს პირველისაგან შიშისა და მივიდეს მძლისა მის ქაბუკისა იოღასაფისა და მიულოცეს ძლევაჲ, რომელი მოეცა ქრისტე იესუჲს მიერ. და აუწყეს სარწმუნოებაჲ თჳსი და განემზადნეს განსლვად სამეფუოდ მისა.

და ვითარცა აღასრულა მეფემან პატივი ძისა თჳსისაჲ და აღჰკაზმა იგი განსლვად სამეფუოდ თჳსად, [134] აღდგა იოღასაფ და მივიდა მეფისა დატევეზად მშჳდობისა. და იწყო მადლობად მისა და ჰსენებად კეთილთა მისთა, რომელნი ყვნა მის თანა. და მერმე ევედრა, რაჲთა განუტევენეს ყოველნი, რომელნი არიან საპყრობილესა შინა, რაჲთა ყოს ნებაჲ მისი მათ ზედა. ხოლო მეფემან ისმინა მისი. და ბრძანა იოღასაფ გამოყვანებაჲ პყრობილთაჲ, რომელნი სამეფუოჲსა რაჲსამე ხარკისადა შეპყრობილ იყენეს. ხოლო რომელნი კაცთა თანანადებისადა შეპყრობილ იყენეს, ბრძანა მათთჳს გარდაჰვად საფასეთაგან თჳსთა და განტევეზა მათი. ხოლო რომელნი შეპყრობილ იყენეს[ს] უნასთათჳს და კაცის-კლვისათჳს, ბრძანა მათთჳს, რაჲთა მიეცეს საქმარი საფასეთაგან მისთა, რომელი კმა-ეყოს ფართობით საპყრობილესა შინა, ვიდრემდის მოიწიოს ბ[რ]ძანებაჲ ღმრთისაჲ მათთჳს, რაჲ-იგი ჯერ-არს. [ვ] და მერმე ბრძანა დიდძალი საფასე განყოფად უძლურთა და გლახაკთა და უღონოთა, და მერმელა

ღ

და¹ იოღასაფ წარვიდა პალატად თჳსად შესწმითა და ქებითა და პატივითა დიდითა.

ხოლო იყენეს ვინმე ქრისტიანეთაგანნი², რომელნი იღუმალ ჰფარვიდეს სარწმუნოებასა,

და ყოველნი მოვიდეს და თაყუანის-სცემდეს³ და ულოცვიდეს ძლევისა. და აუწყეს სარწმუნოებაჲ და განემზადნეს განსლვად მის თანა სამეფოსა მისსა.

და ვითარცა წარვიდოდა იოღასაფ სამეფოსა თჳსსა, მივიდა წინაშე მამისა თჳსისა⁴ დატეობად მშჳდობისა,

და რაჲთა განუტევენეს ყოველნი, რომელნი შეეწყუდიენეს საპყრობელესა. ხოლო იგი მორჩილ ექმნა, და ბრძანა განტევეზაჲ ყოველთა პყრობილთაჲ. ხოლო მეფემან მოილო გვრგვინი სამეფოჲ და დაადგა თავსა მისსა და მისცნა საფასენი დიდძალნი და მიულოცა ძლევისა. და წარავლინა სამეფოდ მიჰდა, რომელი განეჩინა,

და ვითარცა მოიწია, მრავალნი⁵ საფასენი განუყვნა გლახაკთა და უღონოთა.

1 და¹ და — BCD 2 ქრისტეანეთაგანი B, ქრისტეანეთაგან C. 3 და თაყუანის-სცემდეს — J. 4 თჳსისა] მისისა BCDE. 5 მრავალი BC.

C

9

განვიდა სამეუფოდ თვსად. და განვიდეს მის თანა მრავალნი მით ქალაქით.

53. და ვითარცა მიიწია სამეუფოდ თვსად, პირველად ჰმადლობდა ღმერთსა და თქუა: დიდებამ შენდა, ღმერთო და მამაო უფლისა და განმათავისუფლებელისა ჩუენისა იესუმს ქრისტესო, ოლიერო და შემოსებლებო ყოვლისაო, გაქებ და გადიდებ შენ, წმიდაო სამებაო, რომელმან ყოველივე ადვილად განაგო. და მერმე იწყო სიტყუად ერისა მიმართ და თქუა: არავეს უფროეს უქმს სიმართლით სლვაჲ, ვითარ მეფესა, და არცა ვინ შემძლებელ არს დაშნთა სიტყუათა თქუმად ერისა მიმართ, ვითარ მეფე, რომელი სიმართლისა მშჯავრითა ვილოდის ერსა შორის, ხოლო არავეს ეწარებთან დაშნნი სიტყუანი, ვითარ ორთა კაცთა, უკუეთუ ვინმე იყო[ს] ერსა ზედა უწყალო, [133] მოსისხლე, შემქამელ, ესე-ვითარსა უქმან დაშნნი სიტყუანი, რაათა მღევანითა მით ჰდარვიდეს ბოროტსა მას. და მერმე უკუეთუ შევარდეს მეფობასა დღეთა სიუცბისა მისისაჲთა, ამასცა თვნიერ ღონისა თანა-აც, რაათა ჰფარვიდეს თავსა თვსსა სიუცბესა შინა მისსა, ვიდრემდის განიკადოს საქმე თვისი. ხოლო რომელსა არა უქმან დაშნნი სიტყუანი, იგი არს, რომელმან დასთესოს სამართალი ერსა შორის და კეთილად განაგნეს საქმენი მათნი, არა დააკლოს პატივი პატიოსანსა მათსა და არცა სამართალი უძღურსა მათსა, და რაათა აღლესოს მახული სიმართლისაჲ ყოვლისა ერისათჳს. ხოლო მე მოვედ თქუენდა, რაათა არა გეჩუენო სიტყუთა მეტნობისაჲთა, არამედ მშჯავრითა სიმართლისაჲთა.

და ამისა შემდგომად გამოირჩია ადგილი ერთი შუვაჲ, [14] არცა სამეუფოჲ, არცა საგლახაკოჲ, და უბრძანა განმზადებამ საყოფლისა თვისისაჲ და დადებად ყოველი ქურკელი მას შინა—არცა სამეუფოჲ, არცა საგლახაკოჲ. და მაშინ მივიდა [და] დაეშენა [მუნ] ადგილსა მას.

54. და ყოველი იგი ქურკელი სამეუფოჲ, რომელი გავოსცა მამამან მისმან—სავედრები გინა თუ სამოსლები, შესამკობელი საჯდომთაჲ და შუენიერებამ მრავალ სახე სამეუფოჲ—ბრძანა, რაათა წარიღონ ადგილთა უცხოთა სამეუფოთა და განყიდონ იგი და ფასი მისი განუყონ გლახაკთა და უპოვართა

53. და მერმე იწყო სიტყუად¹ ერისა² მიმართ და ჰრქუა: არა-ვის უქმს სიმ[ართლით] სლვაჲ, ვითარ მეფესა, რამეთუ ჯერ-არს სიმშვიდით და მოწყალებით მწყესა სამეფოჲსა³ თვისისაჲ. ხოლო, თუ ენებოს ღმერთსა⁴, მეცა ვიპყრა⁵ სამეფოჲ ესე მსჯავრითა სიმართლისაჲთა.

54. ხოლო ქურკელი ოქროსსა და ვეცხლისაჲ, რომელი მოსცა მამამან მისმან სამსახურებელად, ბრძანა განსყიდაჲ⁶ მათ⁶ ყოველთაჲ უცხოთა ქუეყანათა⁷, და განყიფოჲ გლახაკთა ზედა ქუეყანისა მისისაჲთა.

ბ¹ სიტყუად — J. ² ერის B. ³ სამეფოსა თვსსა BCDE. ⁴ ღმერთსა] ო⁴ J. ⁵ განსყიდ BC, განსყიდად D. ⁶ მათ] — J. ⁷ უცხოთა ქუეყანას BCDE.

ტ

4

და რომელთა არარაჲ აქუნ და სირცხულითა კაცთაჲთა ვერ განვიდიან თხოად.

და ვითარცა-იგი მეფენი იშუებედ და იხარებედ სამკაულითა მით და სამოსლითა შუენიერთა მრავლითა, და სილალით და ამპარტავანებით ამურებედ გლახაკთა, აწ (ქუალად) ფასითა მისითა [136] ნუგეშინის-ცემულ იქმნენ გლახაკნი და უპოვარნი. და რომელთა ესმეს ესე, აღიდებდენ ქრისტესა ღმერთსა [ჩუენსა].

და მერმე ბრძანა, რაჲთა დაწერონ წიგნები ყოველთა მიმართ სამეუფოთა მისთა, ქუეყანად-ქუეყანად, და ჳევად-ჳევად და სოფლად-სოფლად, რაჲთა აღწერნენ მათ შინა ყოველნი გლახაკნი და უპოვარნი, ულონონი და უძღურნი, და ქუალად უპოვარნი იგინიცა, რომელნი ვერ ითხოვენ სირცხელისაგან და ისაჯებიან შუდ წილ უფროჲს გლახაკთაჲსა სახელით ნათით, და სოფლით და საზომით და თითო-ც(უ)ლი მათგანი. და ვითარ მოართუეს აღწერილი იგი, ბრძანა დიდძალისა საფასისა განყოფაჲ შორის მათსა თითოეულსა საზომისაგერ თვისისა და მიცემაჲ ქუეყანათაჲ. და შეეწია შენებასა მათსა ზედა და ყოელისაგან საწმირისა მისცა თეს[ლი], [v] ელდრემდის გამოი-ყვანა მიზეზისაგან გლახაკობისა და უპოვარებისა. და ღონიერ იქმნენ ყოველნივე მიერთგან და ერთობით აღიდებდეს ღმერთსა მის მიერ, და არღარაგინ იპოებოდა სამეუფოთა შინა მისთა კაცი, რომელიმცა მიადგა კაცსა საწმირისათჳს და ქველის საქმისა.

და მერმე ბრძანა მიწერაჲ ყოველთა სამეფოთა მისთა, რაჲთა ყოველმან სამთავრომან მისმან, გინა თუ საერისთავომან, გამოირჩიონ^ა თავისა მათისათჳს კაცი ჳეშმარიტი და ღირსი და მყოფელი სიმართლისაჲ და მოძულე სი(ც)რუვისაჲ, რაჲთა, რომელი გამოირჩიონ ე[სე] ვითარი თითოეულმან მათგანმან, განაჩინოს იგი მათ ზედა ებისკოპოსად, რაჲთა წინა უძღოდის მათ ნეცნიერებასა ჳეშმარიტებისასა ქრისტეს ღ[მერთ]სა ჩუენისასა სიმართლით და ღირსებით, და მშჯავერთა სიმართლი[137]საჲთა აძობედეს და ჳმწყსიდეს სამწყსოთა თჳსთა.

და მერმე ბრძანებჲა დ(ა)უღვა) მთავართა და ერისთავთა და მეჭვლეთა, რაჲთა კეთილად მსახურებითა სიმართლისაჲთა შვიდენ ერსა, და მოწყალებით და სიმართლით განაგებდენ საქმეთა მათთა, და რაჲთა იყვნენ საშინელ ბოროტის მოქმედთათჳს და მშუდობა და სიხარულ კეთილის მოქმედთა ზედა, და რაჲთა უბრძანონ ყოველთა, რომელნი იყვნენ გელსა ქუეშე მათსა, შენებაჲ ქუეყა-

და უბრძანა ერისთავთა მისთა, რაჲთა უსჯიდენ ქურევთა და ობოლთა^ა, და ყონ სამართალი ყოველთა მიმართ,

ა¹ გამოირჩიონ^ა გამოირჩინენ.
ბ¹ ~ ობოლთა და ქურევთა J.

C

9

ნისაჲ და მიცემად ხარკი სამართალი მსგავსად ძალისა მათისა. და მერმელა განაგო სპათათუჲს საქმარი მათი ყოველი დაუკლებელად და დაადგინნა მათ ზედა სპაჲპეტნი და ერისთავნი კაცნი, ღირსნი, მდაბალნი და ღმრთის მომიშნი, რომელნი ევლტოდეს მთაყროზასა, ხოლო რომელნი ეძიებდეს [v] და ჩაიჭრებოდეს, ივინი განაშორნა განსაგებელისაგან მათისა.

დ[ა კუალად ბრ]ძანა დიდითა პატივითა დადგინებად ყოველნი მღდელთ მოძღუარნი და მღდელნი ქუეშარიტნი, და ალაშენნა ეკლესიანი ქუეყანასა შინა თუსსა, რომელნი სიტყუათა მათთაებრ აღასრულებდეს საქმით მცნებათა ქრისტესთა, და მიცემად მათდა სპემარი მისი თითოეულსა მათგანსა, შემსგავსებულად კაცად-კაცადსა ა[დ]გილსა თუსსა. და იყო სიხარული მიუწლომელი ქუეყანასა მას.

და თუთ იოდასათე მოიცალა თუნიერ ყოვლისა უდებებისა განგებად საქმეთა ერისათა. პირველად განიკითხვიდა შინაგანსა მათსა სულიერითა საქმითა, ვითარ-ძი ცხონდებიან, და მერმე ჯორციელსა ცხორებასა ზ[ედ]ა. და ეგრეცა თითოეულსა მიაგებ[და] საქმეთა მათთაებრ მოწყალებით [138] და [კეთილად] განგებით. [და] აღილო მათგან საქმე მძლავრობისაჲ მეფობრივი და (ყლდ) მძიმე და შიში უჯერ[ოჲ] [...]ა[.]ისაჲ გამოილო გულთა მათთაგან.

55. და განმრავლდა ჯეროვნებაჲ და სამართალი და სიხარული ერსა შორის, და მოისწრაფდეს ყოველნი კაცი ყოვლით ქუეყანით და ნათელს-იღებდეს სახელითა წმიდისა სამებისაჲთა, და შეეძინებოდეს შჯულსა ქრისტეანობისასა ერნი ურიცხუნი მარადღე-და გამოჩნდა უმეტესობაჲ კეთილად განგებისა მისისაჲ, და იწყეს შეჩუენებად შჯულსა

ხოლო აღჰმართნა და აღაშენნა ეკლესიანი მოოჯრებულნი, და დაადგინნა მათ¹ შინა მღდელნი და დიაკონნი, და უჩინნა მათ წინამძღურად ებისკოპოზნი.

55. და ღონიერ იქმნეს ყოველნი გლახაკნი და არღარავინ იპოვებოდა ქუეყანასა² შინა მისსა. გლახაკი, რომელმანცა ითხოვა ქველის საქმარი. და მოვიდოდიან კერპთ მსახურნი და ნათელს იღებდიან. და განმრავლდა კეთილი და ქრისტეანობაჲ ქუეყანასა³:

ბ¹ მათ] მას BCDJ. ბ² ქუეყანას BC. ბ³ ქუეყანას]-C.

ს

პირველსა, რომელსა-იგი ზედა დგეს. და აღივსნეს გულნი ყოველთანი სიყუარულითა მისა მიმართ და სასოებითა კეთილითა მეფობისა მისისათჳს. და განცხადნა ერსა შორის საქმე და დიდებამა ქრისტეანობისა და ღმრთის მსახურებისა და სიყუარულისა და მშჯღობისა, რამეთუ თავი თჳსი მისცა სახედ ყოველთა: [v] სიმდაბლესა და სიყუარულსა და მოღუაწებასა ზედა. და არღარავინ ი[იპოე]ბოდა ყოველსა სამეუფოსა მისსა, რომელიმცა ჰმონებდა შჯულსა სხუასა, გარნა ღმერთსა, ყოვლისა მპყრობელსა, ერთიცა კაცი. გარნა მცირედნი ვინმე კაცი წარვიდეს და მიიცვალეს სამეუფოდ აბენესე მეფისა მამისა მისისა, რამეთუ [ი]ყვეს იგინი კერპთ მსახურ და არა თავს-იღვეს ყოფამათი შჯულსა შინა ქრისტესსა.

და განითქუა ყოველსა ქუეყანასა ჰამბავი ქრისტეს მოყუარისა მის ქაბუკისა, და სინდობლისათჳს და მოთმინებისა მისისა და გარდარეულისა მოწყალებისა მისისა. და ვითარ-იგი ამათ ყოველთა სათნოებათა განჰმზადებდა სიბრძნითა და გონიერებითა, და მოვიდოდეს მისა ყოველთაგან ადგილთა კაცნი მორწმუნენი, რომელნი იფარვიდეს წესსა და სარწმუნოებასა შიშისაგან მეფისა, უშიშად, [139] და სიხარულითა დიდითა დაეშენებოდეს საბრძანებელთა მისთა, და იხარებდეს სულითა და აღიდებდეს განუყოფელსა სამებასა წმიდასა, რომელმან განაცხადა ერთარსებაჲ სამგუამოვნებისა მისისა, და უჩუენა ძალი სარწმუნოებისა მათისაჲ წინაშე ყოველთა უღმრთოთა. და მრავალნი მოვი-

ღ

შინა იოდანსაფ მეფისასა¹. და ყოველნი ერთბამად აღიდებდეს ღმერთსა, მომცემელსა ყოველთა კეთილთასა, და იხარებდეს ყოველნი.

ხოლო ვითარცა იხილა მამამან მისმან მოკლებამ სამეფოჲსა თჳსისაჲ და განმდიდრებამ სამეფოჲსა ძისა მისისაჲ², შეუძნდა ფრიალ, და იყო ურვასა შინა დიდსა.

ხოლო განისმა ჰამბავი³ მისი ყოველსა ქუეყანასა, და ყოველით კერპო შემოკრბა სინრავლე მორწმუნეთაჲ. და ბრძანა ყოველთა მოწესეთა⁴ და⁵ მღდელთაჲ, რაჲთა არავის ჰქონდეს მათ ზედა უფლებამ⁵ თჳნიერ ღმერთისა, და დაიწყირნა ყოველნი პატივსა ზედა დიდსა ფრიალ⁶, და ყოველნი ეკლესიანი იპყრნა პატივსა ზედა⁷ ღმრთისასა.

ბ¹ იოდანსაფ მეფისასა] იოდანსაფისასა DE. ² მისისაჲ BC. ³ ამბავი BCE, ანბავი J. ⁴ მოწესეთა]— BCDE. ⁵ და]—DE. ⁶ ~ უფლებამა მათ ზედა A. ⁷ ფრიალ]—A. ⁸ ~ პატივსა ზედა იპყრნა BCDJE.

C

9

დოდეს, რომელნი იყვნეს შჯულსა ზედა მამისა მისისასა და და-
 ადგრებოდეს მის თანა სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა განცხადე-
 ბულად, და ვითარცა ყრმანი ჩჩვლნი ნათელს იღებდეს სახელითა
 მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, და აღიდებდეს ქრის-
 ტესა კეწმარიტსა ღმერთსა, რომელი იშვა უთესლოდ და უბრწუ-
 ლად ქალწულისაგან უქორწინებელისა პირველ საუკუნეთა მამისა-
 გან უდედოდ შობილი, თანამოსაყდრე მამისა და სულისა წმი-
 დისაჲ.

56. და განცხადნა ჰამბავი ძისა მეფისაჲ. და იყო სიხარუ-
 ლი დიდი ყოვლისა ერისაჲ, [უ] და აღებაჲ მძლავრობისაჲ მათგან
 სამეფოსა შინა მამისა მისისასა. და მრავალნი მოიქცეოდეს და
 აღიარებდეს შჯულსა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა და აღ-
 საარებასა იოდასაფისსა. და განმრავლდებოდა და განძლიერდებოდა
 ქადაგებაჲ მათ შორის, ვიდრემდის განმრავლდეს და განძლიერდეს
 მუნ შინა უფროჲს ყოველთა უღმრთოთა. მაშინ იწყო მოუძღურე-
 ბად საქმემან მამისა მისისამან და იქცეს გულნი კაცთანი მისგან,
 და კადნიერ იქმნებოდეს წინა-აღდგომად მისა. და შეურაცხ-ყოფ-
 დეს მრავალსა ზედა ბრძანებასა მისსა, და მოიკსენებდეს უწყაო-
 ებით სლვასა მისსა მათ შორის და მძლავრობათა და ბოროტის
 ჩუენებათა მათ ზედა. და განცხადებოდა შეურაცხებაჲ ერისაგან
 დღითი-ღღე [140] და გულისკმა-ყო, ვითარმედ გულნი კაცთანი
 მიქცეულ არიან ძისა მისისა კერ[ძო], და შეეშინა, ნუჟკუე შფო-
 თიცა აღუდგეს და მოკლას ვინმე და დაიპყრას მეფობაჲ მისი. და
 დიდი შიში და ურვაჲ დაეცა მის ზედა ამის ჯერისათჳს, და არა
 ხოლო მას ოდენ, არამედ ყოველნი რომელნი იყვნეს წარჩინებულნი
 და თანამზრახველნი მისნი. და დიდსა მწუხარებასა და იწროებასა
 შევარდეს ამის ჯერისათჳს.

მაშინ მიწერა აბენესე მეფემან ძისა თჳსისა იოდასაფისა საქ-
 მისა ამისთჳს და გან(ა)ცხადა ყოველი, რომლისათჳს იურვოდა და
 ჰკითხა, რაჲ-ძი ჯერ-არს ყოფად. ხოლო იოდასაჲ მიუწერა ესრეთ:
 უწყებულ იყავ, მეფე, რამეთუ არარაჲ წარსდგენის შიშსა და
 იოტებს იქუსა გულისაგან მეფეთასა¹, ვითარცა მშჯავრი [უ] სა-
 მართალი ერისა მიმართ და კეთილად განგებაჲ მოწყალებით საქ-
 მეთა მათთაჲ, და არარაჲ უფრო მო[მ]ხ[დ]ელ არს ურვათა და
 განმრყუნელ ცხოვრებისა და მომპოვნებელ ბოროტთა იქუთა ერისა
 მიმართ, ვითარცა უჯგროჲ თუ კუალი ჩნდეს მეფისაჲ ერსა შორის,
 რამეთუ დაღაცათუ კეთილნი შენნი განმრავლდენ კაცთა მიმართ,
 არამედ მცირედმან ბოროტმან განრყუნესჲ იგი, უკუეთუ შესაო,
 მის თანა. ხოლო შენ თანა, მეფე, ცხად არიან საქმენი ესე, რო-

1¹ მეფეთასა] მეფეთასაჲ.

ც

9

მელთაჲ არლარა ვისი გიჳმს კითხვაჲ ამის ჯერისათჳს. აწ იხილე ვინაჲ-dი შეგიჳდა შიში და იჳჳ, ანუ სადაჲთ გაჳქუს ნუგეშინის-ცე-
მაჲ და იმედი. ხოლო მე ესრეთ ვჳგონებ, ვითარმედ არა არს მიზეზი
შიშისა და იჳჳსაჲ, გარ[რ]ნა კუალისაგან ბოროტისა, რომელი უქუანა
შეუდგს. და არა არს იდგილი ნუგეშინის საცემელი და საიმედო
[141] შენთჳს, გარანა კეთილი თუ რაჲ გი[თვის]ავს[.]. აწ დაუტყვევ მო-
მატყუებელი შიშისაჲ და მოიპოვე მომპოვნებელი მშჳდობისაჲ და
მიუსწარ კეშმარიტისაგან ზრახვად, ნუუკუე მიგისწრან მტერთა
შენთა კეთილსა ზედა.

57. და ვითარცა მიიწია მეფისა წიგნი ესე ძისა მისისაჲ, მოუ-
წოდა წარჩინებულთა მათ მისთა¹ და წარუკითხა წიგნი იგი. და
იწყეს განზრახვად ამის ჯერისათჳს. მაშინ ჰრჳქუეს კაცთა მათ მე-
ფესა: მეფე, ცხონდი უკუნისამდე, ჩუენ ესრეთ განგაზრახებთ, რაჲ-
თა ეწიფო საქმესა პირის-პირ, ვიდრე არა ზედა დაგეცეს, და
ილუაწუე მას შინა მოქცევაჲ, რომლისაჲ შესაძლებელ იყოს მოქცევაჲ,
და ნუ წინა-აღუდგები, რომელსა ვერ შემსლებელ იყო წინააღ-
გომად. რამეთუ საქმე მეფობისაჲ შეკრბების შეკრბასა შინა ერი-
სასა, და შენ უწყნი საქმენი შენნი ბოროტნი ერსა შორის, და აწ
ჰხედავ [V] მიქცევისა გულთა მათთასა შენგან და მიდრეკასა გო-
ნებისა (მათისასა) შენგან, და რამეთუ განზრახვაჲ მეფეთათჳს უ-
ჯობესი გამორჩევაჲ არს ნებიერად საქმისაჲ და უმრწამესი მიწყუ-
დევაჲ არს უნებლებით საქმესა, და შენ დღეს ფლობაჲ გაჳქუს გა-
მორჩევად საქმისა უმჯობესისა თავისა შენისათჳს და არლა მო-
დგმულ არს საქმე მიმაწყუდეველი უნებლიეთსა ზედა, რამეთუ ნეთ-
სით უპატროსნეს არს მეფეთათჳს. და ჩუენ ესრეთ გაწუევთ, რაჲთა
ყოველი ესე სამეფოჲ მიუთუალო ძესა შენსა, უკუეთუ ოდენ იაკს-
იდვას და მორჩილ გექმნას. არამედ პირველად ესრეთ იწყო, რაჲთა
ჰბრძანო შემოკრებაჲ ყოველთა მთავართაჲ და ერისთავთაჲ და
წარჩინებულთა ერისა შენისათაჲ, და მაშინ ღონის ძიებით ჰყო და-
დებაჲ ამის ჯერისაჲ მათ თანა*, [142] რამეთუ არა ჰშუენის
მეფეთა აღსრულებაჲ რაჲსამე საქმისაჲ, გარანა პატროსნე-
ბისა [...].

მაშინ ბრძანა მეფემან მსწრათლ შემოკრებაჲ მათ ყოველთაჲ.
და ვითარ შემოკრბეს იგინი წინაშე მისსა, იწყო ღონის ძიებით
დადებად წინაშე მათსა საქმისა მის, და თჳყო ყოველისა პირვე-
ლად მადლობაჲ ღმრთისაჲ ყოველსა შინა, და მერმე აჳსენა სიყუა-
რული მისი ერისა მიმართ, და ვითარ ვიდოდა მათ შორის და
ზრუნვიდა ცხორებისა მათისათჳს. და მერმე კუალად აჳსენა, ვითარ-

1 მისთა) მისთა.

* აჳ გადაწერის მინაწერი: „ჰჳ, შე მჳქლ“.

C

4

იგი წული შეილი არა ესუა და ეშინოდა აწყუედაა ძირისა მათი-
სა, და რამეთუ აღთქუმაა მისცა ღმერთთა, რომლისაჲ ვერ ჯელ-
წიფების დაჯსნაჲ მისი, უკუეთუ მოეცეს წული შეილი, და თუ
ცხოვდესა ვიდრე აღზრადმდე ყრმისა მის, ვიდრემდის შემძლე-
ბელ იქნეს (დაჰყრობად სამეფოსა, რაათა მიუთუალოს ყოველი
სამეფოა მისი შელსა თუსსა და თუთ [v] ნეფსით დაუტეოს მე-
ფობაჲ და მიჰმალოს ლ[მერთთა] აღთქუმისა მისთს, და რაათა
დაშჯერდეს ცხოვება[სა] ლიტო[ნ]სა [მ]სგავსად სხუთა კაც-
თაჲსა.

და ჰრქუა ყოველსა მას ერსა: თქუენ იცით, ვითარ ჯერ-არს 10
აღსრულებაჲ აღნათქუემთაჲ, და არა ჯერ-არს დაჯსნაჲ მისი. და
მე, რაჟამს მივეც ნახევარი სამეფოსა ჩემისაჲ შეილსა ჩემსა,
ესრე ვჰგონებდ, ვითარმედ აღმესრულების აღნათქუემი ჩემი.
და ვითარ ვჰხედავ არა სრულ არს აღნათქუემი ჩემი. და რამეთუ
კრუ ვიპოვე წინაშე ღმერთთაჲსა, და მეშინის აღნათქუემისა 15
ამის დაკლებისათს. რისხვაჲ მათი მოიწიოს ჩემ ზედა, რამე-
თუ მასნიეს, ვითარმედ შურის-გებით საძიებელ არს აღნა-
თქუემიო*. და აწ თანა-მაც თუნიერ ყოვლისა ღონისა აღსრუ-
ლებაჲ აღნათქუემისა ჩემისაჲ. და აწ გაუწყებ თქუენ, რაათა გან-
მაზრახოთ, [143] რაჲ-იგი ჯერ-არს ჩემთს და თქუენთს უმჯო- 20
ბესი, განიხილეთ!

ხოლო (მათ ჰრქუეს): ვისამცა უფრო ჯერ-იყო აღსრულებაჲ
აღნათქუემთაჲ, ვითარ მეფისა, ანუ ვინმცა უფრო დამმარხველ იყო
სამართლისა და უმტკიცეს სიტყუათა და უდიდეს ზრახვითა,
ვითარ მეფე ჩუენი! ხოლო საქმე ესე, რომელ[ი] იკითხე ჩუენგან, 25
არიან მას შინა ორნი საქმენი: ერთისა მათგანისაჲ უშუერებაჲ
არს მეფისაგან, უკუეთუ დააბრკოლოს და მიადროოს იგი მეფენან,
რამეთუ კაცსა თუ ვინმე უტყუვის, საყუედრელ არნ იგი მარადის,
რავდენ უფროჲს წინაშე ღმერთთა საძაგელ არს ტყუელი და
სიცრუეე აღნათქუემთაჲ მეფისათს. და მერმე არა თავს-ღებადცა 30
ღმერთთაგან საგონებელ არს ტყუელისაჲ ჩუენებითა რიცხვისაჲთა,
ნუჟკუე, რომელსა ნეფსით ზედა ადგრებოდი და გშურდეს, მიგე-
ლოს იგი რისხვითა თუნიერ [v] მადლისა და ნებისა შენისა. და
მეორე [ესე. რამეთუ] მიავლინებ მეფობასა შენსა ძისა შენისა, რლ
არს [ნათელი] თუალთა შენთაჲ და თუნიერცა აღთქუმისა ყოველნი 35
კაცნი დაუტეობენ შეილთა თუსთა მონაგებთა მათთა და ამას ზედა
დასრულდების სასოებაჲ კაცთაჲ. და უკუეთუმცა უცხოასათს
აღგეთქუა აღთქუმაჲ, ესე თანა-მცა-გედვა აღსრულებად, რავდენ
უფროჲს ძისა შენისადა თანა-გაც ორკერძოვე აღსრულებაჲ აღნა-

* შდრ. II სჯ. 23, 21.

ტ

9

თქუემისა შენისაჲ! არამედ შენ უწყი. მეფე, რამეთუ ძე შენი არს შჯულსა შინა ქრისტეანეთასა, და შჯულსა თვისსა სამ[ა]რთალ უჩინ მიღებდა სამართლისაჲ და განსწორებდა მთავართა და გლახაკთაჲ მას შინა. და შენ უწყი, თუ რაჲ ბოროტის ჩუენებანი აღვასრულენით კაცთა მათ ზედა მონანულთა. აწ უკუე გუეშინის, ნუჟუე კელთ იგდოს [144] და გუეუფლოს შჯული მისი და მას [შინა] მოგუედგმის სამართლით თავს-დებდა სისხლთაჲ, რომელ დავსთხინით ბრძანებითა შენითა, და მონაგებნი, რომელნი იავარ-ყვევინთ მშჯავრითა, თანა-გუაჲ გარდაჲდა მათი.

58. მაშინ მიწერა მეფემან ძისა თვისისა ესრეთ: მშჯღობაჲ შენდა, შეილო ჩემო! შენ უწყი პირველად ნუკევით და სიჩოგებით აღზრდაჲ შენი ჩემ მიერ და მერმე მიშუებდა ნებისა შენისაჲ, დაღაცათუ მძიმე იყო ჩემ ზედა ზოგადი სამეუფოსა ჩემისაჲ და შუელაჲ მეფობისა ჩემისაჲ, სიყუარულისათჲს შენისა ვყავ. და აწ მნებავს, რაჲთა სრულ ვყო კეთილი ჩემი შენ თანა, რომელი არავის კაც-თავანსა უყოფია ვის თანამე, და მიგითუალავ ყოველსა სამეფოსა სრულიად, და გარდაგრადებ დიდებისაგან ჩემისა და მე მეგულეზის ლიტონსა [ჲ] ცხორებასა შინა ყოფაჲ, ვიდრემდის მოიწიოს აღსასრული ჩემი, რაჲთა სასოებაჲ [ცა] ჩემი სრულ იქმნეს შენთჲს, და სიხარული მეფობისა შენისაჲ ვიხილო ცხორებასა ჩემსა. და ამისა შემდგომად ავსენა საქმე მონანულთაჲ მათ და რაჲ-იგი უყო ბოროტი თავთა მათთა და მონაგებთა მათთა, და რამეთუ არა უცხო არს მეფეთაგან უდიდესისაჲცა ამისა ყოფად დამტკიცებისათჲს მეფობისა მისისა წინააღმდგომთა თვისთა. აწ უკუევი აღილო ჩემ ზედა და რომელნი არიან ჩემ თანა საქმე ბქობისაჲ მათ შორის, მაშინ მიგითუალო სრული სამეფოჲ, და რაჲთა არა გუაიძულო მე და ჩემთანათაჲ დატეობაჲ შჯულისაჲ.

ხოლო იოღასაფთ ესრეთ მიუწერა მამასა თვისსა: გვრგვონსანო დიდებულო მეფეო, შენ უწყი, ვითარმედ არა ჯერ-არს სამართალსა შინა საწჯელსა ერთსა შინა სამეუფოსა ორი წესი და ორი ბქობაჲ [145] [.] ბული ერთიერთისა წინა[აღმდ]გომი ყოფად, ხოლო ვყო თქუენ თანა საქ[მე] სა[მ]ართალი, რომელი შეა-შუნდეს გონებასა თქუენსა. აწ მოავლინენით ჩუენდა კაცნი თქუენგანნი, რომელნი ბრძანად საგონებელ იყვენ და საქმესა შემატუებელ, რაჲთა სიტყუა-უგოთ ურთიერთას ამის ჯერისათჲს, და მერმე გამოჩნდეს ქეშმარიტი, რომელმან სამართალსა ზედა შეგუკრიბნეს ყოველნი მას შინა.

და ვითარ მიიწია მეფისა წიგნი ძისა მისისაჲ, წარუკითხა მისთანათა მათ. და ყოველთაჲე შეაშუნდა, რაჲ-იგი მიუწერა, რამეთუ იცოდეს, ვითარმედ თვნიერ სამართლისა არარას ჰყოფს.

C

59. მაშინ წარავლინნეს კაცნი რჩეულნი მათ შორის ბრძენნი და წურთილნი სწავლულებითა მათითა. და ვითარცა მიიწივნეს წინაშე ძისა მეფისა, ბრძანა სწორადვე მათსა მოყვანებაჲ კაცთა, [v] რჩეულთა მონაზ[ონთა] ქრისტეან[ეთა], რომელ[თა] აქუნ[და] [.] წმიდისაჲ და ჰრქუა მათ: ნუ-რარას უფროას ზომისა ზრახავთ და ნუცა თავთა თვსთა ესავთ, არამედ ითხოვეთ ქრისტესგან. რაჲთა მოგცეს ძალი ზეცით, ვითარცა წერილ არს წმიდასა შინა სახარებასა, და იტყუს: ნუ ჰზრუნავთ, რაჲ სთქუათო*.

და ვითარცა შეკრბეს, მისცეს აღთქუმაჲ ურთიერთას, რაჲთა არა მძლავრებით იყოს, და არცა გარდაწვენაჲ სიტყუს გებასა მათსა შინა, არამედ სამართლისა საშჯელითა განიხილნენ ურთიერთას, რაჲთა არა იგუმოს ძემან მეფისამან მიმძლავრებაჲ და არცა შურისათჳს ჯობნისა.

და ვითარ მისცეს აღთქუმაჲ ამის ჯერისათჳს, იწყეს კერპთმსახურთა მათ და თქუეს, რამეთუ არა ჯერ-არს პირველ კითხვაჲ, გარნა მეძიებელისათჳს საქმესა, რომელსა ეძიებს. და ჩუენ არა გკითხოთ [146]. [. . . .] გაუწყოთ ჩუენ, რომელსა ზედა ვდგათ [. . .], რამეთუ (ვჰმონებთ) კერპ[თა ოქროსათა] და ვეცხლისათა და გამოხატულთა ქვისათა და ძელისათა, არამედ გვთხართ ჩუენ: ვინ არს, რომელსა თქუენ ჰმონებთ? მიუგეს მონაზონთა მათ. მონათა ქრისტე ღმრთისათა, და ჰრქუეს: ჩუენ ვჰმონებთ ღმერთსა ცხოველსა, რომელმან დაგუბადნა, და დაჰბადა ოქროჲ და ვეცხლი, ქვანი და ძელნი, რომლისაჲ იცით სახელი მისი, და ვერ უვარ-ჰყოფთ უფლებასა მისსა, და იგი თავადი არს უდიდეს ყოველთა, და არავინ შემძლებელ არს მიწუთომად ღმრთეებისა მისისა, თუმცა ვინ გამოთქუა სიტყუთა, გინა თუ იხილა თუალითა. მან დაგუბადნა და მოგუცა მეცნიერებაჲ მისი, ნებათა მისთა ვიქმთ მსგავსად ძალისა ჩუენისა, და რომელი არა ჰნებაჲს, მას დაუტეობთ.

ესე არს მიგებაჲ კითხ[ვ]ისა თქუენისაჲ, ა[რამედ] ვინ [. . . .] არიან ღნერთნი თქუენნი [. . . .] აღეს, გინა თუ რაჲ გამცნეს [ყოფად]? ხოლო უკუეთუ სთქუათ, ვითარმედ არა მათ დაგუბადნეს, არცა რაჲ გუამცნეს და ვერცა შემძლებელ არიან დაბადებად რაჲსაჲმე, რამეთუ არა ჰხედვენ, არცა ესმის, არცა ვმოზენ ჯორჯითა მათითა, არლარაჲ სიტყუაჲ გაქუს მოგებად ჩუენდა

D

59 ხოლო ეამსა შინა¹ ერთსა წარავლინა² აბენეს მღვდემან წინაშე ძისა მისისა კაცნი კერპთმსახურნი, რაჲთა ცნან³ საქმე და ქცევაჲ ძისა მისისაჲ. და ვითარცა მიიწივნეს პალატად, მიეგება წინა, ვითარცა ძმათა საყუარელთა, და დიდითა⁴ პატივითა მოიკითხნა იგინი⁵ მოწლედ, და⁶ ისტუმრნა და ნიქნი დიდნი წინა-უყვნა და აწუევდა ღმრთის მსახურებად⁷.

1 შინა] — AE. 2 წარავლინა BCDE. 3 ცნა B, ცნა C. 4 დიდითა] — AJ. 5 და მოწლედ A.

6 და] — A. 7 მსახურებასა J, მსახურებასა ზედა BCDE.

* მათე 10, 19.

ტ

ღ

მონებისათჳს ურგებთა და უსულოთა, რომელნი ვერ შემძლებელ არიან რგებად გინა თუ ვნებად.

და ვითარცა ესმა ესე კერპთ მსახურთა მათ, მოგკოუთენეს ენანი მათნი, რამეთუ არღარაჲ აქუნდა სიტყუაჲ, რამცა მიუვგეს ორსავე პირსა ზედა, რამეთუ, უკუეთუ თქუან, ვითარმედ კერპთა მათთა დაჰბადნეს იგინი და მათ ასწავებს, რაჲ-იგი ჯერ-არს ყოფად მათ-თჳს, ცხად იყო მათ ზედა მტყუუვარობაჲ, სამართლით დაესაჯე-ბ[ოდა] [147] სიბრძნისა სიტყუთა. და უკუეთუ [თქუან, ვითარმედ] უძლურ არიან და ვერ გელ-ენიფი[ების] დაბადებად და რგებად, გინათუ ვნებად, იძლიენენ სამართლისა მშჯავრითა და მიედგას მათ ზედა საქმე ჯობნისაჲ. და ვითარ ვერარაჲ პოვეს ღონე, რომელიმცა შემწე იყვეს, მაშინ შეიწყარეს უმეტესობაჲ წჳულისაჲ და აღსა-არებაჲ ქრისტეს ღმრთისაჲ ყოველა ზედა წესსა ამის სოფლი-სასა, რამეთუ კეთილად სღვასაცა შინა იოდანსაჲსისა და გარდა-რეულსა მისსა სიმდაბლესა და მოწყალეებასა შინა მისსა მრავალი მადლი იხილეს, რამეთუ დიდი მშჯდობაჲ და სიხარული იყო სამე-ფოსა შინა მის მიერ.

მიუვგეს და ჰრქუეს კერპთ მსახურთა მათ: ძეო მეფისაო, ვითარ იყოს მშჯავრი შენი ჩუენ ზედა საქმეთათჳს პირველთა. რომელნი ეკმნენით ბრძანებითა მამისა შენისაჲთა და მეფი[ის]სა ჩუენისაჲთა, და სისხლნი, რომელნი დავთხიენით უმეტრებითა [. . .]. ჰრქუა მათ ნეტარმან იოდანსაჲ: რამეთუ (ერა-იგი) რაჟამს განაგდოთ შჯული თქუენი, მის თა-ნაცა განაგდო[თ] იქჳ, რომელი გაქუს მაგის ჯერისათჳს. და ვითარცა შეხვდეთ შჯულსა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ[ქს] ქრისტესსა, მის თანავე შეხვდეთ მშჯდობასა და სიხარულსა, რამეთუ ღმერთი მშჯდობისა და სიყუარულისაჲ არს და არა თუ მანკიერებისა და შურის-გებისაჲ.

ხოლო მათ ჰრქუეს: ძეო მე-ფისაო, ვითარ იყოს ბჭობაჲ შენი ჩუენ ზედა საქმეთათჳს პირველთა, რომელნი¹ ეკმნენით ბრძანებითა მამისა შენისაჲთა, და² [106] რა-მეთუ სისხლნი მრავალნი დ. ვსთხი-ენით? ჰრქუა იოოასაჲ: ვითარცა განაგდოთ სჯული თქუენი, მის თანავე განაგდოთ³ იქჳ, რომე-ლი გაქუს⁴ მაგის ჯერისათჳს. და ვითარცა შეხვდეთ სჯულსა ღმრთისასა, შეხვდეთ მშჯდობასა⁵ და სიხარულსა საუკუნესა, რამეთუ ღმერთი ჩუენი მშჯდობისა და სი-ყუარულისაჲ არს და არა არს შურის-გებაჲ მის თანა, რამეთუ ტკილ და მოწყალე და კაცთ მოყუარე⁶ არა და⁷ არა ჰნებაჲს, სიკუდილი ცოდვილთაჲ, არამედ მოქცევაჲ და სინანული.

ბ¹ რომელნი+იგი A. ² და—A. ³ განაგდო B. ⁴ რლ გქს AJ. ⁵ მშჯდობასაცა BCD. ⁶ ~ და კაცთ მოყუარე და მოწყალე BCDEJ. ⁷ და] არამედ BCD.

C

მაშინ მოიქცეს კაცნი იგი წინაშე მეფისა და აუწყეს ყოველი, რომელი ესმა და იხილეს. ხოლო მეფემან და ყოველმან ერმან მისმან განიზრახეს, რაათა შეუდგენ შჯულსა იოდასაფისსა. და შეიწყნარეს წმიდა ნათლისღება მათი სახელითა მამისაათა, ძისაათა და სულისა წმიდისაათა. გარნა კაცი იგი მძოვარი რომელი პირველ ზემო ვაჟსენეთ, რომელმან აზრახა [148] მეფესა, რაათა ბრძოლა-უყოს ძესა თუსსა ეშმა[კითა], რომელსა ერქუა თედმა, ამან არა შე[ი]წყნარა ქრისტიანობაჲ.

60. და მიწერეს წიგნი ძისა მეფისა აღსაარებისა და სარწმუნოებისათს მამისა და ძისა და სულისა წმიდისა ერთობით მეფემან და ყოველმან ერმან. და ვითარცა მიიწინეს მოციქულნი იოდასაფისა, და ეუწყა ბრძანება მეფისა და ყოველისა ერისაჲ, მაშინ აღიესო უმეტესითა სიხარულითა და აღდგა და აღიპყრნა ჯელნი ზეცად მიმართ და შეწირა მადლობაჲ ქრისტეს მიმართ, რომელმან ყვის ნებაჲ მოშიშთა ნისთაჲ. და წინა-უყო მოციქულთა მათ პატივი და ნიჭი დიდი და აღრე განუტყენა.

და მიწერა წიგნი მამისა თუსისა ესრესახედ: დიდსა და მორწმუნესა მეფესა და კეთილად მოსრულსა მორჩილებად ღმერთისა მე, მონაჲ და გლახაკი [ჲ] იოდასაჲ, უფლისა მიერ გიკითხავ! პირველად ვჰმადლობ ქრისტესა, ძესა ღმერთისასა, რომელი განკაცნა კაცთა ცხორებისათს და გვჰსნა მონებისაგან და საცთურისა კერპთაჲსა და მოგუყიდნა უბიწოათა მით და პატიოსნითა სისხლითა თუსითა, რომელი ჯუარსა ზედა გარდამოადინა; ვაქებ და ვადიდებ სახიერებასა ნისსა, რომელმან წყალობით მომხედნა და არა ჯუებულ მყო საწადელისაგან ჩემისა და

Q

და მიიქცეს კაცნი იგი წინაშე მეფისა და აუწყეს¹ ყოველი, რომელი ესმა და იხილეს. ხოლო მეფემან და ყოველმან ერმან მისმან² განიზრახეს, რაათა შეუდგენ შჯულსა იოდასაფისსა და შეიწყნარონ წესი მისი.

60. და მიწერეს წიგნი ამის პირისათს.

და ვითარცა მიიწია მოციქული და წარაკითხა წიგნი იგი³, განიხარა ფრიად

და დიდითა პატივითა შეიწყნარნა მოციქულნი. და წარგზავნასა მათსა მისცნა⁴ ნიჭნი დიდნი⁵.

და ნიუწერა მამასა თუსსა ესრეთ: დიდსა და მორწმუნესა მეფესა⁶ და კეთილად მოსრულსა⁶ მორჩილებად ღმერთისა⁷ მე, მონაჲ და გლახაკი იოდასაჲ, უფლისა მიერ მოგიკითხავ! პირველად⁸ ვჰმადლობ ღმერთსა ჩემსა⁹

რომელმან არა ჯუებულ მყო მე¹⁰ საწადელსა ჩემსა¹¹ და ღირს მყო¹²

¹ და აუწყეს] აუწყეს BCD. ² მისმან — BCDE. ³ წიგნი იგი] — BCDJ. ⁴ წარგზავნა და მისცნა BCDE. ⁵ ~ დიდნი ნიჭნი BCDE. ⁶ მეფესა] — BCDE; დიდისა და მორწმუნისა მეფისა A. ⁷ მოსრულისა A. ⁸ ღმერთისა] + მეფე BCD. ⁹ პირველად] არამედ DE. ¹⁰ ჩემსა] ჩუენსა BCD. ¹¹ მე] — A. ¹² ჩემსა] — A. ¹³ მე] + მე BCDEJ.

ჯ

ღირს მყო ხილვად ჰეშმარტისა მეფობისა
 შენისა, რამეთუ აწლა იქმენ შენ მეფედ, ხო-
 ლო პირველ ამისა არცა თუ იყავ მონა შე-
 წყნარებულ, და მერმე, რამეთუ დიდ არიან
 მადლინი შენნი ჩემ თანა და მე ვერ შემძლე-
 ბელ ვარ ჯეროვნად მადლისა მოცემად შენდა
 ყოლისავეთჱს, რომელი ჰყავ ჩემ თანა. არა-
 მედ უფროას და უდიდეს დღეს ახარე სულსა
 ჩემსა: [149] ყოველი, რომელი-იგი მომეც, ვი-
 თარცა არარაჲ იყო წინაშე თუალთა ჩემთა.
 ხოლო აწ ცნობითა შენთა ჰეშმარტებისაჲ-
 თა წმიდაჲ სამებაჲ იდიდების და აღსაარე-
 ბითა შენითა შჯული მისი განბრწყინდების,
 და აწ სრულიად განადიდე ყოფაჲ შენი ჩემ
 თანა. ხოლო ესე უწყი, რამეთუ არავინ გა-
 ნიშორის¹ მეგობარი თუხი და არამცა აქუნდა
 ბრძოლაჲ ჩუეულებისაჲ მისა მიმართ და სა-
 ვჰუელცა არნ მიქცევად მისა, უკუეთუ არა
 პირველად მიზეზი იგი მიდრეკისა მისისაჲ
 აღმოჰხებურის. და აწ ამით საცნაურ არს
 ჰეშმარტებაჲ სიტყუათა შენთაჲ და განწმე-
 დაჲ გულისა შენისაჲ ღმრთისა მიმართ, რომ-
 ლითა ჩუენ თანა მსახურებასა ღმრთისასა
 და ლოცვისა მოდგამობასა მოხუდე, რაჲთა
 დაარღვენ საკერპონი და დასწუნენ კერპნი
 ცეცხლითა ღმრთისათჱს, რაჲთა მიეგოს მი-
 საგებელი მათი, [x] რომელ მათ მოაგეს ერთა
 ურიცხუთა. და დაწუებითა მათითა დაეგო
 ღმერთსა, ვითარცა-იგი პირველ დაწუებითა
 წმიდათაჲთა განუდგენ ღმერთსა. და რაჲამს
 ჰყო ესე, მაშინ დაჰკნნა შუვა კედელი ზღუ-
 დისაჲ მის მტერობაჲ და ჰეშმარტი და
 უქცეველი ნუგეშინის-ცემაჲ მოილო ღმრთი-
 საგან ცხოველისა და ჩუენ მონათა მისთაგან.
 და ვითარცა მიიწია მეფისა წიგნი ესე
 და აღმოკითხეს, მაშინ აღდგეს თუთ მეფე

კ

ხილვად¹ ჰეშმარტისა მეფობისა²
 შენისა³, რამეთუ აწლა⁴ იქმენ მე-
 ფე, ხოლო პირველ ამისა⁵ მონაჲ
 იყავ ეშმაკთ, ჰ⁶ მამაო საყუარე-
 ლო⁷ აწ დიდ არიან მადლინი და
 ნიკნი შენნი ჩემ ზედა და გარდა-
 რეულ კეთილის ყოფიან, არამედ
 უფროას და უდიდეს. აწ ახარე
 სულსა ჩემსა, რამეთუ ყოველი,
 რომელი-იგი მომეც⁷, არარაჲ იყო
 წინაშე თუალთა ჩემთა. რამეთუ
 იწუებოდა გული ჩემი წარწყმედი-
 სათჱს სულისა შენისა. ხოლო აწ
 აღსარებითა შენითა ღმრთისა
 მიმართ განათლდა სული და⁸
 გონებაჲ ჩემი, რამეთუ ვიქმენ⁹
 ძე მეფისა მორწმუნისა¹⁰ და კურ-
 თხეულ არს ღმერთი ჩუენი, რო-
 მელმან განანათლნა თუალნი გუ-
 ლისა¹¹ შენისანი! აწ¹² გვედრები,
 რაჲთა დაარღვენ ტაძარნი კერპ-
 თანი და დასწუნენ და დაჰლეწენ¹³
 ყოველინი კერპნი და დაწუებითა
 მათითა¹⁴ დაეგო ღმერთსა, ვითარ-
 ცა-იგი პირველ დაწუებითა¹⁵ კაც-
 თა ღმრთის მსახურთაჲთა განა-
 რისხე¹⁶ ღმერთი. და¹⁷ რაჲამს
 ესე ჰყო, მაშინ დაჰკნენ¹⁸ კედელი
 იგი და ზღუდე მტერობისაჲ და
 ჰეშმარტი ნუგეშინის-[x] ცემაჲ
 მოილო ღმრთისაგან და ღმერთი
 მშუდობისაჲ იყავ თქუენ თანა
 უქუნისამდე¹⁹.
 და ვითარცა მიიწია წიგნი
 იგი, აღდგა მეფე და ყოველი

1¹ განიშორის) განშორის.
 2² ხილვად]—A. 3³ მეფობასა A. 4⁴ შენსა A. 5⁵ აწლა] აწცა ღირს A. 6⁶ ამისა J. 7⁷ ჰ] და A.
 8⁸ მომეც]—მე BCDE. 9⁹ და]—BC. 10¹⁰ აწ ვიქმენ BCD. 11¹¹ მორწმუნისა მეფისა BCDEJ. 12¹² გულისა] სუ-
 ლისა BCDEJ. 13¹³ აწ]—BCD, J. 14¹⁴ და დაჰლეწენ]—BCD. 15¹⁵ მათით BC. 16¹⁶ დაწუებითა J. 17¹⁷ განგე-
 რისხა A. 18¹⁸ და] ხოლო BCDE 19¹⁹ დაჰკნენ C. 20²⁰ უქუნისამდე]—ამენ BDE, —A.

C

და ყოველი ერი მისი მის თანა და იწყეს დარ-
ლუნად და დაწუვად კერპთა და ტაძართა
საკერპოთა, ვიდრემდე არლა(რ)ა საცნაურ
იყო ადგილიცა მათი. და ამისა შემდგომად
წარვიდა მეფე და ყოველი ერი მისი სანე-
ფოდ იოდნათისა, ძიაა თვისა, და ყოველი
იგი სუფევება მისცა მას, გარნა თედმა მხო-
ვარი, რომელი იტანჯებოდა ორითავე ცხო-
რებითა, [150] არა მოიქცა მას ეამსა.

ხოლო იოდნათეს ვითარცა ესმა, ვითარ-
მედ მეფე და ყოველი ერი მისი მივალს მისა,
აღდგა და მიეგება სიხარულითა დიდითა, და
დავარდა წინაშე მისა იგი და ყოველი სიმ-
რავლე ქრისტეს მორწმუნეთაჲ, რომელნი-
იგი მიეგებოდეს მის თანა მეფესა. მაშინ
მეფე იგი დიდითა სურვილითა მოეხუა ქედსა
იოდნათისსა და ტირილითა ამბორს-უყოფ-
და მას. და მიიყვანა იოდნათე მამაჲ თვისი
დიდითა და გარდარეულითა პატივითა და
ყოველი იგი დიდებდა ზისი წინა-უყო მას,
რომელსაცა იგი არა იჭუმევდა.

61. და ვითარცა ჯდა იოდნათე დღესა ერთსა წინაშე მამისა
თვისსა, შევიდა თედმა წინაშე მათსა სავეს გულის წყრობითა,
რახთა სიტყუა-უგოს იოდნათეს შჯულისათჳს, და ჰრქუა მას: მით-
ხარა, ძეო მეფისაო, რომლისა მიზეზისათჳს [უ] ჰყავ საქმე ესე,
ანუ რაჲ ბორბოტი შეგამთხვეს კერპთა, რომელნი ესრეთ[თ] შეურაცხ-
ჰყვენ, არა პირველად აღიღნესა მამანი შენი მეფენი? ანუ არა
უძეტესი წარავანდღობაჲ მისცესა მამასა შენსა, ჰებნას მეფესა,
და უმაღლეს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა დაადგინეს იგი, და
უშვილოებისაცა იგი ქუეჭლობაჲ განაშორეს სულისაგან მისისა? ³⁰
და წენ მათ მცრ ნინეანდლე, რომელიცა-ეგე გარდამაქცეველ ექმენ
შჯულსა და ზაცოჲრ მამისა შენისა. აწ რაჲსათჳს განეშორები მო-
წენისაგან მათისა და განაშორე მამაჲ შენი, და ყოველნი კეთილად
ნსახურნი მგდენი, ნამანი შენნი, განაცრუვენ და სძაგენ გარდაქე-
ვითა შენითა?!

მიუგო მას და ჰრქუა იოდნათე მეფემან: ისმინე, მ მეტყუელო
სიცრუისაო და მტერო ქემშარიტებისაო, რომელმან მოიპოვე
[151] განცოდნული ეგე სიბრძნე აზის სოფლისაჲ და თანა-წარ-
ჰკედ თაჲს მას სიბრძნისასა, რომელ არს შიში უფლისაჲ, და ჰგო-

D

ერი¹ მის თანა და დაარღვენეს
ყოველნი საკერპონი და დაწუნეს
ცეცხლითა.
და წარვიდა მეფე და ყოველნი
ერისთავნი² მის თანა³ სამეფოდ
ძისა მისისა.

ხოლო იოდნათეს ვითარცა
ესმა მისლვაჲ მათი, მიეგება წინა
სიხარულითა დიდითა და⁴ დავარ-
და წინაშე მამისა თვისსა და მო-
იკითხნეს ურთიერთას და წარვი-
დეს პალატად და ყვეს სერობაჲ
დიდი⁵.

¹ უფელი ერი] ყოველნი ზთავარნი A. ² ყოველი ერი DE. ³ მის თანა] მისნი A. ⁴ და]—BC
~ დღი სერობაჲ A.

C

9

ნებ თავსა თვსსა ბრძნად და განკოვებულ ხარ, რამეთუ კერპნი ესე, რომელთა ჰმონებთ, ოქროს და ვეცალი და რვალი და ქვა და ძელი არიან და ვერ შემძლებელ არიან ჩუენდა და არცა სხუათა კეთილის ყოფად, გინა თუ ბოროტისა, ანუ ვითარ შემძლებელ იყვნენ რამსამე, რამეთუ თვთ მქ[უ]დარ არიან: არცა ესმის, არცა პიედვენ და არცა რაა სცნობენ. აჲ განიფრთხე. ძილისა მაგია შენი ააგან, უყუეთუ არს-ღა შენ თანა სული სიცოცხლისაჲ. ხოლო სოფელი ესე აღარულებადი არა და ჩუენ კაცნი და პირუტყუნი ყოველნი და ფრინველნი და ხენი და პირად-პირადნი ნაყოფნი მათნი ჟამად ჟაჲდ მოჰჭიდებინან. კაცთათჳს. და ესე ყოველი დიდებული ღმრთისაჲ არა, რომლისა არაეინ არა მსგავს მისა [წ] [-]თთა შორის და არარაჲ არს ს[ჯუღთ]ა მისთაებრ, რომელმან დაგუბადნა ძალითა თვისითა დიდებად მისა. და ყოველი ესე შე[ე]-ნიერებაჲ მოგუცა საშუებელად ჩუენდა, რაჲთა რაჲემს ვიზილნეთ კეთილნი ესე საშუებელნი, გურჴმენეს წარუვალისა იგი საშუებელი საუკუნოჲ, როჴელი თულმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა მოჰგონებელისასა არა მოუჭდა, რომელი განუშხადა მოთმინეთა მონათა მისთა. ესე გუაუწყეა რჩეულთა მონათა მისთა წინაწარმეტყუელთა და დიდებულთა მოციქულთა მისთა. და რამეთუ საშუებელნი ესე არა დაგუბადნა ღმერთმან, რაჲთა მათ ხოლო შეეეკეთ და უღებ ვიქმნნეთ მორჩილებად მცნებათა მისთა, არა-შედ, რაჲთა ვიქუმით მათგან საქმარი ზომით, რომელი შემწე გუექმნეს მახებრებასა ზედა მისა, და არა შევაპყრნეთ გულნი ჩუენნი, [16ჲ] რომლითა დაევაკლდეთ მცნებათაგან მისთა. და უკუეთუ სოფელი ესე ამისათჳს განძარტებული ძეს წინაშე კაცთა, რაჲთა ჰაზონ და სუან და იშუებდენ და ეავიდენ დადგრომასა მისსა მათთჳს, მცირე უყუე ნაწილი მიგიღებდეს თავისა შენისათჳს ამის სოფლისაგან, ძონძი ეგე, რომელ გარე შეგიტყამს და არგანი, რომელ არს ჴელთა შენთა, რამეთუ არა დასაჯერებელითა დაჯერებულ ხარ საწუთრომასა ამისგან, რომელსა აქებ და ესავ. და უკუეთუ კეთილ არ[ს] სააოებაჲ ამის სოფლისაჲ, რაჲსა არა ილუწი თავისა შენისათჳს? ხოლო უკუეთუ ამისათჳს დაებადნეს საშუებელნი ესე. რაჲთა მათ მიერ გუაუროდის დაუსრულებელისა მისთჳს საშუებელისა, რაჲთა გურჴმენეს და აღვილოთ საგზალი ამიერ სოფლით და სამკვდროაჲ მას სოუელსა ეგრეთ მივიწინეთ [ვ] [დ]ამბადებელისა და ღმრთისა ჩუენისა, [ჩანს], რამეთუ უჯეროჲ საშჯელი სწამე, რამეთუ არა იცი, ვისთჳს აპირებე თავაჲ შენსა და ვისა მიხუალ და ვის ეაჲ მოგებად შრომათათჳს შენთა, უკუეთუ მუნი სასოებაჲ არა გაქუს და არცა რაჲ სოფლისა ამისგან.

და ვითარ ესმნეს თედმას სიტყუანი ესე იოღანასათისნი, დადუმნა მყოფარი ჟამ და განიზრახვიდა გულსა შინა თვსსა სიტყუათა მათთჳს

C

9

მეფისა იოდსაფისთა და არარას ჰპოებდა, რამცა მიუგო. და ზერმე მიუგო და ჰრქუა მას: სიტყვთა მაგით შენითა განაწონე გული ჩემი, რამეთუ ვითარცა მახვლმან განვლო სული ჩემი, და აწ მნებავს, რაათა (მო)აქალნე, სასმენელნი შენნი სმენად ჩემდა და განკითხვად უგანცხადებულესადრე საქმისა ამისთჳს.

ჰრქუა მეფემან იოდსაჲ: აჰა ესერა მზა ვარ სასმენელითა და გონებითა [15ჰ] სიტყუს-ყოფად შენ თანა. აწ იკითხე, რომლი-სათჳსცა გნებავს.

მიუგო და ჰრქუა თედმა: უკუეთუ კერპნი ესე, რომელთა ჩუენ ვჰმონებთ, არა არიან ღმერთ, ვინ უკუე არს ღმერთი შენი? ჰრქუა მას იოდსაჲ: ღმერთი ჩემი არს მამაჲ უფლისა ჩემისა იესუმს ქრისტესი, და მზადებელი ცისა და ქუეყანისაჲ და ყოვლისაჲვე, რომელი დამკვდრებულ არს მათ შორის სულიერნი და გუამნი. ჰრქუა თედმა: და ვინაჲ უწყი, თუ ცაჲ და ქუეყანაჲ დაბადებულნი არიან? ჰრქუა მას იოდსაჲ: ამის გამო უწყი, რამეთუ სახე და ნიშანი შესაქმნისა მათისაჲ წამებს, რამეთუ შექმნულ არიან, რამეთუ გონებასა შინა საცნაურ არს, ვითარმედ არა არიან იგინი თვნიერ ანუ შეერთებულნი, ანუ განყოფილნი, ანუ იძრვისნი, ანუ შდგომარენი და ვახედავთ, ვითარმედ ყოველნი დაბადებულნი მოიყვანებიან შეერთება[სა], [ვიდრემდის] [ჲ] განთჳხებით, ძრვით გინა დაყუდებით. ამის გამო ვცან, რამეთუ ვითარცა ესენი, ეგრეცა იგინი არიან, რ ვერ ჰელ-წიფების, თუმცა რასა ჰმატის დიდებითა სხუათა დაბადებულთა.

ჰრქუა თედმა: ვინაჲ დაამტკიცებ მოციქულთა და წინაწარმეტყუელთა, შენ არა გიხილვან? ჰრქუა მას იოდსაჲ: ამით და-ვამტკიცებ, რამეთუ ყოველთა ადგილთა შეიწყნარნეს იგინი გან-შორებულთა ურთიერთას და მეფეთა დაწვალებულთა, რომელნი მტერ იყვნეს ურთიერთას, რომელთა შორის არა იყო შეთქმულებაჲ, რომელნი მე არა მიხილვან და ჰამბავთაგან დაუწყუედელთა და განუქარვებელთა, რომელთა შინა ვერ ეგების შეთქმულებაჲ სიშორისაგან ადგილთაჲსა, რამეთუ აღმოსავალით და დასავალით, სამხრით და ჩრდილოთ იდიდების მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ და წმიდაჲ შუკული მისი, რომელი ჰადაგეს წმიდათა და (რჩეულ)თა მისთა მოციქულთა. უკუეთუ არა [15ჰ] (ვინაჲ) უკუე შესაძლებელ არს შეთქმულებაჲ შორის მათსა?!

მიუგო და ჰრქუა თედმა: და ვინაჲ უწყი, თუ ჰეშმარიტსა იტყვან წინაწარმეტყუელნი, ვითარმედ ღმრთისა მიერ მოვლინებულ არიან? ჰრქუა მეფემან იოდსაჲ: ამის გამო უწყი, ვითარმედ ჰეშმარიტსა იტყვან, რამეთუ ანუენეს სოფელსა შინა ნიშები და სასწაულები, რომელი ვერვის დაბადებულთაგანსა ჰელ-წიფების ეგევითარისა ძალისა ჩუენებად, რამეთუ ძალითა ღმრთისაჲთა იჰმოდეს, რაათა

ტ

9

